


საქართველოს იბლიონთევა

სამაცნიერო-კოსულარეზე და მათოდარი ეურნაში





ეურინალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს სამიმდიოთუე ასოციაციის ყოველკვარტალურ თარგანოს; ეურინალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაუზიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ეურინალში გამოსაქვეყნებელი მსალები მიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

აკტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს სამიმდიოთუე ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული თარგანიშაცემი არ იღებს პასუხისმგებლობას მსალების მინარესზე

მთავარი რედაქტორი

ალექსანდრე ლორია

სარედაქციო კოლეგია:

გურამ თაყნიშვილი
გულნარა სტურუა
მაია მიქამერიძე
მირიან ხოსეინაშვილი
რუსულან ასათიანი

ყდის დიზაინი

გიგი გელაშვილი

ტექნიკური რედაქტორები

ლორდა სანაია

დაგენდონება

მარიამ ნათაძე

საქართველოს ბიბლიოთეკა N3 (72) - 2018; გამოცემა 2000 წლიდან
საავტორო უფლება: საქართველოს სამიმდიოთუე ასოციაცია.

ამ ეურინალში გამოქვეყნებული აკაკი ბაქრაძისა და ეურინალ „განათლების“ ფორმები დღეს ული საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელიდან“.

რედაქციის სვეტი

ქირფასო ბიბლიოთეკარებო, ჩვენი ურნალის წინამდებარე მე-3 ნომერი აქვეყნებს ქვეყნის საბიბლიოთეკო ცხოვრების ამსახველ აქტუალურ მასალებს. რედაქციას მიაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება ინფორმაციის საუკუნეში წარმოადგენს ქვეყნის საბიბლიოთეკო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. ურნალი თანმიმდევრულად აქვეყნებს ქვეყნის დიდი ბიბლიოთეკების შესახებ არსებულ მასალებს. ამჯერად მკითხველს ვთავაზობო სტატიას ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის შესახებ; ცნობილია ამ ბიბლიოთეკის დვაწლი ქ. ბათუმისა და აჭარის საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და წარმატებული ფუნქციონირების საქმეში.

რედაქციით „ფილოლოგიური ძიებანი“ ვაქეყნებო სარაჯიშვილების დვაწლს და ამაგს „ვეფხისტეათსნის“ გამოცემასა და პოპულარიზაციის საქმეში. აქვე მკითხველი გაეცნობა ურნალ „განათლების“ პირველი ნომერის 110-ე წლისთავთან დაკავშირებულ პუბლიკაციას. ცნობილია ამ ურნალის აქტიური დამოკიდებულება განსაკუთრებით კლასგარეშე კითხვისა და ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების საკითხებისადმი. ურნალში გამოქვეყნებულ მასალებს დღესაც არ დაუკარგავს პრაქტიკული და შემეცნებითი დირებულება. ნომერში მკითხველი გაეცნობა სპეციალისტების კონსულტაციას ცალკეული საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეფასების შესახებ. როგორც ცნობილია, შეფასებას აწარმოებენ ცენტრალურ ბიბლიოთეკებთან შექმნილი სპეციალური კომისიები; ცალკეულ გამოცემის შეფასებისას აუცილებელია დამატები-

თი განმარტების ჩამოყალიბება. ამ საკითხებზე მუშაობენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალისტები. ამავე რუბრიკით ურნალი აქვეყნებს კონსულტაციას და მეთოდურ მითითებებს მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელ ბავშვთა კონტიგენტის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ანალიზის შესახებ. როგორც ცნობილია კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ ბევრ წილად შეცვალა ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების შინაარსი და ფორმები. საბავშვო განყოფილებები და საჯარო სკოლებთან არსებული ბიბლიოთეკები ამ პირობებში ცდილობენ ორგანულად შეუხამონ ერთმანეთს წიგნის კითხვისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები სასწავლო პროცესს. მუნიციპალიტეტებში ბავშვთა კონტიგენტის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების ანალიზი საშუალებას აძლევს მთავარი (ცენტრალური) ბიბლიოთეკის მენეჯერებს სწორად დაგეგმონ ბაშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების საკითხები, შეიმუშავონ რეკომენდაციები.

რუბრიკით „IREX-ის“ ინფორმაცია ურნალი აგრძელებს მკითხველთა მომსახურების კუთხით შემუშავებული რეცეპტების გამოქვეყნებას, რაც მჭიდროდ უკავშირდება კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვას საჯარო ბიბლიოთეკებში.

რუბრიკაში „მკითხველთა მომსახურება“ ურნალი აქვეყნებს ინგლისური ენიდან თარგმნილი მასალების პუბლიკაციებს; რედაქციას მიაჩნია, რომ ამ კუთხით საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარება ბევრ სიახლეს შესძენს ჩვენ ბიბლიოთეკებს.

საქართველოს ბიბლიოთეკას №3 (72) - 2018 შენახვი

ბიბლიოთეკათმცოდნე მსჯელობს

გულნარა სტურუა - რანი ვარო ახლა? – საკითხავი აი, ეს არის!3

წიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე - იოპან შენსპერგერი და იმპერატორ მაქსიმილიანის „ლოცვანი“.....6

ფილოლოგიური ძიებანი

გიორგი სარაჯიშვილი - რესთაველი, „გეფხისტყაოსანი“ და სარაჯიშვილები.....10

რუსულან წაქაძე - განათლება ძალა, დედა ენა – საფუძველი სწავლებისა13

გურამ თავნიაშვილი - წმინდა ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერის შეგონებანი.....15

მკითხველთა მომსახურება

ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან.....19

მეთოდური სამსახური

თინათინ ლომჯარია - წიგნის შეფასების კრიტერიუმები.....24

გურამ თავნიაშვილი - ბავშვთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება მუნიციპალიტეტში26

IREX ინფორმაცია

ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხას ბიბლიოთეკის წარმატების რეცეპტი.....30

ტერმინოლოგიური ძიებანი

გურამ თავნიაშვილი - მკითხველი თუ მომსმარებელი32

კორესპონდენციები

მზია ტოგონიძე - ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.....34

ირმა კვირკვია - ტრენინგი ახალციხეში.....36

ნანა ოქროპირიძე - ბუნების დაცვას მიეძღვნა.....37

გურამ თავნიაშვილი - 80 წლის წინათ39

პროფესია და პროფესიონალები

ორი თაობის ბიბლიოთეკარი.....41

გურამ თავნიაშვილი - ნამდვილ ბიბლიოთეკარებად იბადებიან.....43

რ ე გ ი ჟ

დავით გიგინეიშვილი - ბრემენის 29- მუსიკის ფესტივალი.....44

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება: მოვლენები, ფაქტები.....49

ნეკროლოგი

გენადი მახარაძის გამოსათხოვარი

54

ავთანდილ ჩიტიძის გამოსათხოვარი

56

ბიბლიოთეკათაცოდნის მსჯელობა

ბერნარ სტენი

რანი ვართ ახლა? – საპითხავი აი, ეს არის!

3 ინ არ იცის საქართველოში ვინ იყო იაკობ გოგებაშვილი, ვინ არ იცის მისი უაღრე- სად მნიშვნელოვანი წვლილი ნორჩი ქართველების აღზრდა-განათლებაში, თაობებს გადასწვდა გოგებაშვილის შეუცვლელი და მარადიული წიგნის, „დედა-ენის“ მადლი. ბევრი ეცადეს, გოგებაშვილის შემდგომ, შეექმნათ ვითომ უკეთესი, გაუმჯობესებული და ვითომ თანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელო დამწყები კლასებისათვის, მაგრამ თითოეული მცდელობა ვფიქრობ, რომ კრახით დამთავრდა, რადგანაც შორს აღმოჩნდა იმ საიდუმლო ხიბლისაგან, რომლითაც გაჯერებულია გოგებაშვილის „დედა-ენა“ და, რომელშიც პედაგოგიკური და დიდაქტიკური სიბრძნის თქროს მარცვლები ისეა მიმობნეული, რომ წარმოუდგენელია იგი შეცვალოს რომელიმე სხვა, ბავშვის სულის აღმაფრენისა და გონების მიმზიდველმა მასალებმა. დიახ, გოგებაშვილი ქართული ეროვნული, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელია. მან უმდიდრესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა შემეცნებით-დიდაქტიკური და სასწავლო-ამზრდელობითი ხასიათის ნაშრომებისა და გამოკვლევების სახით, დღემდე რომ ჩირადდანივით ანთია ქართულ ეროვნულ მასოფლმხედველობით წიაღში, დიდია მისი დირებულება და მნიშვნელობა. ყოველივე ამასთან ერთად, საინტერესოა გოგებაშვილის საისტორიო და პუბლიცისტური ხასიათის წერილები, ისტორიული მოთხოვები და ამბები, სადაც წარმოგვიდგება არა მხოლოდ მწერალი, მეცნიერი და ანალიტიკოსი, არამედ მამულის სიყვარულით, მისი ისტორიის შთაბეჭდილებებით დატვირთული ადამიანი. ამ მხრივ ყურადღება მიიქცია 1990 წელს გამოცემდლობა „ხელოვნების“ მიერ გამოცემულმა კრებულმა „რანი ვიყავით გუშინ“. წიგნი გამოსაცემად მოუმზადებია ზურაბ კალანდაძეს, გიორგი გაბუნიას და დარეჯან თვალთვაძეს. რომ არა ჩემი ახალი მეგობარი ვაკის პარკიდან, ქა-

ლბატონი მერი ფოფხაძე, შეიძლება მე წიგნის არსებობის შესახებ არაფერი მცოდნოდა. მინდა აქვე გაგაცნოთ ქალბატონი მერი, როგორც მკითხველთა საზოგადოების ერთ-ერთი სამაგალითო წარმომადგენელი, ეროვნული და პატრიოტი ადამიანი, ისტორიკოსი, მაგრამ ამ საგნის დეტალურად შეცნობისა და შესწავლის სურვილით აღუვსებელი.

რაც შეეხება წიგნს, იგი სამი თავის-აგან შედგება: მოთხოვებანი საქართველოს წარსულიდან, ისტორიული ამბები და საისტორიო-პუბლიცისტური თხზულებანი. როგორც წიგნიდან ჩანს, დიდი დიდაქტიკოსი და პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი, თითოეულ თავის მოთხოვებაზე მუშაობის დროს, მოზარდი თაობის განათლებაზე ფიქრობდა, მარტივად და ადვილად გასააზრებლად აქვს გადმოცემული თუ რატომ გვქვია ქართველებს ქართველი, რომ პირველი ქართველი ქართლოსი ყოფილა, რომ ქართველთა მთავრობა ანუ მეფობა მას შემდგომ დაწყებულა, რაც ხალხი დარწმუნებულა ცალკეული კუთხეების მართვის (მამასახლისობის) სისუსტეში და ერთი მბრძანებლის - მეფის მმართველობის უპირატესობაში. ქართველი ხალხისოვის საყვარელ და ძლიერ მეფეებზე გოგებაშვილი არა მარტო მოზარდებისოვის, არამედ ზრდასრულთაოვისაც საინტერესოდ მოგვითხოვთ, ყურადღების გარეშე არ ტოვებს იმ დროის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებს, გვაცნობს ქართველთა გმირულ საქმეებს და ასე შემდეგ, საისტორიო-პუბლიცისტური თხზულებებიდან გამოსარჩევია წერილი - „რანი ვიყავით გუშინ“...

რანი ვიყავით? ვფიქრობ, რომ, ვიყავით ისეთივე, როგორიცა ვართ დღეს. მართალია ბევრი რამ შეიცვალა, განვითარდა ქვეყანა, ხალხი, მათი მოთხოვნილებები, იმდენად, რომ ძველი დროის ადამიანები, რაღაც სასწაულების ძალით, დღეს რომ გვესტურონ, ვერ იცნობენ თავიანთ სამშობლოს, თუმცა, მსგავსება

ძველი დროის სამეფოისა დღევანდელ დემოკრატიის გზაზე შემდგარ, დამოუკიდებელ საქართველოსთან, არა მგონია ვერ შენიშნონ: იგივე დალატი, სეპარატიზმი, „უხემოდ რად იმდერეთას“ მოტივები, პირველობისთვის „თავდადება“ და კიდევ ბევრი უკუდმართი რამ, რამაც ასე გაგვადარიბა და დაგვაქცემაცა კიდეც...

დიდი მამულიშვილი, იაკობ გოგებაშვილი სინანულით გვიყვება სამეფო სახლისა და ზოგადად, ბაგრატიონთა გვარის შეცდომებზე, რამაც დიდი დაღი დაასვა საქართველოს მომავალს.

განცდით, გრძნობითა და პატრიოტული სულისკვეთებით მოგვატარებს რაისტორიის საბედისწერო ბილიკებს, შეგვახსენებს ქვეყნისათვის რამდენად აუცილებელი და საჭირბოროტო საქმისთვის შეიკრიბნენ მეფე ერეკლეს კარზე კათალიკოსი, მდვდელომთავარნი, თავადნი, სარდალნი, სახლთუხუცესნი, მდივანბეგნი..., მთავარი ის კი არ არის, ახლა გაეცნო ან იცოდა თუ არა მკითხველმა ჩვენი წარსულის ისტორიიდან სწორედ ეს მნიშვნელოვანი დებალი, არა, მთავარია მწერლისა და დიდი ადამიანის განცდა და ტკივილი, რომელსაც ამჟღავნებს თავის ნაშრომში სამშობლოს გაერთიანების თემაზე მსჯელობის დროს.

აი, შესთავაზეს ერეკლე მეორეს იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთება - ეს იქნება სიმტკიცე და უძლეველობა ჩვენი ქვეყნისაო, - „განაბლიერდე ჩემით და განმადლიერო შენით, შემოვიყანტო მტერნი და მტკიცედ დავადგეთ დამოუკიდებლობის, წარმატების და კეთილდღეობის გზასა“, - ასე უმტკიცებდა იმერეთიდან წარმოგზნილი დესპანი ერეკლეს და ნუოუ დიდმა მეფემ, საქართველოსთვის თავდადებულმა მებრძოლმა, გმირმა და პატრიოტმა არ იცოდა გაერთიანებული საქართველოს ფასი და მნიშვნელობა? იცოდა, მაგრამ „ყოველი ცდა და ბრძნული წადილი ჩაშლილ და განქარწყლებული იქნა სამეფო სახლის უკუდმართობის გამო“. „დიახ, ასეთნი ვიყავით და დღესაც ესავართ. განა ჩვენი დროის ოთხმოცდათიან წლებში არ იყო გაუგებრობებითა და პირველობის სურვილით გათანგულმა „სამეფო ტახტის“ მსურველებმა რომ ლამის იყო ორად გაყვეს საქართველო? განა „მავანმა“ არ მოატყვილა „მავანი“

საქართველოს მოლიანობის დასაცავად აფხაზეთში (2008 წელი) ჯარს გამოვგზავნიო? ეჭ, მოატყვილა თუ არ მოატყვილა, ფაქტი ის არის, რომ არ ვიყავით ერთიანი! სამშობლოს სიყვარულისა და ეროვნული იდეების ლოზუნგით ბევრ უკადრისს ვკადრულობდით, ჩვენ თავად ქართველები! ახლა ჩვენს ისტორიას რომ გადაგხედოთ... შორს წასვლა რად გვინდა, მოკლეს ილია ჭავჭავაძე, მოკლეს გურამ შარაძე. ვინ? - თურქ-სელჩუკებმა? - არა! ჩვენ, - ქართველებმა! ახლა იმ „საგმირო საქმეებს“ ვინ ჩამოთვლის ოცდაჩვიდმეტიანი წლებში „დიდი სამშობლიოს“ მოავრობის მიზანოროპული კანონებით, რომ ვისარგებლეთ და პირადული მოტივაციებით (შურისძიება, ბოდმა) „საძულველი ადამიანები“, ქართველი ხალხის ტვინი და ინტელექტუალური ძალა, რომ მოვსპერ და ამოგმირკვეთ...ეს რა უბედურება იყო!.. თითქმის, ასეთივე თცდაჩვიდმეტიანი წლები შეგვახსენა მავანმა და მავანმა (რაც მთავარია, ქართველთა ჯგუფმა!) აგერ ახლა, ჰა, ოცდამეტრო საუკუნის დასაწყისში (2004- 2012)... და რანი ვიყავით? ასეთნიც და ისეთნიც, მაგრამ ძველად მეტი პატრიოტი პყავდა ქვეანას, თავად ის ფაქტიც კი რომ ერეპლე მეორეს კარზე საქართველოს გაერთიანების მსურველთა დიდი ჯგუფი ეახლა, დასტურია ამ ჯგუფში დიდი პატრიოტული გრძნობის არსებობის უტყურობისა. დიახ, ასეთებმა მოგვიყვანეს აქამდე. გარდა ამისა, „ყველაფერი ნივთეულობა ცხრა მთას იქიდგან როდი მოდიოდა ახლანდელსავით, არამც თუ ქალაქებსა, თითქმის ყველა სოფელს პყავდა ხელოსნები, რომელნიც აქმაყოფილებდნენ ხალხის მოთხოვნილებათა. მაშინდელი საფეიროები, მაგალითად, რომელნიც მოფენილნი იყვნენ მთელს საქართველოში, უხვად უმზადებდნენ ხალხს სამოსელსა, მერდინებსა, შალებსა და სხვა მატერიებსა. სხვაგვარი ხელოსნობაც მაღლა იდგა“-ო, გვეუბნება ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ ცნობილ უუბლივისტურ წერილში (და როგორ არ გამახსენდეს დღევანდელობა სკუთარი წარმოება რომ ჩავკალით და ჩავახვეთ!). და არა მარტო დიდი ილიასა და იაკობ გოგებაშვილის, ბევრი გამოჩენილი ქართველი მოდვაწის სადარდელი და საფიქრალი იყო ქართველი ხალხის, როგორც სულიერი, ასევე მატერიალური

გადარიბება, საქართველოს დაუძლურება. სწორედ ისინი შრომობდნენ და იღვწოდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, კულტურის, განათლებისა და ეკონომიკის ასაღორძინებლად. მიაღწიეს თუ არა შედეგს, ჩვენ ეს ძალიან კარგად ვიციო, ვიციო, როგორ გაგრძელდა შემდგომი ხანა, რა უცნაური და უკუდმართი გზა გავიარეთ, სად აგჩქარდით და სად მოვდუნდით, - ვიციო? არა, მგონი ყველაფერი დავივიწყეთ. თუ არა ჩვენი მეხსიერების სისუსტე, რად ვუშვებო იგივე პოლიტიკურ და ცხოვრებისეულ შეცდომებს. რატომ ვერ მივაგენით ახალ გზას. სად გაქრა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც მზიან- ჩრდილებიან, სისხლითა და ოფლით გაჟდენილ გზას უნდა მოეცა და იმ დიდ გამონათებასაც, რომელმაც დავრდომილი ერი, დიდი სისხლის დავრის შემდეგ ფეხზე დაგვაყენა... როგორ და რა გზებით, - ეს პოლიტოლოგებმა, სოციოლოგებმა, ეკონომისტებმა ახსნან. მთავარი მაინც ხალხის თავმოყვარების აღორძინება იყო, შრომაში ჩაბმა და ფეხზე წამოდგომა. ხომ გვახსოვს ის დრო და ისიც ხომ გვახსოვს, რაც შენდებოდა და კეთდებოდა ერთი და ორი ადამიანის კუთხით გვეხმილება არ იყო. როგორ? უარვეოთ, დავხუჭოთ თვალები იმ მცირე, მაგრამ უცნაურ დროზე? დიახ, ჩვენ მოვესწარით გამოდვიძებულ, გამოცოცხლებულ საქართველოს, მეაბრეშუმებისა და სხვადასხვა დარგების საოცარ აუკავებას, სოფლების გამოხალისებას, მოსახლეობის გამრავლებას, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, სპორტისა და სხვა მიმართულებების განვითარების მაღალ დონეს. მოვესწარით ისეთ ქართველ მეცნიერებსა და ხელოვანებს, რომელთა სახელები წარუშლელია მხოლოდ ქართველთა კი არადა, მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში! მაგრამ უველაზე სასწაული და საოცარი ის იყო, მაინც რომ უკმაყოფილო ვიყავით, უკეთესს ვეძიებდით. ჩვენს ძალებში დარწმუნებულებს, გვინდოდა მეტი სიხარული, მეტი ბედნიერება და, რაც მთავარია, გვინდოდა ჩვენი ქვეყანა ჩვენვე გვემართა, გვინდოდა თავისუფლება, დამოუკიდებლობა. გავიდა დრო და ხომ მივაღწიეთ ამ უველაფერს,

ახლა რა გვჭირს, რატომ ჩამოგვტორის თავ-პირი? რა ხდება ჩვენს თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყანაში? ძნელია ახსნა! მაგრამ ძალიან ადვილია იმის დანახვა, რაც თურმე, დროთა განმავლობაში, ცეკვა-თამაშსა და სიმღერ-სიმღერაში, სტუმრების მიღება-გასტუმრებაში, უმეტეს წილად, სტუმრების ჩვენს მიწა-წყალზე შემოზიარება - დამკვიდრებაში, სხვათა მიერ მომზადებულ სამუშაო პროგრამებსა და დირექტივების გარჩევა-შესრულებაში, უველაზე მთავარი და უველაზე დირებული ნელ-ნელა შემოგვლევია, ან სრულებითაც დაგვიკარგავს. რა, მაინც? - იკითხავთ. რა და სამშობლოს სიყვარული, ძვირფასო მკითხველო, პატრიოტიზმი, რომელშიდაც გაძლიერებული გარჯისა და შრომის უნარიც მოიაზრება! როგორც დამოუკიდებელ სახლ-კარსა და ეზო-ბადის შენახვას მეტი შრომა, უკრადლება, მეტი მოვლა - პატრიონობა სჭირდება, კიდრე საერთო საცხოვრებელ კორპუსში არსებულ ბინას, ასევე სჭირდება ქვეყანასაც, რომელიც უკვე შენიდ, მთლიანად შენი! აბა რა გვეგონა, გულზე მჯიდების ცემით დამოუკიდებელი ქვეყანა გვინდაო, რომ ვიძახდით! აბა, დამოუკიდებელობაც და მერე, ჩვენ რა გავაკეთეთ, როგორ შევიყერეთ ეს დიდი მონაპოვარი? სამშობლო თითო-თროლი კაცს შევატოვეთ და თავკუდმოგლეჯილი გავიქეცით, სხვის მიწას, სხვათა ნაშრომ-ნადვაწით გალამაზებულ ქვეყნებს მივაშურეთ, ჩვენი კარ-მიდამოს (სამშობლოს) შემოდგინებისა და დაკანონების ნაცვლად, უპატრიონოდ მივატოვეთ უველაფერი და ახლა რა დღეში ვართ? „ სადაც პყვაოდა ჩაის კულტურა, დაქს იქ ზეიმობს მგელი და ტურა!“ და ის ხომ მაინც ვიციო, ეს მგლები და ტურები ვინ არიან და როგორ მრავლდებიან ჩვენს მიწა-წყალზე! აი, ჩვენი ცხოვრების პაროდია!

ეს ფიქრები (აქ რას დავატევ!) იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტურმა წერილმა აღმიძრა. რანი ვიყავით გუშინ, უკეთესნი ვიყავით და რა დაგვემართაო? - ფიქრობს დიდი იაკობ გოგებაშვილი და მის ნაკვალევზე ვიყიქროთ ჩვენც, ახლა რანი ვართ და ვინ იცის, - რანი ვიქნებით ხვალ!

ნიგნის ისტორია

ნინო ხველიძე

იოვან შენსპერგერი და იმპერატორ მაქსიმილიანეს „ლოცვანი“

¶ მპერატორ მაქსიმილიან პირველთან (1459-1519), რომელიც ძლევამოსილ რომის იმპერიას მართავდა 1493 წლიდან, დაკავშირებულია რამდენიმე საეკლესიო და საერო ილუსტრირებული გამოცემების ბეჭდვა. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ საგამომცემლო წამოწყებას - ბეჭდური წიგნების დასურათებას. მაქსიმილიანემ საიმპერატორო სასახლეში მიიწვია სახელგანთქმული მხატვები: ალბრეხტ დიურერი, ლუკას კრანახი, ალბრეხტ ალბრირფერი და ჰანს ბურგკაიერი. მათ დაავალა საკუთარი ჩანაფიქრის აღსრულებაში მონაწილეობის მიღება. წიგნების სტამბური წესით ბეჭდვა და გამოცემა კი იმპერატორმა აუგსბერგელ იოჰან შენსპერგერს მიანდო. მაქსიმილიან I-ის ინიციატივით დაბეჭდილმა გამოცემებმა დირსეული ადგილი დაიმკვიდრეს მსოფლიო პოლიგრაფიული ხელოვნების ისტორიაში.

გერმანელი მესტამბე-გამოცემელი იოჰან შენსპერგერ უფროსი 1455 წელს დაიბადა აუგსბერგში. მას მამინაცვალმა - იოჰან ბამბერგმა (1425-1505) შეასწავლა წიგნის გადაწერისა და ბეჭდვის ხელოვნება. ოვით ბამბერი გახდდათ მწიგნობარი, კალიგრაფი, წიგნის ბეჭდვის საქმეს კი გიუნტერ ზაინერის სახელოსნოში დაეუფლა და პირველი წიგნი 1472 წელს გამოსცა.

იოჰან შენსპერგერმა პოლიგრაფიული საქმიანობა დამოუკიდებლად 1481 წელს დაიწყო მშობლიურ ქალაქში. მასთან ერთად საგამომცემლო სახელოსნოში მუშაობდა ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობათა ოსტატი ტომას რუბერი (გარდ. 1483). შენსპერგერმა 1500 წლამდე თრასზე მეტი სხვადასხვა გამოცემა დაბეჭდა. განსაკუთრებული მოთხოვნა იყო ეგრეთ წოდებულ „სახალხო

გამოცემებზე“, რომლებიც ფართო მასებისათვის იყო გათვალისწინებული. ამ სერიით შენსპერგერი სხვათა მიერ გამოცემულ წიგნებს ხელმეორედ ბეჭდავდა გაცილებით დაბალ ფასში, რის გამოც ისინი ხელმისაწვდომი ხდებოდა ყველასათვის. მესტამბემ ამ სერიის სახელწოდებით გამოაქვეყნა თვრამეტი დასახელების ორმოცდაცხრა გამოცემა. იოჰან შენსპერგერმა გაითვალისწინა მკიოხველთა დიდი ინტერესი და თავიდან დაბეჭდა ანტონ კობერგერის მიერ, 1493 წელს გამოცემული პოლიგრაფიული ხელოვნების შედევრი „Nuremberg Chronicles“ - „ნიურნბერგის ქრონიკები“, რომელსაც „ქრონიკის წიგნადაც“ მოიხსენიებენ. ეს იყო წიგნი მსოფლიოს ისტორიის შესახებ. ისტორიული გამოცემა რამდენჯერმე გამოვიდა: 1496 და 1500 წლებში - გერმანულ და 1497 წელს - ლათინურ ენაზე. შენსპერგერის მიერ გამოცემული წიგნები შედარებით მცირე ფორმატისა იყო, ვიდრე კობერგერისა. დღეს მათი ხილვა მრავალი ქვეყნის ბიბლიოთეკებშია შესაძლებელი.

შენსპერგერმა რამდენჯერმე დაბეჭდა გენუის ეპისკოპოსის, დომინიკელი იაკობ დე ვორაგინეს მიერ დაახლოებით 1260 წელს დაწერილი ნაშრომი „Legenda Aurea“ - „ოქროს ლეგენდა“. შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წიგნი თვისი პოპულარულობით მხოლოდ ბიბლიის ჩამოუკარდებოდა. წერილობითი წყაროებისა და ხალხური თქმულებების მიხედვით შექმნილი თხზულება წმინდანთა ცხოვრებისა და ქრისტიანული ლეგენდების კრებულს წარმოადგენდა. ძველ წყაროებს ავტორმა დაამატა ბევრი ლეგენდა, რომელიც საზოგადოებაში ზეპირი ფორმით ვრცელდებოდა. მოძიებულია 130-ზე მეტი გამოყენებული



იმპერატორი მაქსიმილიან
პირველი (1459-1519)

ტექსტი, თუმცა, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ბევრი ისტორიული წყაროს პოვნა, საიდანაც იაკობი სიუკეტებს იღებდა. ოვდაპირველად, წიგნი შეიცავდა 180 ფენტები პატივსაცემი კათოლიკე წმინდანის ცხოვრებას, თუმცა საუკუნეების მანძილზე მათი რიცხვი გაიზარდა. საბოლოოდ, „ოქროს ლეგენდაში“ შევიდა დაახლოებით ორასი წმინდანის მონათხობი, ეპიზოდები ძველი აღთქმის პერსონაჟების ცხოვრებიდან, აპოკრიფული სიუკეტები წმინდა მარიამისა და იესო ქრისტეს შესახებ, ასევე ლიტურგიკული კალენდრის ინტერპრეტაცია და რელიგიური დღესასწაულების მნიშვნელობა.

იოპან შენსპერგერმა 1508 წლიდან მოიპოვა მაქსიმილიან I-ის კარის მძეჭდავის წოდება. მომდევნო წლებში მან გამოსცა მრავალი წიგნი, რომელთა შორის იყო სებასტიან ბრანტის „ბრიუვთა გემი“, ელია დონატის „ლათინური ენის გრამატიკა“ და „ლოცვანი“, რომელიც „მაქსიმილიან I-ის ლოცვანის“ სახელითაა ცნობილი.

1513 წელის 5 ოქტომბრით არის დათარიღებული წერილი, რომლითაც მაქსიმილიან I-ის საიდუმლო მრჩეველი კონრად პოიტინგერი საკუთარ პატრონს ატყობინებდა ლოცვანის ბეჭდვის დაწყების შესახებ: „შეკვეთილი ათივე „ლოცვანი“ არაუგვიანეს ექვსი კვირისა გადმოვა საბეჭდი დაზგიდან. პერგამენტზე დაბეჭდილი პირველი საცდელი ნიმუშების გაგზავნა კი უკვე შეიძლება“. 1513 წლის 30 დეკემბრისთვის შეკვეთა მთლიანად დასრულებული იყო.

იმპერატორის ჩანაფიქრი მართლაც არაჩვეულებრილი გამოდგა. განსაკუთრებულმა გამოცემამ ეველა განაცვიფრა. იოპან შენსპერგერს მანამდე ამის მსგავსი არაფერი დაუბეჭდავს. მართლია, ლოცვანის ტირაჟი მხოლოდ ათი ეგზემპლარი გახდათ, მაგრამ მასზე დიდი შრომა და ენერგია იყო დახარჯული. წიგნი ლათინურ ენაზე დაიბეჭდა. „ლოცვანის“ შემადგენლობა არ გახდათ ტრადიციული. მისი ტექსტი თვით იმპერატორმა შეარჩია. მან ლოცვანში თავი მოუყარა ფსალმუნებს, სხვა პოპულარულ ლოცვებსა და სახარებისეულ

ტექსტებს. მაქსიმილიანებ გამოცემაში ჩართო გაღობანი, ტროპარები და მიმართვები მფარველი წმინდანებისადმი. მათ შორის, ორი ლოცვა წმინდა გიორგისადმი იყო მიძღვნილი. ამ წმინდანისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად მაქსიმილიანეს მამამ – საღვთო რომის უკანასკნელმა იმპერატორმა, ფრიდრიხ III-ემ დაარსა წმინდა გიორგის რაინდულ-მონაზენური ორდენი. მისი დაარსება ემსახურებოდა საზოგადოების მობილიზაციას, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ თურქული საშიშროებისათვის.

იმპერატორის მოთხოვნით, ბეჭდური ლოცვანი ხელნაწერის მსგავსი უნდა ყოფილიყო. საიმპერატორო კანცელარიიდან წიგნის მოდელი ვინსენტ როკნერს გადაეცა. მანვე დახატა შრიფტი, რისოვისაც გამოიყენა აუგსბურგის მონასტრის ერთ-ერთი ბერის – ლეონპარდ ვაგნერის, ქსილოგრაფიული ალბომი. „ლოცვანი“ აკრებილია ლამაზი გოთური შრიფტის ნაირსახეობით, რომელიც ცნობილი გახდა „ფრაქტურის“ სახელწოდებით. ეს შრიფტი თავისი მოხაზულობით ინარჩუნებს ტრადიციული გერმანული ტექსტურის ნაციონალურ ხასიათს და ამასთან უფრო დეკორატიულია. გოთიკური შრიფტის ნაირსახეობებია შვაბახერი და ბასტარდაც. ისინი პოლიგრაფიული ტექნიკის მოთხოვნების შესაბამისადაა შექმნილი. ფრაქტურა, უფრო მეტადაა მიმსგავსებული ძველ ხელნაწერ შრიფტს. მისი ფესტენსპერგერი შეიცვლილ 14 ბრაჟალი განათავსა. ყოველი ახალი სტროფის აკრებისას ასოთამკრები იწყებდა პირველი ნიმუშიდან. ამის გამო, ბრაჟალები ლამაზადაა გამოყვანილი და თანაბარია ყოველი მათგანის ზომა.

წიგნი დაბეჭდილია ორ ფერში: ტექსტი – შავი საღებავით, წითლით კი ცალკეული განყოფილების სათაურები, დასაწყისი ფრაზების სათაო ასოები და ტექსტები, რომელთა გამოყოფაც



იმპერატორ მაქსიმილიანეს „ლოცვანი“. ყდა

ვების მოძიება XIV საუკუნის საიმპერატორო კანცელარიის ქსილოგრაფიულ ტექსტებშია შესაბამისადაა შექმნილი. „ლოცვანის“ ყოველ სტრიქონზე შენსპერგერმა განცელად განათავსა. ყოველი ახალი სტროფის აკრებისას ასოთამკრები იწყებდა პირველი ნიმუშიდან. ამის გამო, ბრაჟალები ლამაზადაა გამოყვანილი და თანაბარია ყოველი მათგანის ზომა.

სურდათ. წიგნს ლილვაკის ორი გაგრებით ბეჭდავდნენ, პირველად წითელი, შემდეგ კი შავი მელნით.

კვადრატული ინიციალებისათვის, რომლებსაც ორი სტროფი ესაჭიროებოდათ, შენსპერგერი ტოვებდა ცარიელადგილებს. ისინი ხელით იხატებოდა უკვე დაბეჭდილ გვერდზე. ოვით სათაო ასო ოქრომელნით იწერებოდა შავ, წითელ ან ლურჯ ფონზე. სასვენი ნიშნებიდან მძეჭდავი იყენებდა ორწერტილსა და წერტილს. გარნიტურის შემაღვენლობაში იყო გადატანის ნიშანიც.

იოჰან შენსპერგერი „ლოცვანის“ ბეჭდვისას ფურცელზე ტოვებდა ფართო მინდვრებს, რომლებსაც მხატვრები ავსებდნენ საოცარი ილუსტრაციებითა და ორნამენტებით. გამოცემა შეამეჭა მხატვრებმა - ალბრეხტ დიურერმა, ლუკას კრანახ უფროსმა, პანს ბალდუინგ გრინმა, ალბრეხტ ალტრერფერმა, პანს ბურგმაიერმა. ძირითადი სამუშაო 1514 წელს შეამარტინებით, და 1515 წელს მოლიანად დახრულდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ლოცვანის“ დაბეჭდილი ათი ეგზემპლარიდან შემონახულია მხოლოდ ხუთი, რომელთაგან უკვე სრული დაცულია დონდონის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. იგი 157 ფურცელს შეიცვას. უკვე საინტერესო ის ეგზემპლარია, რომელიც იმპერატორისათვის იყო განკუთვნილი.


1519 წელს იმპერატორი გარდაიცვალა. მისი დანატოვარი ქონების სიაში ეს არაჩვეულებრივი „ლოცვანი“ არ ირიცხებოდა. ის მრავალი წლის მანძილზე წიგნის მკაფევართა ოვალთახედვის არედანაც გაქრა. გამოცემა მხოლოდ 1586 წელს აღმოაჩინეს მადრიდში გარდაცვლილი კარდინალ გრანველის ნივთებში. თუ, როგორ აღმოჩნდა „ლოცვანი“ კარდინალთან, არავინ იცოდა.

გრანველი საფრანგეთის ქალაქ ბე-


ზანსონიდან იყო წარმოშობით. სწორედ იქ წაიდეს ეს არაჩვეულებრივი გამოცემა და ბენედიქტელთა მონასტრის ბიბლიოთეკაში დააბრძანეს. „ლოცვანი“ იქ ინახებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ჩატარებულ სეკულარიზაციამდე. მონასტრის დაკეტვის შემდეგ ის სხვა წიგნად საგანძურთან ერთად საქალაქო ბიბლიოთეკას გადაეცა. ბიბ-

ლიოთეკაში მოხვედრამდე გამოცემა დაანაწევრეს. მისი შედარებით ძვისფასი ნაწილი დიურერისა და კრანახის ნახატებით, გაურკვევადი გზით მიუხენის სამეცო კარის ბიბლიოთეკაში მოხვდა. სავარაუდოდ, ეს ბავარიის პერცოგის ვილგელმ V-სა და მაქსიმილიან I-ის მმართველობის პერიოდში მოხდა. ისინი ალბრეხტ დიურერის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემლები იყვნენ, ეძებდნენ და ყიდულობდნენ მის ნამუშევრებს. „ლოცვანის“ დანარჩენი ნაწილი კი ბეზანსონში დარჩა. ეგზემპლარის პირველი და მეორე ნაწილი 119 ფურცელს მოიცავდა. ამრიგად, დაიკარგა დიდი მხატვრების მიერ შემძული გამოცემის 38 ფურცლიანი ფრაგმენტი. მიუხენის ეგზემპარი კი 62 ნაბეჭდ ფურცელს მოიცავდა. მათგან 56 - ალბრეხტ დიურერის მოხატული იყო, დანარჩენი ექვსი კი - ლუკას კრანახის. დიურერმა 44 გვერდი ნახატებით დაამშვენა, ექვსი - ორნამენტებით, დარჩენილი ექვსის გაფორმება სავარაუდოდ ვერ მოაწროდ და მათი მინდვრები სუფთა სახითაა შემორჩენილი.

დევლნაბეჭდი წიგნის მხატვრება მხოლოდ გამოცემის სამკაულს არ წარმოადგენდა. წიგნის ილუსტრაციები, თავსამკბომება მხოლოდ ლოსამკები და დეკორის სხვა, თუნდაც უმარტივესი ელემენტები უშუალოდ იყვნენ ტექსტოან შერწმულნი. გამოცემაში უხვადა წმინდანთა და ანგელოზთა გამოსახულებები, ჯვარცმისა და სხვა ბიბლიური სიუჟეტების სცენები.



ლოცვანის ერთ-ერთი ფურცელი



ლოცვანის ერთ-ერთი ფურცელი



მედიევალური პირის პირი „Tewrdannck“

იმ გვერდზე, სადაც წმინდა გიორგის ლოცვაა დაბეჭდილი, ცხენები ამხედრებული წმინდანია გამოსახული, რომელიც დრაკონს ამარცხებს. ილუსტრაციები შესრულებულია კალმითა და სხვადასხვა ფერის მელნით.

ბეჭდური ხელოვნების ეს შედევრი რამდენჯერმე დაიბეჭდა. მისი პირველი ვარიანტი 1807 წელს ლითოგრაფიული წესით დაისტამდა. წიგნის ერთ-ერთი გამოცემლი კი გახდათ თვით ამ ახალი მეოთხის გამომგონებელი - ალიოზ უნიველდერი.

შენსპერგერმა 1517 წელს გამოსცა პოლიგრაფიის ხელოვნებაში ერთ-ერთი ულამაზესი წიგნი, მედიევალური პირის „Tewrdannck-ი“, რომელიც იმპერატორ მაქსიმილიან პირველისა და ბურგუნდიის პირის უნიველდებას - მარიას თავგადასავალსა და მათ ქორწინებას აღწერდა. ტირაჟის ერთი ნაწილი ქაღალდზე დაბეჭდა, მეორე კი - პერგამენტზე. გამოცემისათვის ილუსტრაციები, ხეზე გრავირების ტექნიკით, შეასრულა ნიჭიერმა მხატვარმა პანე შაუფელდებმა. მანვე ხელით მოხატა რამდენიმე ეგზემპლარი. წიგნმა არნახ-

ული მოწონება დაიმსახურა. იმავე შრიფტითა და იმავე გრავიურებით იგი ხუთჯერ გამოიცა ჯერ კიდვ მეოქვემდებარებულის ბოლომდე.

იოჰან შენსპერგერ უფროსი 1521 წლის 25 თებერვალს გარდაიცვალა. მის მიერ გამოცემული წიგნები დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპის ქვეყნებში. მართალია, ის ბეჭდავდა პირატულ გამოცემებსაც, მაგრამ საუკუნის ბოლოს მისი კომპანია თავისი გამოცემებით აუგსბურგის წიგნის ბაზრობაზე ერთ-ერთ დომინანტ გამომცემლობად დასახელდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Немировский Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства. – Ч. 1. – М.: 1990. – Ст. 9-16.
2. <https://pages.vassar.edu/library/2014/09/nuremberg-chronicle/>.
3. История книги. – М.; Л., 1926., Ст. 44.
3. Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. . – М.; Л., 1926., Ст. 84-85.

ფილოლოგიური ძიებანი

ბიოჩი სახაზვიცი

რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ და სარაპიშვილები

„...ძგირა დღეს, ოოგორც ყოველთვის დავით სარაჯიშვილმა შინ მიიწვია მეგობრები. სტუმრად მისულ ექვთიმე თაყაიშვილს, საგანგებოდ მიუბრუნდა და სიტყვებით „აი, საშენო, საშენო“, — გაუწოდა ძირფასი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანისა“. უნიკალური ხელნაწერის გადარჩენით გახსარებული ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა: „საჩხერელ თავად ნესტორ წერეთელს ჰყოლია ცოლად გურიელის ქალი - პელაგია. ნესტორის გარდაცვალების შემდეგ, ქონება, მათ შორის „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერიც, ცოლ-შვილს დარჩენია. ხელნაწერს ყდა დაზიანებული პქონია და, დედის დავალებით, ვაჟიშვილებს საჩხერედან თბილისში ჩამოუტანიათ, შესაკეთებლად. ყდა მოხელეს კარგად გაუქეთებია და, როდესაც, ეს ძირფასი განძი სახლში მიქონდათ, „ჩვენებური თავადიშვილური დაუდევრობით“, იგი ეტლში დარჩენიათ და დაუკარგავთ. მათ შემდეგ, ეს ეტლი უქირავებია ცნობილ სოვდაგრის, ფორაქიშვილის ნოქარს, რომელსაც უპოვნია ეტლში ხელნაწერი და ძალზე გახარებია - ახლა კი გავკეთდი კაციო. ფორაქიშვილს ეს ამბავი რომ გაუგია, ჩემთან გამოუგზავნია ნოქარი, წერა-კიოხვის საზოგადოებისთვის შეიძენსო, მაგრამ შინ არ დავხვდი. ის ნოქარი ამდგარა და მიუტანია სარაჯიშვილთან, რომელსაც 30 მანეთი გადაუხდია ხელნაწერში რამდენიმე ათეული საუცხოო მინიატურა იყო და თითო მათგანი გვიდირდა ას მანეთად“.

როდესაც, საიმპერატორო კარის, სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, განოქმული უნგრელი მხატვარი მიხაილ ზიხი 1881 წელს ჩამოვიდა საქართველოში, მოწინავე ინტელიგენციამ ისარგებლად ამით და სთხოვა „ვეფხისტყაოსანის“ დასურაოება. ზიხი დათანხმდა. შეიქმნა კომისია: თავმჯდომარე - ილია ჭავჭავაძე, წევრები: რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, იონა მეუნარგია, პეტრე უმიკაშვილი და ივანე მაჩაბელი.



რვა წლის განმავლობაში, კომისიას დიდი შრომისა და ჯაფის გაწევა დასტირდა, სანამ, 1888 წელს, დღის სინათლეს იხილავდა ზიხისეული ილუსტრაციებით დამშვენებული „ვეფხისტყაოსანი“. დრო დასტირდა პოემის ფრანგულად თარგმნას, ბეჭდვას, დახატვას, ტიპაჟების შერჩევას და სხვ. კომისიამ ითხოვა თოთხმეტი სურათი, ზიხიმ შეასრულა თცდათოთხმეტი, წიგნში დაიბეჭდა თცდაშვიდი. მხატვარმა საქართველოს უსახსოვრა სურათები! წიგნი დაიბეჭდა მეცენატის, გიორგი ქართველიშვილის ხელშეწყობით — ექვსასი ცალი. ერთი წიგნი დირდა თხუთმეტი მანეთი, წინასწარ გამოცხადებული იყო ხელმოწერა.

„ვეფხისტყაოსანის“ ტიპაჟების შერჩევა ზიხიმ 1882 წელს დაიწყო, ქუთაისში და თბილისში, „ცოცხალი სურათების“ დადგმით. გაზეომა „დროებაშ“ შემოგვინახა ცოცხალი სურათების ამსახველი წერილები, გარდა ამისა, დარჩა გადაღებული ზიხისეული ფოტოებიც. ქუთაისში, „საზოგადო საკრებულოს ეზოში“, იმართებოდა „ცოცხალი სურათები“, ნ. წერეთელი - ჩოლოებაშვილისას (თამარ მეუე, თონიათინი), მამია გურიელის (შოთა რუსთაველი), გიორგი შერვაშიძის (ტარიელი),

ფადავას (ნესტან-დარეჯანი), ქაიხოსრო ქაჯაიას (როსტევან მეფე), ჯაბა გურიელის (ფრიდონი) მონაწილეობით.

გაზეთში ეწერა: „წარსულს კვირას კიდევ გაიმართა სურათები და კიდევ ერთხელ აავსო გული წარსული ნეტარების მოგონებით. იმ დროს მოგონებით, როდესაც იყო თამარ მეუე და მისი მშვენიერი ქვეშევრდომი რუსთაველ დიდებული!“

... ამ უკანასკნელად გამართულ სურათებს კიდევ ერთი სურათი მოქმატა: შოთა რუსთაველი დახოქილი მიართმევს თავის შრომას, თავის უკვდავ პოემას — „ვეფხისტყაოსანის“ თამარ დედოფალს. თამარ დედოფალი წარმოადგინა მ. იოსელიანის ქალმა და შ. რუსთავე-



ლი დავით სარაჯიშვილმა. ორივენი ისე შვენოდნენ, ისე უხდებოდათ, ისე ლაზათიანი იყვნენ, რომ კაცის გული ნატრობდა ფარდის ჩამოშვების დაგვიანებას და რა ფარდა ხრიალით წამოვიდოდა, მოუსვენარი ტაშისცემა, როგორც მოწყალებას ითხოვდა, რომ კიდევ რამდენიმე წუთი დაეტკბო მაყურებელთ თვალი.

დანარჩენი სურათებიც ჩინებულად წავიდნენ, მშვენიერი მოჩანგეები, მშვენიერი და გამომეტყველი ფატმან, ახოვანი და ლაზათიანი დავარ, უმანკო ნესტან-დარეჯან, შეუდარებელი ავთანდილი და მოხდენილი ტარიელი, ყველანი სანატრელი იყვნენ კაცის თვალისათვის“.

გაზეთებში განსაკუთრებულ მადლობას უხდიან სურათების გამართვის მოთავეს კვეთისა ბ. ბარათოვისას და მხატვარ ზიჩის, რომლებმაც „გააცოცხლეს თავისი დაუცხრომელი ზრუნვით უკადაგი სურათები, ჩვენი სადიდებელი მამულიშვილის შოთა რუსთაველისა. მით უფრო მადლობას ვუძღვნით ხსენებულ პირთ, რომ ამგვარი სურათების გამართვა ერთობ ძნელია, სახათაბალო საქმეა და იმათ უსასყიდლოდ მიიღეს თავიანთ თავზედ ეს შრომა და კიდეც ადასრულეს სანაქებოდ“.

დავით სარაჯიშვილი (1848-1911) თვითონაც მეტად კმაყოფილი იყო თავისი სურათის „ვეფხისტყაოსანში“ პირველ გვერდზე ილუსტრირებით. სურათს ზიჩის შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია და დიდ მოწონებას იმსახურებდა არა მარტო ქართულ საზოგადოებაში და უნგრეთში, არამედ მსოფლიოშიც. მხატვრის ოცდათოოთხმეტ სურათში ერთადერთია ფერწერით შესრულებული და ამშვენებს „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის მდიდრულ გამოცემას.

34 წლის დავით სარაჯიშვილი ახლად დაქორწინებული (1880) იყო, როდესაც ზიჩმა, კონკურსის გარეშე, მას ერთადერთს, შოთა რუსთაველის განსახიერება (პროტოტიპი) შესთავაზა... უნგრელი მხატვრის ეს დიდებული საჩუქარი ამშვენებს, საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს.


სარაჯიშვილების

საგვარეულოს

ერთ-ერთი თვალსაჩინო წამომადგენელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დამდეგის საზოგადო მოდგაწე, მწერალი ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი (1815-1914) — დავითის ბიძაშვილი. ერთ დროს, დიდი ილიას შემდგებ, გაზეთ „ივერიის“ გამომცემელი და რედაქტორი. ეს „ჩუმი გმირი, უანგარო, ჩუმადვე იწირებოდა მსხვერპლად, საქმეს საქმისთვის აკეთებდა და არა სახელისათვის. უდიდესი გულშემატკიცარი ქართველი საზოგადოებისა, თავისი წვლილის შემტანი საზოგადო და საეროვნო საქმეში, მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანი, სპეციალი ზეობის პატრონი, მედგარი მუშაკი... თავის საქმიანობით, სხვასაც ჩიბლავდა, ამხნევებდა, ახალისებდა და საქმის სიყვარულს უნერგავდა გულში. გულითადი ამხანაგი, პატიოსანი ადამიანი... დირსეული მამულიშვილი“ (ექვთიმე თაყაიშვილი).

ალექსანდრე 1895 წლიდან გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე „თიოქოს, რაც აქამდე სდუმდა, ახლა უნდა აინაზ-დაუროსო!.. ხელი მოჰკიდა ისეთ საქმეს, რაც მანამდე ჩვენში ვერავის გაებედნა და აზრადაც კი არავის მოსვლია... განწმენდა მოელის ქართველობის საამაყო და თავის მოსაწონებელი სალიტერატურო განძის, როგორიცაა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და მისთვის ჩამოშორება მეტხორცის, ისტორიულ მანძილზე სხვებისგან ჩამატებული ყალბი ადგილებისა, „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ადგილებში, რომლებიც ალექსანდრე სარაჯიშვილამდე შოთა რუსთაველად ითვლებოდა და მათ ყალბისმქნელობისა და „ჩანამატებში“ ეჭვის შეტანას ვერავინ პბედავდა და ფიქრადაც არავის მოსდიოდა, „მოამბეში“ დაბეჭდვის შემდეგ, ყველასათვის ნათელი და უტყუარი შეიქმნა. ეჭვის წლის განმავლობაში იბეჭდებოდა. დარბაისელ, მომზადებულ, ყოვლის მხრივ განვითარებულ კალმოსნის სახელიც მას აქეთ დაიმსახურა“ (თედო სახოკია).

ალექსანდრე სარაჯიშვილი ივერიის წმ. ნიკოლოზის ეპლესიაში 1914 წლის 1 ივნისს დაკრძალეს, თავისი სურვილის მიხედვით, „უსიტყვოდ და უგ-



ვირგვინოთ“. სიჩუმე ექვთიმე თაყაიშვილმა დაარღვია: „...შენ კარგად შეგნებული გქონდა, რომ იქ, სადაც ყველა ბელადობს და ჯარისკაცი არ არის, საქმე არ გაკეთდება. სიძნელე, ჩვეულებრივის საერთო გულწრფელს მუშაობაშია. დიად, სახელს არ ეძებდი, მაგრამ სახელი კი მოიხვეჭე, შენი სახელი და სხვენა უპვდავი იქნება... ქართველი ერიც ლირსეულად შეაფასებს შენს ნამოქმედარსა“.

განო სარაჯიშვილი (1879-1924)! მას ყველა ერი ინატრებდა. ვანოც დავით სარაჯიშვილის ბიძაშვილი იყო, მასზე ოცდათერთმეტი წლით უმცროსი.

ვანოზე სხვადასხვა დროს წერდნენ: „...სიმღერა ისე სჭირდება ქართველი ადამიანის სულს, როგორც თვით ჰაერი და სიყვარული. სიმღერა ჩვენს სისხლხორცში გამჯდარი ნიჭია. ვანო ამ ნიჭის გვირგვინია“ (შ. გაშმაძე), „...განა შეიძლება გენიალური სარაჯიშვილის დავიწყება? არა, არასოდეს! იგი მარადისობის ბრილიანტია“ (ვ. გამენსკი); „ვანო — ქართული ოპერის მიმრებელი იყო, როგორც ამ ოპერის მთავარ გმირთა როლების აღმსრულებელი. ამ მხრივ, მისი მნიშვნელობა დიდია და სწორუპოვარი“ (ილ. ზურაბიშვილი). „ვანო თვით ჰანგია გამსჭვალული ქართული არტისტიზმით, ვაშაცაცობით, ტემპერამენტით, კეთილშობილებით, აღსავსე სიყვარულითა და სილამაზით... ვანოზე დრმად, ვანოზე სავსედ, ვანოზე უპერ, ალბათ ვერავინ იგრძნობს, ვერავინ გამოხატავს ქართული სიმღერის ეშნება და ძალას. ამიტომ არის იგი — დიდი, განუმეორებელი, უპვდავი. ამიტომვე შეიყვარა ასე მშობელმა ხალხმა, რომელმაც ვანოს სიცოცხლეშივე დაადგა დიდების გვირგვინი (ზ. ანჯაფარიძე).“

გაზეო „საქართველოში“ ვკითხულობთ. „...უბილეთოდ დარჩენილმა ხალხმა ოპერის ვესტიბიულში ხის მუაჯირი გადასთელა და ტალღასავით შეგრიალდა ოეატრში „სარაჯიშისტებს“ ოეატრის დირექტორი ვერაფერს უხერხებდა. სპექტაკლის შემდეგ, ხალხს ხელში აყვანილი მიჰყავდათ ოვისი საყვარელი მომდერალი შინისაკენ“.

1922 წელს, თბილისის კარიბჭესთან უზარმაზარი ვეფხვი მოკლეს. დიდმელმა მონადირეებმა ის, დიდის ამბით

ჩამოიტანეს თბილისში ურმით, დაბმული. „ჯომარდი მონადირე“, „საქართველოს ბულბული“, „მომღერალთა შორის პირველი“, „თავო ჩემოს“ უბადლო შემსრულებელი ვანო გააოცა ამ ამბავმა... უკელაფერი ვანოს „დაბრალდა“, შენ ქართული ჰანგის ავთანდილი ხარ და ეს ჭირვეული მაყარი გვაწვიეო, იმ გაგებით, როგორც რუსთაველი ბრძანებს:

„რა ესმოდეს მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,

მისვე ხმისა სიტგბოსაგან წყლით ქვანიცა გამოხდიან,

ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდეს, ატირდიან;

იმდერს ლექსთა საბრალოთა, ლგარისაებრ ცრემლი სდიან“.

ლექსიც ბევრი დაიწერა, მაშინ ამ თემაზე...

ხელოვნებათმცოდნები საოპერო ხელოვნების კლასიკური ნიმუშით

„თქმულებით შოთა რუსთაველზე“ (1904 წელს დაიწერა) იწყებენ ქართული ეროვნული ოპერის სცენურ ისტორიას. ამ ოპერის ნაწყვეტები პირველად 1910 წლის 3 აპირლს შესრულდა დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტის დიმიტრი არაყიშვილის ნაწარმოებთა კონცერტზე; ხოლო 1919 წლის 5 ოქტომბერის ჩვენი საოპერო ოეატრის სცენაზე ვანო სარაჯიშვილმა პირველად შეასრულა შოთას პარტია...

რუსთაველს ორჯერ აქვს სიტყვა „სარაჯი“ ნახმარი — 363-ე და 383-ე სტროფებში:

„...ძირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა...“ და „...მფრინველთა განუმეორებელი, უპვდავი. ამიტომვე შეიყვარა ასე მშობელმა ხალხმა, რომელმაც ვანოს სიცოცხლეშივე დაადგა დიდების გვირგვინი (ზ. ანჯაფარიძე).“

ოთხი საუკუნის წინათ დავითის, ალექსანდრეს, ვანოს წინაპარმა, დალაქ ბერუას შეიძლება გოგიამ, რომელიც თბილისში ხინის ქუჩაზე იჯდა და უნაგირებს აკეთებდა, გვარად „სარაჯიშვილი“ დაირქვა („სარაჯი“ არაბული სიტყვაა: ქართულად უნაგირებსა და ცხენის სხვა საკაზმის მკეთებელს ნიშნავს). მას აქვთ, ბერუას შოთამომავლები სარაჯიშვილის გვარისანი არიან და მეფე ვახტანგ მეექვსის ბოძებით - თბილისის საპატიო მოქალაქენი, რუსები, თავის დროზე „პარტიი დრაჟდანინებს“ უწოდებდნენ.



ჩასელან ნუკიც

განათლება ძალაა, დედა ენა – როგორც საფუძველი სწავლებისა

110 წლის წინ თბილისში იოსებ ბოცვაძემ გამოსცა „განათლება“- ყოველთვიური სამეცნიერო, პედაგოგიურ-ლიტერატურული უურნალი. მკითხველს ვთავაზობთ უურნალის პირველ ნომერში გამოქვეყნებული წერილის არასრულ ვერსიას მშობლიურ ენაზე განათლების აუცილებლობის შესახებ, ვფიქრობთ, აქ გამოიქმული მოსაზრებები დღესაც აქტუალური და საინტერესოა.

„არც ერთს საგანს, რომელსაც სკოლაში ასწავლიან, არ აქვს იმაზე მეტი მნიშვნელობა, როგორც სამშობლო ენას“-რუდოლფ გელდებრანდი.

საქართველოში სწავლა-ადზრდის საქმე ისე იყო დაყენებული, რომ სკოლა სრულებითაც არ ემსახურებოდა პედაგოგიურ იდეალების განხორციელებას, ის კი არ ზრდიდა ხალხს, პირიქით, ანადგურებდა იმას, რასაც ბუნება უხვად აძლევდა ქართველ მოზარდ თაობას.. ქართველი ენა დევნილი იყო სახელმწიფოსაგან და იმის მაგიერ, რომ სკოლა აედორძინებინათ იმ იდეალებით, რომლებსაც ქადაგებდნენ გამოქენილი პედაგოგები, სკოლა საქართველოში პოლიტიკურ ექსპერიმენტების წყაროდ გადააქციეს და ქართველ ხალხის გადაგვარების იარაღდად გახადეს. ამ საოცარმა ანომალიამ ქართველ ხალხის განვითარებისამ წამოაყენა არა ერთი პრობლემა და მათ სამართლიან გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ქართველ ხალხის მომავალი. ერთი უმოავრესი პრობლემათაგანი შექმნა ერთგნული სკოლისა ყველა საფეხურისა და ხარისხისა, როგორც საზოგადო განათლებისა, ისე პროფესიონალურისა. არავის აქვს უფლება, უცხო ენა მოახვიოს თავს ამა თუ იმ ერს.. ჭეშმარიტ პედაგოგებისათვის არ არსებობს არავითარი საერთო სავალდებულო სახელმწიფო, საეკლესიო ანუ „კლასიკური“ ენა. ისინი აღიარებენ მხოლოდ ერთ ენას, რომელზედაც უნდა განათლდეს ხალხი - სამშობლო ენას რასაკვირველია, არავინ უარყოფს უცხო ენების შესწავლა-შეთვისების საჭიროებას. აუცილებლად უნდა აღვიაროთ, რომ საზოგადოთ, ახალი ენები უფრო და უფრო საჭირო

ხდება, როგორც იარაღი საერთაშორისო კულტურულ და სამეცნიერო ურთიერთობაში.

უმოავრესი ძირი კულტურული ცხოვრებისა ენაა. სამშობლო ენა ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა-განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათვოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი, ეს აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია განმანათლებელ დაწესებულებათა მოქმედება და მასთან ძირითადი მოთხოვნილებაა ამ დროს და, თუ გნებავთ, ყველა დროის პედაგოგისა.

ერთგნულ სკოლასთან ერთად უნდა განხორციელდეს იდეა საყოველთაო-საერო-განათლებისა ამ იდეის მომხრე და მედგარი დამცველი იყვნენ ყველა დროისა და ხალხის გამოჩენილი მოღვაწეები ცივილიზაციის ასპარეზზე არისტოტელებან დწაყებული.

ყოველ ხალხს, მოქეტებულად ვისაც ისტორიული წარსული აქვს, ბუნებით მინიჭებული აქვს თავისი საკუთარი ერთგნებაც, როგორც თითოეულს ადამიანს - საკუთარი, თავისებური პიროვნება. სკოლა, ყველა ქვეყნის საუკეთესო პედაგოგების აზრით, უნდა იყოს სახალხო: ე. ი. ერთგული ხალხის ენისა, მის ზე ჩვეულებათა და ისტორიისა, რომ ხალხმა არ ჩათვალოს იგი უცხოთ, ძალად თავზე მოხვეულად, აკმაყოფილებდეს ხალხის გონიერისა, მისი არსებობის და ცხოვრების მოთხოვნილებათ, აცნობდეს ხალხს წარსულს და აწმყო ცხოვრებას, უნაოებდეს გზას საუკეთესო მომავლი-საგენ.

თეორიულად ვერავინ უარყოფას დედა ენის დრმა მნიშვნელობას და ვერც ვერავინ გაძევდავს სთქვას, რომ რომ მისი სწავლება სკოლაში და ოჯახში უსარგებლო იყოს, მაგრამ საქმით კი ამ საგნის სწავლება ფრიად უნუგეშო მდგრმარეობაშია. საკითხმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გახდეს დედა ენა ჭეშმარიტ განათლებისა და აღზრდის იარაღად, დიდი ხანია, მიიპყრო პედაგოგთა უურადღება. ამ მხრივ განსაკუთრებული უურადღების დირსია გერმანელი ფი-

ლოლოგისა და პედაგოგის რუდოლფ გილდერანდის თხულება, რომელიც წარმოადგენს სრულიად ორიგინალურ პედაგოგიურ-საფილოთლოგო ნაშრომს.

გილდერანდის თხულებაში „დედა ენის სწავლების შესახებ“, პირველ გვერდზე წერია: მასწავლებლებს დედა ენის სწავლება ადვილ და სასიამოვნო საქმედ არ მიაჩნიათ, პირიქით - უძნელეს, სამძიმო და მომაბეზრებელ საგნად მიაჩნიათ როგორც მასწავლებლებისათვის, ისე მოსწავლებისათვისაც.

საქმის ამნაირი არა ნორმალური მდგომარეობა ფრიად სახიფათოა, დედა ენა უსაჭიროესი და უპირველესი საგანია სხვა სასწავლო საგანთა შორის.

დედა ენის გაკვეთილებზე გულდაუდებლობას გილდერანდი აბრალებს ამ საგნის სწავლების ცუდათ დაყენებას. დედა ენის სწავლებას, როგორც სხვა სასკოლო საგნების სწავლებასაც, წმინდა მსჯელობითი ხასიათი აქვს.

მასალა, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ დედა ენის სწავლების დროს, თითოეულ მოწაფეს მზამზარეულად მოაქვს მასწავლებელს უნებლიერ მოუხდება შეეხოს ამ მზა მასალას- მოწაფეთა ცოდნას, გონებითს სალაროს.

დედა ენის გაკვეთილებზე უმთავრეს უურადღებას აქცევენ გრამატიკას და მართლწერას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ითხოვს ამას ცხოვრების სინამდვილე.

სკოლა უსსნის მოწაფეებს მხოლოდ იმას, თუ როგორი უნდა იყოს ენა და არა იმას, როგორია იგი სინამდვილეში.

სკოლა სცდილობს, რომ მოწაფეებს განუვითაროს ლიტერატურული ენა, ხშირად ზიზღითაც კი უურებს ადგილობრივ ხალხურ ენას. გილდერანდს სწავლების ეს ხერხი შეცდომად მიაჩნია: მისი აზრით, ლიტერატურული ენა უნდა ჩაექსოვოს ხალხურ ენას და არ იდგეს გარეშე, განცალკევებულად და არც უპირატესობით მტრულად უცქერდეს მას.

პოეზია და ოვით მეცნიერებაც დიდი ხანია ცდილობს ლიტერატურული და ხალხური ენის გაერთიანებას. „არსად არ შეიძლება ახლა ხალხური სულის ერთმანეთში კეთილმყოფელი მორიგების გატარება ისე ადვილად, როგორც სახალხო სკოლებში და ისიც დედა ენის გაკვეთილებზე.“

როგორ უნდა განხორციელდეს გაერთიანება ლიტერატურული და ხალხური ცოცხალი ენისა, რომელიც წარმოადგენს ხალხის სულის იარაღს?

ლიტერატურული ენა უნდა შეიცავდეს ისეთს ცოცხალ სიტყვებს, როგორიც არის ხალხური ენა და რომელსაც უნდა შეუსისხლხორცდეს ცოცხალი ლიტერატურული ენა თავიდან ბოლომდის უნდა წარმოადგენდეს მოწაფეთათვის საკუთარი ცხოვრებიდან, საკუთარი სულიდან ახალი შინაარსის ცოცხალ მატარებელს, მიჰყავდეს მოწაფე იმ სიმაღლემდის, საითკენაც მისი სული მიისწრაფის, არასოდეს მოსწყდეს იმ ერთად ერთს არსებულს ნიადაგს, მის გარშემო არსებულს ყოველ დღიურ სინამდვილეს.

გილდერანდს სიტყვიერი სწავლება, ცოცხალი ენა მიაჩნია დედა ენის შესწავლის საფუძვლად წარმოთქმული სიტყვების ხებისაგან სიცოცხლე იღვიძებს, თავს აღწევს ძილს, რომელიც შეიპყრობს მას მარტო ტვინით მუშაობის დროს- ამბობს იგი.

უპირატესობა სიტყვიერ სწავლებისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უფრო მეტს ელაპარაკება ბავშვის გრძნობას, რომლის განვითარება ერთს უმთავრესს მიზანს უნდა შეადგენდეს.

„ხმის ინტონაცია საკვირველი ნაწილია ჩვენი საუბრისა, რომლის მნიშვნელობა მეცნიერებს საგვებით არ დაუფასებია, - ეს დრმა, შეუმჩნეველი მხარე ენისა სავსებით განვითარებული აქვთ ბავშვებს. ეს ელემენტი ჩვენს სიტყვიერებაში უმთავრესია, აქ არის სული ჩვენი ენისა, აქ არის ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა აშენდეს ენის სინტაქსი და მაღალი ხელოვნება ენის ცოდნისა, მაგალითად, აიდოს მასწავლებელმა რომელიმე წინადაღება და წარმოსოქვას იგი ბუნებრივი, ცოცხალი ინტონაციით, ხაზგასმულად, შემდეგ კი გაამეორებინოს მოწაფეს, - ვიდრე იგი ხსენებულ ფრაზას არ გამოთქვამს ისე, როგორც ლაპარაკობს შესვენებაზე, გაკვეთილების შემდეგ.

„ცოცხალი სიტყვა-პასუხი ყველა პროფესიის ადამიანისათვის საჭიროა, ცოტანი არ არიან იმისთანები, რომლებიც სდუმან მხოლოდ იმიტომ, რომ არ არიან დარწმუნებული თავიანთი აზრების, გულის ნადების მარტივად და ყველას-ათვის გასაგების ყორმით გადაცემაში. რამდენი უსარგებლო და დაუსრულებელი კამათი ცხოვრების საკითხების შესახებ გადაწყვდებოდა ადვილად, მოკამათეებს რომ შეეძლოთ ლაპარაკი და არა უანგარიშში, უთაგბოლო ყბედობა. ეხლანდებული სკოლა სცოდავს იმაში, რომ მოწაფეებს არ აჩვევს ცოცხალ ლაპა-

რაკს და შეგნებით კითხვას. ყველაფერი წიგნურმა სწავლებამ ჩანსოქა, მკვდარმა ასოებმა მოინელა. საქმით კი დღევანდელი საშუალო სკოლა ვერც წერას ასწავლის რიგიანად და ვერც კითხვას. მწერლებს კი არა, მკითხველს უნდა ამზადებდეს სკოლა, ისეთ მკითხველებს, რომელნიც ფიქრობენ წაკითხულის შესახებ და შეუძლიათ საკუთარი აზრის გაზიარება. თუ მკვიდრი ცოდნაა, შეგნებული კითხვაა - საკუთარი აზრიც იქნება, თუ ამ აზრის ცოცხალი სიტყვებით გამოხატვის ცოდნაა - იქნება იმის ცოდნაც, რომ ეს აზრი წერითაც გამოთქვას. პედაგოგმა ჯერ უნდა გამოაჩენინოს ბავშვს სულში მიმალული შინაგანი შინაარსი და მხოლოდ ამის შემდგომ შეამუშავებინოს ფორმა. სხვა ხერხი უსათუოდ დაემსგავსება იმ საშუალებას, რომლითაც ასწავლიან თუთიყუშებს ლაპარაკს. ყველაზე უფრო კარგია, როდესაც მოწაფეებს ნება ეძლევათ თავისუფალი ფორმით, მოყოლებით გადმოგცეს რაიმე იმის შესახებ, რაც თვითონ, პირადად გამოუკლია, ან განუცდია. ამ შემთხვევაში კარგი ნაწერები ერთი მესამედით მაინც მეტია ჩვეულებრივზე.“

სტილის შესამუშავებლად გერმანელი პედაგოგის „უმთავრესი წესია“, მუდამ მოაგონოთ მოწაფეებს, რომ ყოველგვარი წერით ვარჯიშების დროს - ყოველთვის ან საეჭვო შემთხვევაში, წარმოსონებან გასაგონად ის, რის დაწერაც უნდათ. „სმენა ყველაზე უფრო სარწმუნო კონტროლია ენის სიფაქიზის, სიცხადის, მტკარი ლაპარაკის შესამოწმებლად. მოლაპარაკის ყური ვერ ითმენს

იმ ხორციანობას, იმ სტილისტურ ხიჭვს, რომელსაც უშვებს თვალი წერითი აზრის გამოთქმის დროს, ქადალდი ყვალაფერს იტანს, ყური - ვერა.

სკოლის სულიერად გამოცოცხლებაზეა დამოკიდებული საზოგადოების სულიერად განახლებაც.

როდესაც ბავშვი დედა ენას სწავლობს, მასთან ერთად ითვისებს არა მარტო სიტყვებს, ფორმებს, არამედ იძენს აუარებელს ცნებებს და აზრებს, ითვისებს განსაკუთრებულ შეხედულებებს ბუნებაზე, რომელიც ორგანულად გამომდინარეობს დედა ენის სიბრძნიდან და ლოგიკიდან, როგორც ერთი ხალხის აზრის ნაყოფი. უცხო ენას, რამდენჯერაც უფრო მდიდარი იყოს იგი, მაინც არ შეუძლია გადასცეს ბავშვის გონებასა და გულს მეათედი შინაარსი იმისა, რაც ადვილად შეუძლია მშობლიურს დვიძლს ენას. ამიტომაც, ვიდრე ბავშვს საგმაოდ არ შეუსწავლია დედა ენა, სანამ მას თავისუფლად და თამამად არ გამოუთქვამს თავისი სულიერი მოთხოვნილებანი, არ განვითარებულა საგმარისად, მანამდის უცხო ენის სწავლება არც საჭიროა და ფრიად მავნებელიც არის. დროა, ეს ჭეშმარიტება შეიგნონ მშობლებმა და მასწავლებლებმაც, რომ ააცდინონ ჩვენი ბავშვები თავიდანვე გადაგვარების გზას და ყოველის დონის ძიებით ხელი შეუწყონ ბავშვის აღზრდას და განათლებას ეროვნულს ნიადაგზე, რადგან უამისოდ განათლება არ არსებობს.

გამოყენებული ლიტერატურა:
ჟურნალი "განათლება", 1908. - №1

ბექა თაყნიაშვილი

ნიმუში ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერის შეგონებანი წიგნის პითევისა და განათლების შესახებ

ათონის წმინდა მთაზე ივერიონის ქართველთა მონასტერში 2002 წლიდან მოღვაწეობს ბერი ერმალაოსი (ერისკაცობაში პაატა ჭევია). იგი დაიბადა 1966 წელს ქ. ზუგდიდში. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ

მუშაობდა სხვასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებებზე. 1990-იან წლებში ერთხანს მუშაობა მოუნდა ქ. ზუგდიდის გამგეობაში, სადაც იგი გაეცხო სახარებას. შემდგომ სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა გერმანიაში. ფლობს რამოდენიმე უცხო ენას. დაეწაფა სადგომისმეტყველო ლიტერატურას.

ერმალაოსმა დრმად ირწმუნა უფალი და მაცხოვრის სიყვარულით გულანთებულმა მთელი თავისი სიცოცხლე უფლის სამსახურს მიუძღვნა.

ათონის წმინდა მთაზე მოდვაწე ქართველი ბერი მნიშვნელოვან სამეცნიერო-შემოქმედებით მოდვაწეობასაც ეწევა. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით მონასტერში დაარსდა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც 120 000-მდე უძველესი ხელნაწერი და წიგნი ინახება. მონასტერში მოძიებული ხელნაწერების საფუძველზე მისი რედაქტორობით გამოსაცემად მზადდება ამავე მონასტერში ბოლო 200 წლის მანძილზე მოღვაწე ბერების ბიოგრაფიული მასალების ჩანაწერები; მზადდება გამოსაცემად ამ დოკუმენტების 20 ტომეული, რუსულ და ბერძნულ ენებზე. აქედან ხუთი 800 გვერდიანი ტომი უკვე გამოცემულია. მამა ერმალაოსის სამეცნიერო-კოლეგიო მუშაობას იცნობს ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო წრეები. სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად მამა ერმალაოსი ნაყოფიერ ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა. მართმადიდებლური შინაარსის წიგნებს თარგმნის ბერძნულ, გერმანულ და რუსული ენებიდან. 2014 წელს გამომცემლობა „ივერიონმა“ გამოსცა ბერი ერმალაოსის ნაწერების კრებული: „სიცოცხლე ჩემთვის ქრისტეა“. კრებულში თავმოყრილია მამა ერმალაოსის მიერ დედისადმი და ოჯახის სხვა წევრებისადმი გამოგზავნილი წერილები, სადაც მათ საკუთარ სულში განცდილი ქრისტესადმი სიყვარულს უზიარებს, წერს სხვასხვა ცხოვრებისეულ საკითხებზე, გვიჩვენებს მათდამი მიღომისა და გადაწყვეტის ქრისტიანულ გზებსა და საშუალებებზე. კრებულში მამა ერმალაოსი საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული წიგნის კითხვისა და განათლების საკითხებზე.

რა არის სწავლის მიზანი და რა საჭიროა განათლება? - ამ კითხვებზე ბერი ერმალაოსი პასუხს იძლევა მოკლედ და ნათლად - სწავლისა და განათლების მიზანი წარმატებული ცხოვრებაა; ჭეშმარიტი წარმატება საკუთარი სულის გადარჩენა და დავთის სადიდებლად ცხოვრებაა. ამქვეყნიური ცხოვრება დროებითია და მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი მარადიულ ცხოვრებაში გადასასვლელად. თქვენ უნდა აირჩიოთ

გზა, - წერს შვილებს მამა ერმალაოსი, - დავთის სიყვარულისა. ჭეშმარიტი წარმატება მარადისობის სწავლა-განათლებაა, მისი მიზანი კი წარმატების რეალიზაციაა. პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ თუ რა უნდა ვისწავლოთ; უპირველესად უნდა ვისწავლოთ დავთის სიტყვა, დავთის მცნებანი, დავთის კანონები; უბედურია ის, - დასძენს ბერი, ვისაც ერთხელ მაინც არ წაუკითხავს ბიბლია. ეს წიგნების კრებული დავთისსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, გამოსასწორებლად, დასარიგებლად სიმართლეში. დავთის კაცი, - განაგრძობს მსჯელობას ბერი, - სრულყოფილი უნდა იყოს, ყოველი კეთილი საქმისათვის გამზადებული. იკითხეთ ბიბლია, იკითხეთ სახარება, - მოუწოდებს ოჯახის წევრებს ბერი, - რომ ვერ გაიგორ, მაინც იკითხეთ, როგორც წყლის სმაა აუცილებელი ადამიანის სხეულისათვის, ასევე დავთის სიტყვის შემეცნებაა აუცილებელი სხეულისათვის, იკითხეთ ნდობით და სიყვარულით; მე ბიბლია, წერს ბერი, მეექვსედ წავიკითხე. ისწავლეთ ამქვეყნიური მეცნიერებანი: საბუნებისმეტყველო, ჭუმანიტარული მეცნიერება მოძღვრებაა ბუნების კანონთა შესახებ, ხოლო რელიგია მოძღვრებაა დმერთის შესახებ. პირველი სწავლობს დავთის შემოქმედების ნაყოფს, მატერიალურ სამყაროს, მეორე კი თავად დავთის არსეს, სულიერ სამყაროს; სწავლის ძირითადი საშუალება ლოცვაა, - წერს ბერი ერმალაოსი, - ჩვენს სკოლებში ამ მეოდეს არავინ არ იყენებს, ლოცვის გარეშე დღის განმავლობაში მიღებული ინფორმაცია ქარის მიერ პარტნიორის ასროლილ ფოთლებს პგავს, რომლებიც უწესრიგოდ და უმიზნოდ დაფრინავენ; ლოცვით უნდა დაიწყოს სასწავლო პროცესი, და ლოცვითვე უნდა დამთავრდეს. აქ არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ მივმართოთ უკვდავ „დედა ენას“, სადაც ი. გოგებაშვილს წარმოდგნილი აქვს სურათით მლოცველი მოსწავლე სწავლის დაწყების წინ - და სწავლის დასრულების შემდეგ - ლოცვა, ბერის აზრით ბოლოს დააღაგებს დღის განმავლობაში მიღებულ უველა ინფორმაციას, ჭეშმარიტების საცერები გაატარებს მას, გასცემს კითხვებზე პასუხს, დამშვენებს თქვენს სულს, ახალი ენერგიით ადავსებს თქვენს დადლილ სხეულს, აგაცილებთ შეცდომებს. სწავლის ძალიან მნიშვნელოვანი სა-

შუალებაა კითხვა: ყოველი თავისუფალი დრო, - წერს ბერი თავის შვილებს, გამოიყენეთ კითხვისათვის; ყოველდღე ნახევარი საათი მაინც დაუთმეთ სახარების კითხვას. უნდა ისტავლოთ სწორი კითხვა; სასულიერო ლიტერატურა და ბიბლია სხვანაირად უნდა იკითხოთ, ვიდრე გასართობი ან მეცნიერული წიგნები; იკითხოთ უფრო გრძნობით, ვიდრე გონებით, უფრო გულით, ვიდრე ტვინით, უფრო ნელა და დამშვიდებით, ვიდრე აღტყინებით და კრიტიკული თვალით; ბიბლია იკითხოთ როგორც ერთი მთლიანი და ნუ ჩაეკირკიტებით პირვალსავე გაუგებარს; ბიბლია ეს სიცოცხლის წიგნია, მისი სიღრმე და მრავალმხრივობა განუზომელი და მიუწვდომელია. ის არის ყოველი ქრისტიანისათვის ყოველდღიური სახელმძღვანელო; სულ სხვა მიღდომაა საჭირო ფილოსოფიური და ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვისას. ფილოსოფია და ლიტერატურა ადამიანის შემოქმედების ნაყოფია. ამიტომ ისინი შეცდომათ სფეროს განეკუთვნებიან. მკითხველმა ისინი არ უნდა აღიქვას უტყუარ ჭეშმარიტებად, არამედ უნდა მიიღოს როგორც ადამიანური ნააზრევი, როგორც ხელოვნება; არც ერთი ფილოსოფიური მოძღვრება და ლიტერატურული მიმდინარეობა არ იყო ჭმარიტების უპანასკნელი სიტყვა, არამედ დროის მსვლელობასთან ერთად ის მუდმივად იცვლებოდა ადამიანის გონების განვითარების დონისა და გემოვნების შესაბამისად; ამიტომ თუ მკითხველი მიეჯაჭვება რომელიმა ერთს ავტორს, ან მის იდეას, ბევრს წააგებს.

კითხვის დროს იყავით დისტანციური - აგრძელებს ბერი მსჯელობას წიგნის კითხვის შესახებ, - იკითხეთ შორიდან მეთვალყურის პოზიციით; ასეთი კითხვა კარგია მრავალ მიზეზთა გამო; ერთი მიზეზი ის არის, რომ ცხოვრებაში მოგიწვევთ ურჯულოთა დაწერილის კითხვა, და თუ არ გექნებათ განყენებული კითხვის ჩვევა, მაშინ თქვენზე ადვილად გადმოვა ამ ნაწარმოების პირვოკაციული სული: გადიზიანება და აგრესია. კარგია კითხვის დროს წამოჭრილი შეკითხვებისა და პრობლემების რვეულში ამოწერა, შემდეგ კი ეძებეთ პასუხები ამ კითხვებზე; ენციკლოპედიებსა და ცნობარებში მოცემული არის კითხვები, რომლებზე-დაც პასუხები სპეციალისტებმა, პროფესიონალებმა, საგნის მცოდნეებმა იციან,

უნდა ისტავლოთ ენციკლოპედიებთან მუშაობა, გაძელოთ შეკითხვების დასმა, კარგად და სწორად ჩამოყალიბებული შეკითხვა ნახევრად გაცემული პასუხია. კითხვის დასმა არ არის უზრდელობა, მხოლოდ თავმდაბლად და ზრდილობიანად მიმართეთ ადამიანებს, სწავლის ერთ-ერთი საშუალებაა აგრეთვე მოსმენა; ყურადღებით მოსმენა ეს დიდი ნიჭია; ერთი საკითხის, ან პრობლემის შესახებ რაიმე ინფორმაცია რომ მოვიპოვოთ ათობით წიგნი უნდა წავიკითხოთ; მასწავლებელმა, ან სხვა სპეციალისტმა უკვე იცის ეს საკითხი და გამზადებული სახით გადმოგვცემს მას. კარგი მსმენელი ბევრ დროს იგებს; გაკვეთილის ახსნის დროს ყურადღებით მოუსმინეთ მასწავლებელს; ამით გაკვეთილის სახლში შესწავლა ძალიან გაგიადვილდებათ და ნაკლები დრო დაგეხსარჯებათ. ბიბლია გვასწავლის და გვირჩევს: „თუ მზად ხართ მოსმენისათვის, იქნები ნასწავლი, თუ ყურს უგდებ სხვებს, მიიღებ განათლებას“. ეცადეთ ნაკლები ილაპარაკოთ და ძალიან ყურადღებით უსმინოთ რას ლაპარაკობენ სხვები; განსაკუთრებით ყურადღებით უსმინეთ მასწავლებელს, პროფესიონალებს, საგნის მცოდნეოთ, საინტერესო ინფორმაცია ჩაიწერეთ.

სწავლის ძირითად საშუალებად მამა ერმალაოსს მიაჩნია აგრეთვე წერა; ნააზრევის ქადაღდზე გადატანა მას მართებულად მიაჩნია, რომ ამით პირვენებას თანდათან გამოუმუშავდება წერის კულტურა. თქვენი აზრი, წერს იგი შვილებს, უნდა იყოს თავისუფალი ანალიზის შედეგი. სწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად ბერს მიაჩნია აქტიური დასვენება, მოძრაობა. სწავლის პროცესი მოზარდისათვის უნდა იყოს სასიამოვნო, რათა შედეგად მივიღოთ შეუფასებელი სიმდიდრე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩამოყალიბება პირვენება ჭეშმარიტ, ინტელექტუალურ ადამიანად; ამით მას ვეღარ შეაშინებს ცხოვრების სიძნელეები. იცოდეთ, - წერს იგი შვილებს, რომ ერთ დღეს თქვენ ადმოჩნდებით პირისპირ ცხოვრების დაუნდობელ სიმაცეებით, და თუ მანამდე მოემზადებით, ანუ ისტავლით ბეჯითად და დვთის სიყვარულით, მაშინ საშიში არაფერი არ გექნებათ. ახლა თუ მატერიალურად ბევრი რამ გაკლიათ, მოვა დრო, როდესაც ეს ყველაფერი დაგავიწყდებათ, თქვენი განათლება და სი-

ბრძნე ყველასგან საქებარი და დაფასებული იქნება; ოქვენ იოლად დაძლევთ ყველა სიძნელეს და ნებისმიერ ასპარეზზე წარმატებული იქნებით, მითუმეტეს, რომ დოთის სიყვარული და მხარდაჭერა თქვენს მხარეს იქნება.

ეხება რა განათლების საკითხებს, ბერი ერმალაოსი წერს შვილებს: „განათლებას, როგორც წამალს აქვს ერთი დამდუპელი უკუჩვენება: იგი კვებავს ადამიანის სიამაყეს და პატივმოყვარეობას, განათლებულ ადამიანს ადვილად ეუფლება ეს გამანადგურებელი სენი, ივიწყებს ღმერთს და საკუთარი შესაძლებლობები განუსაზღვრელი პგონია. ბევრი მეცნიერი და გამოჩენილი ადამიანი დაავადდა პატივმოყვარეობის სენით, დაივიწყა ღმერთი და სული წაიწყმიდეს“, ფრთხილად იყავით, ჩემო შვილებო, წერს იგი შვილებისადმი მიწერილ წერილში, რაც უნდა განათლებული გახდეთ არასოდეს დაგავიწყდეთ რომ მიწა ხართ, და მტკერი, რომ ერთ მშვენიერ დღეს წარსდგებით დვოთის უზენაეს სამსჯავროზე; სიამაყე, - წერს ბერი, არის სიკვდილის დედა, პატივმოყვარეობა ყველა ცოდვის სათავეა, სულიერი სიბრმავის წყარო, მხოლოდ თავმდაბლობა და თვინიერებაა გადარჩნის გზა, მხოლოდ მორჩილებით, თვინიერებით და თავმდაბლობით შეუძლიათ გახდნენ სულით უბრალონი, მშვიდნი და წმინდანი გულით, მათ ეპუზნით სასუფეველი ცათა. სასულიერო პირი მოუწოდებს ახალგაზრდებს განსაკუთრებული კურადღებით მოეკიდონ მათემატიკის სწავლებას. მას მიაჩნია, რომ მათემატიკა არ სარგებლობს ბევრ შემთხვევაში დიდი პოპულარობით, მხოლოდ განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვებს ხელეწიფებათ მისი სწავლა; მერწმუნეო, მათემატიკის შესწავლა შეუძლია ყველას; იგი დიდ როლს ასრულებს სხვა ტექნიკური საგნების - ფიზიკის, ქიმიის და სხვათა შესწავლაშიც. მათემატიკუ-

რი ამოცანები ცხოვრებისეული პატარა მოდელებია. მათემატიკა დიდ როლს ასრულებს შესიერების განვითარებაში, კარგი მეცნიერება ადამიანს უადვილებს ენების შესწავლას, ღმერთმა ადამიანს აჩუქა გონება.

ეხება რა საქართველოს დღეგანდელ მდგომარეობას, ბევრი აღნიშნავს, რომ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არ არის შემთხვევითი, ეს იმის ბრალია, რომ ბევრმა ქართველმა უარყო ჰეშმარიტი, მართლმადიდებლური რწმენა, გამოიჩინა გაუგონარი უმაღურობა ჩვენი ქვეყნის მფარველი მარიამ დვოთისმშობლის მიმართ. მხოლოდ მართმადიდებლური სარწმუნოებისადმი ერთგულება და ქართული ეკლესიის გარშემო გაერთიანება, ღრმა მონანიება და ისევ დვოთისმშობლის მადლის მოპოვება მისცემს ჩვენს ქვეყანას ბედნიერი მომავლის შენების უფლებას.

ბერი ერმალაოსის, როგორც ჰეშმარიტი მორწმუნისა და გულმხურვალე მაჟულიშვილის შეგონებანი სწავლის, აღზრდის, განათლებისა და მეცნიერების შესახებ ფრიად საყურადღებოა თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობისათვის, მოსწავლეთათვის. თავად მისი დრმად სარწმუნოებრივი მოქმედება, დვაწლი და უშურველი წადილი ბედნიერი მომავლის შენებისათვის ყველმხრივ მისაბამი მაგალითია მათთვის, ვისაც მოზნად დაუსახავს მშობლიური ქვეყნისათვის თავდაუზოგავი სამსახური, ვისაც უკვე აურჩევია უფლისაკენ მიმაგალი ყველაზე მოკლე და ჰეშმარიტი, მგრამ ამასთან უაღრესად ძნელი გზა.

ლიტერატურა:

ბერი ერმალაოსი (ჰეშმარიტი): „სიცოცხლე ჩემთის ქრისტეა“ - თბ., ივერიონი, 2014.- 294 გვ.

მაითხმულთა მომსახურება

ჰელენ კვაკა (HELEN KWAKA)

ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან (თარგმანი ინგლისურიდან)*

(დასაწყისი იხ. წინა ნომრებზე)

თავი 4 **მკითხველთა მომსახურების კოორდინატორი**

ბევრს არც კი სმენია ისეთი საბიბლიოოთეკო თანამდებობის შესახებ, როგორიცაა მკითხველთა მომსახურების კოორდინატორი. მე თვითონ ასეთი სამსახურის არსებობაზე შევიტყვე ვაკანსის შესახებ განაცხადის წაკითხვის შემდეგ. არსებობს ამ თანამდებობის სხვადასახელებებიც, რომელთაგან ზოგი შესაძლოა თქვენთვის უფრო ნაცნობი იყოს: მაგალითად, „ფონდების ხელმისაწვდომობის კოორდინატორი“, „ოპერაციების მენეჯერი“ ან „კლიენტთა მომსახურების კოორდინატორი“. მართალია, ასეთი როლი ძირითადად საჯარო ბიბლიოთეკებისთვის არის დამახასიათებელი, კვიქრობი, იგი შეიძლება არსებობდეს სამეცნიერო და მსხვილ სპეციალიზებულ ბიბლიოთეკებშიც. ვმუშაობ ავსტრალიაში, ადელაიდის მახლობლად, ქალაქ ტი-ტრი-გალის ბიბლიოთეკაში და, მოკლედ რომ ვთქვა, ჩემი, როგორც მკითხველთა მომსახურების კოორდინატორის, მოვალეობაა მომსმარებელზე ორიენტირებული სრულფასოვანი საბიბლიოოთეკი მომსახურების დანერგვა და განვითარება.

კი, მაგრამ ეს კონკრეტულად რას გულისხმობს?

თავიდანვე უნდა გითხრაო, რომ ჩემი სამუშაო ძალიან დიდ კმაყოფილებას მანიქებს, რადგან იგი არსებითად განსაზღვრავს მკითხველთა მომსახურების ხარისხს. მე უზრუნველყოფ იმას, რომ ბიბლიოთეკის სამსახურებმა ყოველდღიურად გამართულად იმუშაოს და ბიბლიოთეკარებს ყოველთვის ხელოჭონდეთ მკითხველთა მომსახურებასთან დაკავშირებული წერილობითი ინსტრუქციები და სტანდარტები. ჩემი

სამუშაო, ასევე, მოიცავს ბიბლიოთეკაში მკითხველის მომსახურებით დაკავებული ყველა თანამშრომლის სამუშაო გრაფიკის შედგენას. ამასვე უკავშირდება კადრების შერჩევა, საქმიანობის კონტროლი და კვალიფიკაციის ამაღლება, რათა ჩვენმა ყველა მკითხველმა მიიღოს სტაბილურად კარგი მომსახურება.

ბიბლიოთეკის სტრუქტურაში თანამდებობრივად, ასევე, მეგალება საბიბლიოთეკო სამსახურების ზოგად მართვაში მონაწილეობა, რაც გულისხმობს მომსახურების ხარისხის კონტროლსა და უწყვეტ განვითარებას საზოგადოების სამომავლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ზომას ნამდვილად აქვს მნიშვნელობა მოვალეობები, რომლებიც ადგიწერება, მარტივად გამოიყერება. მართლაც, პატარა ბიბლიოთეკაში ამ საქმის კეთება უფრო ადგილია, მაგრამ მე ვმუშაობ საჯარო ბიბლიოთეკარი ემსახურება ბიბლიოთეკის 62 ათას მომხმარებელს და ჯამში 100 ათასზე მეტ მოქალაქეს. კიდევ კარგი, რომ ყველა ერთდროულად არ მოდის ბიბლიოთეკაში! ჩვენი ბიბლიოთეკა დიაა კვირაში 52 საათი. მომსახურების 4 პუნქტზე ერთდროულად მუშაობს ბიბლიოთეკის 9 თანამშრომელი. არითმეტიკული გათვალებით ეს ნიშნავს, რომ ერთი სამუშაო დღის გრაფიკში 72 სამუშაო საათია გადანაწილებული. ეს რომ კვირის 7 დღესა და რამდენიმე საღამოს ცვლაზე გადავამრავლოთ, გამოდის, რომ ყოველკვირეული გრაფიკი ჯამურად 525 სამუშაო საათს მოიცავს. ყოველდღიურად ჩვენს ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო ერთეულების ბრუნვა 6-8 ათასს აღწევს. მე მევალება იმის უზრუნველყოფა, რომ აღნიშნული დრო სწორად ნაწილდებოდეს და დავალებები ჯეროვნად სრულდებოდეს — თაროებზე წიგნების დალაგების ჩათვლით.

თუ შეიძლება, სამუშაო მაგიდასთან მიმიშვით

ჩემი მოვალეობები და, შესაბამისად, სამუშაო დატვირთვაც უშუალოდ დამოკიდებულია ბიბლიოთეკის პერსონალზე. ამ მხრივ, რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციებში ვხვდები ხოლმე. ხანდახან ბიბლიოთეკის კარის გაღებიდან პირველივე 10 წუთის განმავლობაში ხდება რადაც ისეთი მნიშვნელოვანი, რაც გაფლენას ახდენს მოელ შემდგომ სამუშაო დღეზე. ასეთ შემთხვევებში მიწევს იმ დღეს წინასწარ შედგენილი განრიგის გვერდზე გადადება. თუმცა არის დღეებიც, როდესაც ყველაფერი შეუფერხებლად, განსაკუთრებული პრობლემის გარეშე ხდება და საშუალება მექლევა, ვიფიქრო ჩემი სამსახურის გრძელებადან საჭიროებებზე.

სამსახურში ადრე მისვლა დასახული ამოცანების შესრულების შესაძლებლობას მაძლევს, თუმცა დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ამას შესაძლოა გვერდითი მოვლენებიც ახლდეს. ნება მიბომეთ, ადგიწეროთ ტიპური დაბაბული სამუშაო დღე. კართანვე მაცნობებენ ორი თანამშრომლის ავადმყოფობის შესახებ (რომელთაგან ერთ-ერთი პასუხისმგებელია თანამშრომლების სამუშაო გრაფიკის მოწესრიგებაზე); ამის გარდა, თურმე ტელეფონები არ მუშაობს; როდესაც ამას ვისმენ, მას სენდება, რომ 20 წუთში მკითხველთა მომსახურების ჯგუფთან თათბირი მაქვს. თან მოტანილი საუზმის მაცივარში შედგმასაც კი ვერ ვასწრებ.

გავრძივარ სატელეფონო ცენტრში (სადაც უპასუხებენ გარედან შემოსულ ყველა ზარს), რომელიც ჩემგან სულ რაღაც 5 სამუშაო მაგიდის მოშორებითაა, რათა გავიგო მათ ტელეფონებსაც თუ აქვთ პრობლემა. ვიგებ, რომ არც მათი ტელეფონები მუშაობს, ამის შესახებ უკვე აცნობეს ტექნიკური მომსახურების განუყოფებას და პასუხად მიიღეს, რომ პრობლემა მაღე მოგვარდება.

ვუბრუნდები ჩემს მაგიდას, ვრთავ კომპიუტერს და ვხსნი თანამშრომლების სამუშაო გრაფიკის დოკუმენტს, სადაც იმ შტატგარეშე თანამშრომლების სიაა, რომლებიც სხვებს ცვლიან ავადმყოფობის დროს. აღმოვაჩინე, რომ ამ თანამშრომლებიდან არავის სცალია, რის გამოც დღეს მომუშავე თანამშრომლებს დამატებითი დავალებების შესრულებ-

ბა მოუწევთ. გასაკეთებელი საქმეების სიაში ჩავინიშნე, რომ გადავამოწმო ხოლმე, რამდენად სცალიათ შტატგარეშე თანამშრომლებს: ზოგადად, მეტი შტატგარეშე თანამშრომლები გვჭირდება თუ მეტი თავისუფალი შტატგარეშე თანამშრომლი? თუ მეტი შტატგარეშე თანამშრომლები გვჭირდება, გვაქვს კი მათი საკმარისი რიცხვი კანდიდატთა სიაში თუ ახალი თანამშრომლების შერჩევა უნდა დავიწყოთ?

შევცვალე რა თანამშრომლების სამუშაო გრაფიკი, ამის შესახებ ვაცნობებ მათ და მივდივარ შესამოწმებლად, ამუშავდა თუ არა ტელეფონები. ამისთვის ქვედა სართულზე ჩასვლა მიწევს, რათა დაველაპარაკო იმ პირს, ვინც ტელეფონებს უპასუხებს, რათა გადავამოწმებინო, სწორად შეასრულა თუ არა სატელეფონო სისტემაში შესვლის პროცედურები, და ვთხოვთ, შეამოწმოს, მუშაობს თუ არა სისტემა. შვებით ამოვისუნოქე, როდესაც გავიგე, რომ ყველაფერი უკვე მუშაობს. ავრბივარ ჩემს სართულზე, ვიდებ თათბირის დღის წესრიგს და ისევ ქვედა სართულზე ჩამოვდივარ.

ვინაიდან ბიბლიოთეკის თანამშრომლები სხვადასხვა ცვლაში მუშაობენ, შეუძლებელია მკითხველთა მომსახურების გუნდის ყველა წევრის ერთ თათბირზე შეკრება. ამიტომ რაიმე პრობლემის მოსაგვარებლად კვირაში იმავე დღის წესრიგის მქონე 4 მცირე თათბირის გამართვა გვიხდება. თათბირის დღის წესრიგში შედის წინა 5 კვირის განმავლობაში სხვა ბიბლიოთეკარების მიერ წამოჭრილი საკითხები. განსახილვებია მრავალი თემა, დაწყებული მეგობრული შესხენებით („გთხოვთ დაიცვათ წესრიგი და სისუფოთავე სამუშაო მაგიდაზე, რადგან ხშირად წიგნებით და წყლის ბოთლებით გადავსებული მხვდება,“ ან „თუ მკითხველი აბრუნებს კომპაქტ-დისკის კოლოფს, რომელშიც დისკი არ დევს, გთხოვთ, მოიქცეთ არსებული პროცედურის შესაბამისად და საქმე სხვას არ გადააბაროთ,“ ან „თუ რაიმეს იპოვთ, გთხოვთ „დაკარგული ნივთების“ ყუთში მოათვავეთ ან გადააგდეთ“) და დამთავრებული ახალი პროცედურების ან ტრენინგების შესახებ სიახლეებით. თათბირის შემდეგ ზედა სართულზე ვბრუნდები, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მატყობინებენ, რომ წიგნების თარო

ჩამოინგრა და რადაც უნდა მოვჟერხოთ.

დაახლოებით შეადგემდე უკვე ათამ-დე ხმოვანი შეტყობინება მიგროვდება ჩემს ტელეფონზე იმ ადამიანებისგან, ვისაც აინტერესებს ინფორმაცია ვაკან-სიის შესახებ, რომელიც გაზოთში გან-ვათავსეთ, და კიდევ ერთი შეტყობინე-ბა სტაჟიორი სტუდენტისგან, რომელიც ვერ ახერხებს სამსახურში მოსვლას. ერთი საათის შემდეგ, როდესაც ვუპა-სუხე სატელეფონო ზარებს, ელ-ფოსტით დავაგზავნე ვაკანსიის აღწერილობა და დავუკავშირდი სხვა სტაჟიორს, რომელ-საც სურდა, დამატებითი საათები ემუშა-ვა, გავაცნობიერე, რომ შესვენების დროა და თან წამოდებული თინჯის სალათი მაცივარში ჯერ არც კი შემიღვამს. რა კარგია, რომ ბიბლიოთეკაში არის კაფ-ეტერია!

სადილის შემდეგ ბიბლიოთეკის დერე-ფანში გამოვიარე (ვამოწმებდი, თაროებ-ზე რა რაოდენობით მასალის დაბრუნე-ბა იყო საჭირო). გზად ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა მომხმარებელმა გამაჩერა, რომელიც ვერ ახერხებდა ინტერნეტში შესვლას. ვაჩვენე, თუ როგორ უნდა შე-სულიყო ინტერნეტში. მან შემომხივლა, რომ ბავშვები ბიბლიოთეკის კომპიუტე-რებით თამაშობენ და, ასევე, ვიდაცები მიირთმევნო საჭმელს ბიბლიოთეკაში. ვუსმენ და ვცდილობ მშვიდად ავუხსნა, რომ საჯარო ბიბლიოთეკები ემსახურე-ბა ყველას ერთნაირად განურჩევლად მათი ასაკისა და მიზნებისა. ხშირად ბევრი ადამიანისთვის როგორია იმ ცვლ-ილებების გაგება, რომლებიც მიმდინ-არეობს თანამედროვე ბიბლიოთეკებში.

ზედა სართულზე ასვლისას შევიარე კადრების განყოფილებაში, რათა გა-მოვართვა იმ ვაკანტურ თანამდებობა-ზე შემოსული განაცხადები, რომელ-ზედაც მიღების ვადა გასულ კვირას დამთავრდა (სულ 55 განაცხადი უნდა წავიკითხო). ბოლოს და ბოლოს, მოვახ-ერხე დაჯდომა და ელ-ფოსტით მიღე-ბული წერილების წაკითხვა. დაგბეჭდე მმართველი გუნდის ხვალინდელი თათ-ბირის დღის წესრიგი და გადავუგზავნე თათბირის მონაწილეებს ბიბლიოთეკის მომხმარებელთა შესახებ სტატისტიკურ ანგარიშთან ერთად.

ტელეფონის ზარი მაწყვეტინებს ბიბლიოთეკის მოხმარების შესახებ სტატისტიკური მონაცემების წყნარად.

განხილვას. მატყობინებენ, რომ ბიბ-ლიოთეკის ერთ-ერთი შტატგარეშე თა-ნამშრომელი ვერ იმუშავებს გრიპის გამო. მის სამუშაო განრიგში ცვლილე-ბა შემაქვს, რომელსაც ვითვალისწინებ მთელი ბიბლიოთეკის თანამშრომლების განრიგის შედგენისას, და ვიწყებ ცვლი-ლებების შეტანას ბიბლიოთეკის დროე-ბითი წევრობის პროცედურებში, რომ-ლებიც იმ კვირაში მცირე თათბირების განვიხილეთ. ამ დროს შემოიარა სტუ-დენტმა, რომელსაც ევალება თაროებ-ზე წიგნების განთავსება, და დამისვა კითხვები საბიბლიოთეკო პერსონალის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით — უნივერსიტეტში ასეთი დავალება მი-უციათ. ცოტა ხანში შემომიარა მეო-რე თანამშრომელმა და შემომჩივლა წიგნების დასაბრუნებელ გარე ყუთოან დაკავშირებულ პრობლემებზე: თანამშ-რომლები წიგნებს ერთ გროვად აწყობენ, ნაცვლად იმისა, რომ დროულად ჩაიძარ-ონ და ფონდში დააბრუნონ. მე კარგად მესმის მისი, ამიტომ ვურჩევ, დაელაპა-რაკოს წინა ცვლის თანამშრომელს. ამ დროს კომპიუტერმა შემახსენა, რომ უნდა ვიმორიგეო სამკიოთხველო დარ-ბაზში. დიდი მაღლობა ელექტრონულ კალენდარს შესენებებისათვის!

სამკიოთხველო დარბაზში მუშაობა სა-შუალებას მაძლევს, დავაკვირდე, როგორ უძღვებიან თანამშრომლები საკუთარ მოვალეობებს. მხოლოდ ასე შემიძლია გავიგო, თუ როგორ მუშაობს თითოეული თანამშრომელი ცალ-ცალკე და ერთად. ამჯერად განსაკუთრებით ვაკვირდები ერთი ახალი შტატგარეშე თანამშრომ-ლის მუშაობას. ნაბეჭდი ერთეულების გაცემა-ჩაბარებასა და ახალი მკიოთხ-ველების რეგისტრაციაში დრო სწრა-ფად გადის. შემდეგ ვესაუბრები ახალ თანამშრომელს, ვკითხები, თუ როგორ მიდის საქმეები, და ვაქებ მას მკიოთხ-ველებთან კარგი ურთიერთობისთვის, ასევე მივუთითებ, თუ რა მხრივ სჭირდ-ება მუშაობის დახვეწა.

სამუშაო დღის ბოლო საათში ვუბრუნ-დები ჩემს მაგიდას. ვაზუსტებ საბოლოო დეტალებს შრომის პიგიენისა და უსა-ფრთხოების ტრენინგთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე თვეში ყველა თა-ნამშრომელმა უნდა გაიაროს. დაბოლოს, ვიწყებ დილით ჩემთვის გადმოცემული 55 განაცხადის კითხვას.

კი, კარგია მაგრამ მაინც...

მუშაობის დროს ჩემი მთავარი ამოცანაა პერსონალის მართვა და მადალი ხარისხის საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფა. ეს უნდა გაკეთდეს კვალიფიციურად, ანუ ისე, რომ ეს არ იყოს შესამჩნევი არც თანამშრომლებისთვის, არც მკითხველებისთვის. თანამშრომლების განრიგის მართვა პგავს თავსატეხი მოზაიკის ამოხსნას. განრიგის წარმატებით შესადგენად თითოეულ თანამშრომელს ვუდგები, როგორც მოზაიკის ცალკეულ დეტალს, რომელიც უნდა მოერგოს საერთო სურათს. თანამშრომლებმა უნდა იმუშაონ ერთად, როგორც პროფესიონალებმა (მაშინაც კი თუ X-ს არ მოსწონს). თუმცა ზოგიერთი თანამშრომელი დავალებებსა და განრიგს ზედმეტად პირადულად ადიქვამს. შეკითხვები უმეტესად უჩნდებათ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენ ცვლაში მოუწია მუშაობა X-ს -თან შედარებით (დღემდე ვერ მივაგენი ისეთ ბიბლიოთეკას, სადაც მსგავსი პრობლემები არ წამოიჭრებოდა), ან რატომ სთხოვეს -ს გაეკეთებინა რადაც, რასაც არ სთხოვენ X-ს. გირჩევთ, ყოველთვის გქონდეთ მზად პასუხები და ასენა-განმარტება უკელა შესაძლო შეკითხვაზე, წინააღმდეგ შემთხვევში დიდ ხათაბალაში გაებმებით.

ბიბლიოთეკით სარგებლობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი ჩემი საქმიანობის სტანდარტული შემადგენელი ნაწილია. სასურველია მათემატიკისა და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (მეც ყოველდღიურად ვხვეწ ჩემს უნარებს). ეს უნარ-ჩვევები განსაკუთრებით გამოგადგებათ, როდესაც მოგიწევთ იმის ასენა, თუ რატომაა საჭირო ბიბლიოთეკის სამუშაო საათების შეცვლა ან პერსონალის გაზრდა-შემცირება. თუმცა ამ თანამდებობაზე უკელა მნიშვნელოვანი თანამშრომლებთან საუბრისა და მათი მოსმენის უნარია. ხანდახან არის შემთხვევები, როდესაც უკელა ფერი ისე არ მიდის, როგორც გეგმავ, ან თანამშრომლებისგან მოულოდნელ რეაქციას იღებ (რაც მეტი თანამშრომელი გყავს, მით უფრო მაღალია ამის ალბათობა). მზად უნდა იყოთ ასეთი შემთხვევებისთვის. ნუ დააკნინებთ კომუნიკაციის როლს ასეთ სიტუაციებში. იცოდეთ, რომ თქვენს თანამშრომ-

ლებთან საუბარზე დახარჯული დრო საუკეთესო ინვესტიციაა, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს თქვენი საბოლოო მიზნის მიღწევაში.

შეეგებებო ხიახლებებს...

გასაუბრების მაგიდის ორივე მხარეს ჯდომის გამოცდილება მაქვს, ამიტომაც ვიცი, რომ ეს არც ერთი მხარისთვის არ არის ადვილი. დიახ, შეიძლება მალიან საინტერეგესო გამოცდილება იყოს ახალ ადამიანებთან შეხვედრა და იმის მოსმენა, თუ რატომ უნდათ თქვენთან მუშაობა და რისი გაკეთება შეუძლიათ, თუმცა გადაწყვეტილება ვაკანსიის შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე უნდა მიიღოთ. თქვენმა გადაწყვეტილებამ შეიძლება გრძელვადიანი გავლენა მოახდინოს ბიბლიოთეკის მუშაობაზე — ან ცუდი, ან კარგი!

სანამ ვაკანსიას გამოაცხადებდეთ, კარგად უნდა დაფიქრდეთ. საჭიროა კი ეს თანამდებობა? სამუშაო საათების წორიად არის განსაზღვრული? რა ცვლილებების შეტანა შეიძლება სამუშაოს აღწერილობაში, რომ ის ჩვენს ხედვას უკეთესად მოერგოს? ეს ყველაფერი უნდა განიხილოთ. ეს შესაძლოა როული პროცესი აღმოჩნდეს, განსაპუორებით, თუ თქვენ არ ეთანხმებით იმათ შეხედულებებს, ვისი აზრის გათვალისწინებაც აუცილებელია. მზადდება რეკომენდაციები და ცვლილებები შედის სამუშაოს აღწერილობაში. ასევე საჭიროა შეთანხმება კადრების განყოფილებასთან. სამუშაოზე აყვანის პროცესი ადვილი არასოდეს არის.

პირველ გასაუბრებამდე წავიკითხე სტატიები და წიგნები, თუ როგორ უნდა ჩამეტარებინა ის; სხვებიც გამოვკითხე, თუ როგორ აგარებდნენ გასაუბრებებს. პროცესის შესახებ ინფორმაცია რომ მოვიპოვე და წარმოვიდგინე ჩემი როლი, უფრო დავმშვიდდი. რაც მთავრია, ვისწავლე სწორი კითხვების დასმა, რომლებიც საშუალებას მისცემს კანდიდატებს, თაგიანთი პრაქტიკული გამოცდილებიდან ისაუბრონ და არ შემოიფარგლონ სტანდარტული პასუხებით. ხშირად უკელა როული დაწესებულების შიგა გასაუბრებებია. გასაუბრებაზე მოსულ ძველ თანამშრომლებს ხშირად პგონიათ, რომ მათ კარგად იცნობთ, და უჭირო საკუთარ თავზე არსებითი ინფორმაციის მოწოდება.

მნელია, ადამიანს აცნობო, რომ ის არ აირჩიეს ვაკანტურ თანამდებობაზე. ვცდილობ ხოლმე, ყურადღება გავამახვილო იმ საკითხებზე, რომლებშიც თავი კარგად წარმოაჩინა, თუმცა იმასაც ვუხსნი, თუ რის გამო ვერ დააკმაყოფილა შესარჩევი კრიტერუმები. ცუდი ამბის შეტყობინება ყოველთვის რთულია, მიუხედავად იმისა, თუ მერამდენედ აკეთება ამას.

...და გაუგებლავდით სირთულეებს ნებისმიერ ადამიანს, ვინც სხვა თანამშრომლებს ხელმძღვანელობს, მიუხედავად იმისა, თუ რა თანამდებობაზეა, ერთ რამეს ვურჩევ: აწარმოეთ შენიშვნების დღიური. საკუთარ თავზე გამოვცადე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ყოფილა თანამშრომლებთან საუბრებისა და მათ შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ჩანიშვნა. დიახ, ამაზე დიდი დრო დაიხარჯება, მაგრამ დამიჯერეთ, ეგ ჩანაწერები კარგ სამსახურს გაგიწევთ. მე არ ვამბობ, რომ აბსოლუტურად უველაფერი უნდა ჩაიწეროთ, მაგრამ ნამდვილად უნდა ჩაინიშნოთ, თუ მოგოწიათ თანამშრომელთან დალაპარაკება სამუშაოს დაბალი ხარისხის თაობაზე ან შეამჩნიეთ უარყოფითი დამოკიდებულება სამუშაოს მიმართ. შესაძლოა, მსგავსი პრობლემები კანონზომიერ ხასიათს იდებდეს, მაგრამ ამას ვერ ამჩნევდეთ, სანამ თქვენს ჩანაწერებს არ გადახედავთ. ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელშიც კი შეიძლება მუშაობდეთ, ექნება არასათანადო მუშაობაზე რეაგირების წესები. უნდა იცოდეთ ეს წესები და ნუ შეგეშინდებათ მათი გამოყენების.

თქვენ ჯერ კიდევ კითხულობთ... და მაინც გინდათ ჩემნაირი სამუშაო?
შესანიშნავია! ბიბლიოთეკებს — ზომის, სამუშაო საათებისა და თანამშრომელთა რაოდენობის მიუხედავად — სჭირდებათ თქვენნაირი ადამიანები! ვიცი, რომ სამუშაო განრიგების შედგენასა და თანამშრომლების მართვას არ ასწავლის ჩემთვის ცნობილი არცერთი საბიბლიოთეკო კურსი, მაგრამ, ჩემი აზრით, უნდა ასწავლიდნენ, რადგან ეს გადამწყვეტ გავლენას ახდენს ბიბლიოთეკის წარმატებულ მუშაობაზე. მთავარი პიროვნული თვისება, რომელიც უნდა ჰქონდეს ამ თანამდებობაზე მომუშავე ადამიანს, — ეს არის კონფლიქტების, სტრესისა და ცვლილებების კარგი ამგანობა.

ამონარიდი წიგნიდან „ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან: კარიერული წარმატება საბიბლიოთეკო საქმესა და საინფორმაციო მეცნიერებაში“ (პრისცილა კ. შონტზისა და რიჩარდ ა. მარის რედაქტორობით; Shontz, Priscilla K. and Richard A. Murray, editors. *A Day in the Life: Career Options in Library and Information Science*. Libraries Unlimited, 2007)

ინგლისურიდან თარგმნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელმა **თინათინ სულუხიამ**.

მეთოდური სამსახური

თინათინ ცომახაის

საქართველოს პარამეტრის ცენტრული ბიბლიოთეკის
საბიბლიოთეკო აუსახვის მინიჭობის მოადგილი

წიგნის შეფასების პრიტერიუმები

დოკუმენტების შეფასების მეთოდიკა

დოკუმენტების შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი რეალობა - არ შეფასდეს წიგნი ძალიან ძვირად, რომ არ გართულდეს საკუთარი მატერიალური პასუხისმგებლობა, ან ძალიან იაფად, რომ არ გაუჩნდეს მომსმარებელს და თანამშრომლებს წიგნის უპატივცემულობის შეგრძნების, ან წიგნთან უდიერად მოპყრობის სტიმული.

წიგნის ფასის დადგენა ადვილი არ არის. ეს ეხება, როგორც თანამედროვე ახალ გამოცემებს, ასევე ბუკინისტურს (მოძველებულს). ექსპერტებიც კი, შეფასების არაერთგვაროვან მიღგომებსა და სირთულეებზე საუბრობენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცემის ადგილს (წიგნზე ყველაზე დიდი მოთხოვნა და მისი ყველაზე დიდ ფასად გაფიდვის ალბათობა არის იმ ქვეყანაში, სადაც ეს წიგნი დაიბეჭდა).

დოკუმენტების ექსპერტიზა ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- დოკუმენტის ისტორიულ-კულტურული, ინფორმაციულ-ესთეტიკური ღირებულებების კრიტერიუმი;

- დოკუმენტის აქტუალურობის კრიტერიუმი: კონკრეტული დოკუმენტის შეფასების პროცესში გამოყენებული სხვადასხვა ნიშან-თვისება. მაგ.: ავტორის ან გამოცემლის ავტორიზები, ნაწარმოების ხარისხი, ენა, ფასი;

ქრონოლოგიური კრიტერიუმი: სამამულო და საზღვარგარეთული ბეჭდური დოკუმენტები, გამოცემული წიგნის ბეჭდვის დასაბამიდან (მაგ. ძვირად ფასდება პრაქტიკულად ყველაფერი, რაც გამოიცემოდა მე-18 საუკუნემდე. ძვირად შეიძლება შეფასდეს აგრეთვე 1830 წლამდე გამოცემული წიგნები, ვინადან ამ წელს დაიწყო ეპროპაში გამოცემების ტირაჟირება, მასიური წიგნწარმოება);

სოციალურ-დირებულებითი კრიტერიუმი: ყდის მხატვრული დირებულება, პოლიგრაფიული ტექნიკით გაფორმებული მინიატურული, უჩვეულო ფორმ-

ის გამოცემები, ცნობილი მხატვრების, ილუსტრატორების, გრავიორების გაფორმებული გამოცემები;

გამოცემის უნიკალურობის კრიტერიუმი: ერთეულ ეგზემპლარებად შემონახული გამოცემები: გამოცემები, რომლებსაც აქვთ ინდივიდუალური ნიშან-თვისებები - რაიმე ნიშნული, ავტოგრაფი, გამომცელის ბეჭედი; გამოცემები, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო და ისტორიული მნიშვნელობა;

პრიორიტეტულობის კრიტერიუმი: კლასიკოსების პირველი გამოცემები და მათ სიცოცხლეში დაბეჭდილი გამოცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია ისტორიისთვის, მეცნიერებისთვის, კულტურისთვის;

რაოდენობრივი კრიტერიუმი: მცირებირაჟიანი გამოცემები, ბიბლიოგრაფიული იშვიათობა.

შემოწირულობა-საჩუქრის შეფასება

ბიბლიოთეკების დაკომპლექტების ერთ-ერთი და მუდმივი წყაროა შემოწირულობა და საჩუქარი (გარდა შეძენისა და საგადაღებულო ეგზემპლარისა).

შემოწირულობით შემოთავაზებულ წიგნებს აქვთ სხვადასხვა დირებულება - ძალიან საჭირო და ძვირფასი გამოცემებით დაწყებული და აშკარა მაკულატურით დამთავრებული, რომლის რაოდენობა სამწუხაროდ ძალიან დიდია. როგორც წესი, ბიბლიოთეკებს საჩუქრად სთავაზობენ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ წიგნებს. ამ გამოცემებით ბიბლიოთეკები თავად კომპლექტდებოდა და მისთვის არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს მათი მიღება, ამიტომ ფონდში წიგნების ჩარიცხვა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ეს საჩუქრია, არ არის სწორი პრაქტიკა.

შემოწირულობასთან მუშაობა რეგლამენტირებულია ბიბლიოთეკაში მომზადებული სახვადასხვა შიდა ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტებით: ინსტრუქციები, დებულებები, წესები, ხელშეკრულებები, რომლებიც არეგული-

რებს ბიბლიოთეკისა და შემომწირვების ურთიერთობებს, განსაზღვრავს დოკუმენტების მიღების წესებს, ფასტარმოქმნის პროცესს და საბიბლიოთეკო ფონდში მათ ჩარიცხვას.

ადნიშნული ნორმატიული დოკუმენტები ორიენტირებული უნდა იყოს როგორც სპეციალისტ-ბიბლიოთეკარებზე, ასევე მომხმარებელსა და შემომწირველზე.

შემომწირველს აუცილებლად უნდა განუმარტონ, რომ შემოთავაზებული საჩუქარი იმავე წესით ჩაირიცხება ფონდში, როგორც შეძენილი დოკუმენტები ანუ ბიბლიოთეკას შეუძლია მიიღოს საჩუქარი და განკარგოს ის თავისი შეხედულებისამებრ (შემომწირველისთვის შეუტყობინებლად გადასცეს სხვა ორგანიზაციებს, გაცვალოს და ა.შ.)

შემომწირველს სასურველია აუხსნან, რომ საბიბლიოთეკო ფონდში ჩასარიცხი წიგნები ფასდება მათი შემდგომი შენახვის მიზნით და შეფასებას ახორციელებენ ბიბლიოთეკის სპეციალისტები (შეფასების დროს გამოიყენება წიგნის ბაზარზე არსებული ფასები, გამომცემლების და წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციების პრაის-ლისტები).

შემომწირველის სურვილით შესაძლოა ხელშეკრულების გაფორმება საჩუქარზე. ხელშეკრულება იურიდიული დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს შემომწირულობის მიღებას. მასში აღნიშნული უნდა იყოს, რომ შემომწირულობის ფასს ადგენს ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შემფასებელი კომისია და არა შემომწირველი პირი/ორგანიზაცია.

თუ საჩუქარი სიძველის ან ფიზიკური მდგრადი გამო ბიბლიოთეკას არ ესაჭიროება, უნდა აცნობონ შემომწირველს.

ბიბლიოთეკა შეუძლია უარი თქვას შემომწირულობაზე, თუ შემომწირველი მოითხოვს ბიბლიოთეკის საქმიანობისთვის შეუფერებელ პირობებს (მაგალითად ცნობების გაცემა საგადასახადოსთვის).

საბაზრო დირებულება

საჩუქრად მიღებული დოკუმენტების ფასი განისაზღვრება წიგნის ბაზარზე არსებული დირებულებით. მაგრამ საბაზრო დირებულება არ არის ყოველთვის ერთნაირი, ორიენტირი უნდა იყოს ადგილობრივი ფასები.

რაახდენს გავლენას წიგნის შეფასებაზე

1. წიგნის ასაკი. ეს მეტად მნიშვნელო-

ვანი ფაქტორია, მაგრამ არა ძირითადი. ფასზე გავლენას ახდენს ტექსტის მნიშვნელობა, წიგნის ფიზიკური მდგრადი და მასზე მოთხოვნა.

2. წიგნის შინაარსი. როგორც წესი, მხატვრული ლიტერატურა ფასდება უფრო მეტად, ვიდრე სამეცნიერო-ტექნიკური. თუმცა არსებობს გამონაკლისი. ინტერესს იწვევს ძველი, ცნობილი მხატვრების ილუსტრირებული წიგნები. უფრო ძვირია წიგნები, რომლებიც აკრძალა ცენტურამ, ძირითადი ტირაჟი განადგურდა და დარჩა ეგზემპლარების მცირე რაოდენობა. დირებულია წიგნები, რომლებიც ბეჭდვის ახალი ტექნილოგიებით გამოირჩევა.

3. წიგნები, რომლებიც ავტორის სიცოცხლეშია გამოცემული უფრო მეტად ფასდება.

4. აკინძვის ხარისხი. მნიშვნელობა აქვს აკინძვის მასალას და აგრეთვე მისი შენახვის ხარისხს. ყველაზე ძვირფასად ითვლება ოქროთი ტვიფრული ფრანგული (მთლიანად ტყავგადაკრული) და ტარსიკონის (თხის ტყავისგან დამზადებული) ყდები.

5. წიგნის ბლოკის სისრულე. ფასზე ყველაზე მეტად აისახება ფურცლების ნაკლულობა, ყველაზე ნაკლებად - მინაწერები მინდვრებზე და ტექსტის უმნიშვნელო დაზიანება.

6. წიგნის ტირაჟი - რაც ნაკლებია, მით მეტად ფასდება. მეტად ფასობს განადგურებული ტირაჟიდან გადარჩენილი ეგზემპლარები. შეფასებისას საჭიროა წიგნის ისტორიის გათვალისწინება.

7. წიგნის კომპალექტები. კომპალექტი, რომელსაც აკლია თუნდაც ერთი ტომი, მთლიანზე ბევრად ნაკლები დირს, ცალკეული ტომიც ძვირად არ ფასდება;

8. ავტოგრაფიანი და წინა მფლობელის მინაწერიანი წიგნის შეფასება.

ძვირფასად ითვლება წიგნი, რომელსაც აქვს მფლობელის მინაწერი, განსაკუთრებით თუ იგი ცნობილი პირვენებაა. ასეთი მინაწერი შესაძლოა გაყალბებული იყოს, ამიტომ საჭიროა მინაწერის ავთენტურობის დადგენა.

გადაფასების კოეფიციენტების გამოყენება

სხვა ვალუტაში შეფასებული დოკუმენტების შემთხვევაში, ბიბლიოთეკებში

გამოიყენება გადასაფასებელი კოეფიციენტები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი. გადაფასებას აწარმოებს ბიბლიოთეკაში შექმნილი დოკუმენტების გადამფასებელი კომისია;

კომისიის წევრებს და დებულებას ამგკიცებს ბიბლიოთეკის დირექტორი. კომისიის ერთ-ერთი წევრი აუცილებლად უნდა იყოს ბიბლიოთეკის ბუღალტერი, შესაძლოა ფინანსისტის მოწვევაც სხვა ორგანიზაციიდან;

ბიბლიოთეკარებმა გადამფასებელ კომისიას უნდა წარუდგინონ სხვა ვალუტაში, მაგალითად მანეთებში შეფასებული წიგნების ჯამი, ან ერთეული ეგზემპლარის ფასი სხვა ვალუტაში (მანეთი, კუპონი და სხვა), ხოლო კომისია ვალდებულია გადამფასოს წარდგენილი თანხა ლარში;

ლარში გადაფასებული წიგნები ბიბლიოთეკის ბუღალტერიამ უნდა აიყვანოს ბიბლიოთეკის საბუღალტო ბალანსზე;

გადასაფასებელი კოეფიციენტები შემოდებულია 1992 წლიდან. წიგნის ფონდები ჩაითვალი ძირითად საშუალებებად და შეეფარდა სამი სახის კოეფიციენტი, რომელთა გადაფასება წარმოებს წიგნის გამოცემის თარიღთან შესაბამისობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.ifla.org/files/assets/hq/publications/...report/116.pdf>

შემოწირულობა საბიბლიოთეკო ფონდებისთვის

2. საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვა / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ; 2016

ბეჭედი თაყნიაშვილი

ბავშვთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება მუნიციპალიტეტში

მეთოდური რეკომენდაციები

G უნიციპალიტეტში ბაგშვთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფენ დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები, ცენტრალურ ბიბლიოთეკებთან მოქმედი საბავშვო განყოფილებები, სასოფლო (საჯარო) ბიბლიოთეკა-ფილიალები და საჯარო სკოლებთან მოქმედი ბიბლიოთეკები. საქართველოში ბაგშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების მდიდარი ტრადიცია და გამოცდილება გაგვაჩნია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, ცნობილი პედაგოგები ჯერვან უურადღებას უთმობდნენ ბაგშვთა და მოზარდთა განათლებას, აღზრდას, წიგნიერების დონის ამაღლებისა და ინტელექტუალური ზრდის საკითხებს. გასული საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკების ქსელი; საბავშვო ბიბლიოთეკების რაოდენობა 1990-იანი წლებისათვის 200-სს აჭარბებდა. ბაგშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებაში დამკვიდრებული ინდივიდუალური და მასობრივი მუშაობის ფორმები,

რომლებიც წლების განმავლობაში დამკვიდრდა პრაქტიკაში, დღესაც ინარჩუნებენ სასიცოცხლო მნიშვნელობას. უმცროსი სასკოლო ასაკის ბაგშვისათვის კვლავ დგება კითხვის პროგრამები; ბაგშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკარები ახლოს იცნობენ ბაგშვ მკითხველებს ბიბლიოთეკაში მოსვლის პირველივე დღიდან. აკვირდებიან რა ბაგშვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ბიბლიოთეკარები სისტემატურად ზრდიან მის ინტერესს კითხვის თემატიკის გამრავალფეროვნებისათვის. ბაგშვი მკითხველი თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ შედის საბავშვო ლიტერატურის სამყაროში, ეცნობა მანამდე უცნობ ავტორებს; ბიბლიოთეკარის დახმარებით ბაგშვი გადადის სხვა თემატიკის შესახებ არსებული ლიტერატურის კითხვაზე. ბაგშვი მკითხველის ინტელექტუალური ზრდა, მისი განათლების დონის ამაღლება მარჯვედ შერჩეული წიგნებით საბოლოო ნაყოფს თანდათანობით გამოიდებს უფრო მოზრდილი ასაკის პერიოდისათვის. ამ დროს ბაგშვს უჩნდება ინტერესი გარკვეული პროფესიებისადმი. ბიბლიოთეკარი-

საოვის მკითხველის ასეთი ინტერესი არ უნდა დარჩეს შუმჩნეველი. ბავშვი თანდათან უნდა შეიყვანოს პროფესიათა მრავალფეროვნების სამყაროში. ეს პროცესი ლოგიკურად უნდა უკავშირდებოდეს მარჯვედ შერჩეულ სამეცნიერო-პოპულარული წიგნების თემაზიკას. მე-7, მე-9 კლასის მოსწავლისათვის დიდია სწრაფვა ისეთი პროფესიებისადმი, რომლებიც დღეისათვის უფრო პოპულარული და ცხოვრებაში დამკავიდრებულია.

კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ სწრაფად შეცვალა ბავშვთა კითხვის ინტერესი. მიზნობრივი, რაციონალური კითხვა სწრაფად მკვიდრდება საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. სასწავლო პროცესს ორგანულად ერწყმის ელექტრონული რესურსების გამოყენება. უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ადგილად ერთვებიან კომპიუტერულ თამაშებში. ბიბლიოთეკარების ამოცანას შეადგენს თრგანულად შეათავსოს ერთიმეორებს წიგნიდან მიღბული ცოდნა კომპიუტერიდან მოპოვებულ ინფორმაციას. მოსწავლე, და მით უმეტეს პედაგოგი არ უნდა დაკმაყოფილდეს კომპიუტერიდან ამოდებულ ფრაგმენტულ ეპიზოდებს რომელიმე მხატვრული ნაწარმოებიდან, იქნება ეს პერსონაჟის დახასიათება, თუ რომელიმე კონკრეტული თემის შესრულება. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ინფორმირებულობის დონე მკეთრად ჩამორჩება მათი განათლების დონეს. დღეისათვის ყველა დასახლებული ადგილების ინტერენტიზაციის პროცესი ინტერენტიზაციის დიდი ნაწილი იქმნება სასწავლო და საინფორმაციო ცენტრები. ახალგაზრდები მაღვე ხდებიან საზოგადოების სრულყოფილი წევრები. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ბავშვთა კითხვის პროცესი მკეთრად იცვლება როგორც შინაარსობრივი, ასევე, ორგანიზაციული თვალსაზრისით. კითხვისადმი ინტერესის გადვიძება უნდა დავიწყოთ უმცროსი სასკოლო ასაკიდანვე. ელექტრონული საინფორმაციო რესურსების გამოყენება კითხვის პროცესში თანდათანობით უნდა მკვიდრდებოდეს მოზარდის საკითხავ პროგრამაში. ბიბლიოთეკარებმა არ უნდა დაუშვან, რომ ბავშვ მკითხველს ადგილად დაეუფლოს ბეჭდური წიგნისადმი გაუცხოების პრობლემა. კითხვის ეტაპობრივი პროგრამები თანაბრად უნდა ითვალისწინებდეს ბეჭდური და ელექტრონული

მასალების გამოყენებას. ინტერნეტიო მომსახურების ჩვევების გამომუშავება უნდა მიმდინარეობდეს მოზომილი პედაგოგური ტაქტიო, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ბავშვის ასაკობრივი თავისებურებანი, მისი ფსიქოლოგიური მიღრეკილებები და შესაძლებლობები.

ბავშვთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებების პროცესში შეუნელებელი უურადღება უნდა მიექცეს მათს აქტიურ პოზიციას სასკოლო ცხოვრებაში, აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები პირდაპირ უნდა მიუთითებდეს ბავშვის მომზადების, წიგნიერებისა და განათლებულების დონეზე. ბავშვ მკითხველთა ასაკობრივი დიფერენციაცია ორ მიზანს ემსახურება, - პირველი ის, რომ ასეთი მიღომით ბიბლიოთეკარს საშუალება აქვს კითხვის პროცესში გაითვალისწინოს მისი ასაკობრივი დონე, მონაცემები, რათა სწორად წარმართოს ბავშვის კითხვის პროცესი და მეორე, ის, რომ ასაკობრივი დიფერენციაცია საფუძვლად უდევს საბავშვო ფონდის სისტემატიზაციას. ეს პროცესი, ანუ ფონდების ასაკობრივი დაყოფა ერთგვარ საფუძველს წარმოადგენს წიგნების შერჩევისა და კითხვის პროცესის პედაგოგიური პრინციპით წარმართვის საქმეში.

საბავშვო განეოფილებებსა და საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებში, ისევე, როგორც სასოფლო ბიბლიოთეკებში ბავშვთათვის განკუთვნილი ფონდები სისტემატიზებულია ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

I - სკოლამდელი და 1-2 კლასის მოსწავლეები;

II - უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები, 3-4 კლასელები;

III - საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეები, 5-6 კლასელები;

IV - უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები, 7-9 კლასელები.

ასეთი დაყოფა არ არის მკეთრად გამიჯნული იმ თვალსაზრისით, რომ ძნელია ასაკობრივი ზღუდების მიხედვით ზედმიწევნით მოვითხოვთ წიგნების გაცემა სახელდობრ ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან. მე-6, მე-7 კლასელები დიდი ინტერესით კითხულობენ მე-8, მე-9 კლასელთათვის განკუთვნილ გამოცემებს. ასეთი მიღომა შეინიშნება ყველა შინაარსის დიტერატურის მიმართ, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურასთან მიმართებაში. ამ პროცეს-

ში მაინც გადამწყვეტ სიტყვას ბიბლიოოთეკარი ამბობს, რომელმაც კარგად იცის მოზრდილთა საკითხავი ინტერესი და ბავშვის მკითხველური ბიოგრაფია. ასაკობრივი პრინციპის დაცვა კითხვაში უფრო მიზანშეწონილი და ეფექტურია უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებთან მუშაობის პროცესში. ასეთი დაყოფა საბავშვო ფონდებისა ძირითადად ემსახურება კითხვის ინტენსივობის ზრდას, სისტემატური კითხვის აყვანას აკადემიურ დონემდე, სადაც ოანაბრად იქნება წარმოდგენილი ბეჭდური მასალები და ელექტრონული რესურსები.

ოანაბროვე ბავშვი იზრდება შეცვლილ გარემოში, მის გონიერებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ინფორმირების მრავალნაირი საშუალება, რომელთა არსში გარკვევა საჭიროებს უხიზელ პედაგოგიურ მიღებობას. ბავშვი იმთავიდანვე უნდა ვაზიაროთ ქართულ კლასიკურ საბავშვო ლიტერატურას. ბავშვი მკითხველი ასაკის მიხედვით უნდა იცნობდეს ქართული საბავშვო ლიტერატურის ისეთ მოამაგებას, როგორებიც იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, შ. მდვიმელი, რ. ერისთავი, შ. არაგვისპირელი, თ. რაზიკაშვილი, ე. გაბაშვილი, ი. ევდოშვილი, ნ. ლომოური; მე-20 საუკუნის საბავშვო მწერლებიდან: ი. გრიშაშვილი, ლ. ქიანჩელი, მარიჯანი, გრ. აბაშიძე, ნ. კეცხოველი; მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ცხობილ საბავშვო მწერლებს: ხ. ბერულავა, კ. გოგიაშვილი, ნ. დუმბაძე, რ. ინანიშვილი, თ. იოსელიანი, ა. სულაკაშვილი, მ. ფოცხვერაშვილი, გ. ჭიჭინაძე და სხვები. ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებლად სამართლიანად ითვლება დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი.

მუნიციპალიტეტში ბავშვთა საბიბლიოოთეკო და საინფორმაციო მდგომარეობის შესწავლისა და ანალიზისათვის პირველ ეტაპზე აუცილებელია დაზუსტდეს მათი რაოდენობა. ბავშვთა მომსახურებას უზრუნველყოფენ ადგილობრივ ხელისუფლებას დაკვემდებარებული ორი უწყება: საჯარო ბიბლიოთეკები და საჯარო სკოლებთან მოქმედი ბიბლიოთეკები. ორივე უწყების კოორდინაციული მუშაობით შესწავლილი უნდა იქნეს არსებული მდგომარეობა და დაისახოს ქმედითი დონისძიებები, შემუშავდეს რეკომენდაციები. არსებული პრობლემების გადაჭრა ერთდროულად, ოპერატორულად შუძლებელია. მხედველობაში უნდა

იქნეს მიღებული ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკის არსებული მდგომარეობა, ადამიანური რესურსები და, რაც მთავარია, ბავშვთათვის განკუთვნილი საბიბლიოთეკო ცონდების ხარისხი, განათლების მაჩვენებელი და ისეთი საკითხები, რომლებიც პირველ ეტაპზე შეიძლება გადაიჭრას დიდი მაღისხევის გარეშე.

მუნიციპალიტეტში ბავშვთა რაოდენობა უნდა დაზუსტდეს საჯარო (სასოფლო) ბიბლიოთეკებში და საჯარო სკოლებიდან მოპოვებული ინფორმაციით:

ბავშვთა (I – IX კლასები) რაოდენობა მუნიციპალიტეტში

ცენტრში -

სოფლებში -

ბავშვთა რაოდენობა სოფლებში

№	სოფლის დასახელება	ბავშვთა რაოდენობა	მკითხველთა რაოდენობა	ჩაბმის %	შენიშვნა
1					
2					
3					
4					
...					

ბავშვთა რაოდენობა (I – IX კლასები) საჯარო სკოლებში

№	სკოლების დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა (I-IX კლ.)	ბავშვ მკითხველთა რაოდენობა	ჩაბმის %	შენიშვნა
1					
2					
3					
...					

ბავშვთა კითხვადობის შენაჯამი მუნიციპალიტეტში

№	ბავშვთა რაოდენობა სულ	მკითხველთა რაოდენობა	ჩაბმის %	შენიშვნა
1				
2				
3				
...				

საბავშვო ფონდების რაოდენობა მუნიციპალიტეტში

№	სოფლების დასახელება	ფონდების რაოდენობა (ეგზ.)	ბავშვთა კონტიგენტი (I-IX კლ.)	უზრუნველყოფის კოეფიციენტი	შენიშვნა
1					
2					
3					
...					

საბავშვო ფონდების რაოდენობა საჯარო სკოლებში

№	სკოლების დასახელება	ფონდების რაოდენობა (ეგზ.)	ბავშვთა კონტიგენტი (I-IX კლ.)	უზრუნველყოფის კოეფიციენტი	შენიშვნა
1					
2					
3					
...					

ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ ასევე უნდა გაანალიზოს ბავშვთა კითხვადობის მაჩვენებლები მუნიციპალიტეტში:

**მკითხველთა რაოდენობა
მუნიციპალიტეტში** = %

**საბავშვო კონტიგენტი მთლიანად
მუნიციპალიტეტში**

კითხვადობის დაბალი მაჩვენებელი უნდა აისწას ფონდების შინაარსის შეუსაბამობით ბავშვთა საკითხავ ინტერესობას. დაბალი კითხვადობა სხვა გარემოებებითაც აისწენდა; ამ მაჩვენებელზე უარყოფითად მოქმედებს თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების არაგეგმაზომიერი გამოყენება, ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობისადმი შენელებული ტენდენციები, ოჯახის სკოლისა და ბიბლიოთეკების დაბალი ურთიერთობაზრდობის პრობლემები. მუნიციპალიტეტში ბავშვთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგრამარებით შესწავლის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს სასკოლო ასაკის მოსწავლეთა იმ რაოდენობაზე, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამოვერ დადიან სკოლებში, ვერ დებულობენ სასკოლო განათლებას სოციალური თუ სხვა პრობლემების გამო. საერთოდ, მსოფლიოში მომრავლდა იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებმაც საერთოდ არ იციან წერა-კითხება. ასეთი ბავშვების რაოდენობა შესწავლილი უნდა იქნეს მუნიციპალიტეტში და დაისახოს გარკვეული სახის ქმედითი ღონისძიებები.

ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ ბავშვთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მდგრამარება უფრო დეტალურად, პროფესიული მიღებით უნდა შეისწავლოს ცენტრში, სადაც დიდია ბავშვთა კონ-

ტიგენტი, უფრო მეტად აქტიურია მათი მონაწილეობა საბიბლიოთეკო ღონისძიებებში. უფროდ და არ უნდა დარჩეს ის სკოლები და სასოფლო ბიბლიოთეკები, სადაც შედარებით მცირეა ბავშვთა რაოდენობა. ბავშვ მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურებებში, როგორც ადგიშეთ, ინტერესი არ დაუკარგავთ ტრადიციული მომსახურებების ფორმებსა და მეთოდებს. უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები დიდი ინტერესით მონაწილეობენ ბიბლიოთეკაში მოწყობილ საიუბილეო ღონისძიებებში. ასეთებია: წიგნის წარდგენა, შეხვედრები მუნიციპალიტეტის ცნობილ პიროვნებებთან, საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ცოცხალი ბიბლიოთეკის ორგანიზება და სხვა სახის ღონისძიებები. ბიბლიოთეკებში ეწყობა შეხვედრები შემოქმედ ბავშვებთან, ადგილებზე აქვეყნებენ მათი პოვნის, თუ პროზის ნიმუშებს; შემოქმედი მკითხველების ბევრი მხატვრული ნიმუში გამოქვეყნდა ბიბლიოთეკართა პროფესიულ ეურნალში „საქართველოს ბიბლიოთეკა“.

ლიტერატურა:

1. ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურება ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციის პირობებში/შემდგ.: გრ. მუხაშვილია.- თბ., 1974.- 34 გვ;
2. მჭედლიშვილი, გ. ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაცია და მისი პედაგოგიური როლი საგანმანათლებლო სისტემაში .- თბ., 2008.- 101 გვ.;
3. საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილები: მასობრივი, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის .- თბ., 1998.- 118 გვ.;
4. ბერულავა, გ. ნორჩ მკითხველებს წიგნისა და ბიბლიოთეკის შესახებ .- თ., 1946.- 45 გვ.;
5. ბერულავა, გ. საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაობის ზოგიერთი საკითხი.- თბ., 1967.- 91 გვ.;
6. თაყნიაშვილი, გ. დიმიტრი უზნაძის დაკვირვება ბავშვთა კითხვაზე// საქართველოს ბიბლიოთეკა.
7. ლორია, ა. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია, ნაწ. 2: (მკითხველებთან მუშაობა) .- თბ., 1996 .- 95 გვ.

**ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხას ბიბლიოთეკარის
რეცეპტი**

მომზადების დრო:	1 თვე
სირთულე:	
ყველაზე მეტად უხდება:	საქმისადმი სიყვარული მიზანდასახულობა ინფორმირებულობა ხელმისაწვდომობა



ინგრედიენტები :

- სწრაფი ინტერნეტი, Wi-Fi;
- თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა;
- მომხმარებელთა მოთხოვნის უზრუნველყოფა;
- ლამაზი, მშვიდი და კომფორტული გარემო.

რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი ველისციხის ბიბლიოთეკაში?

ჩვენს სოფელში წლების მანძილზე არსებობდა საუკეთესო ბიბლიოთეკა, მაგრამ, როგორც საქ-ოს სხვა სოფლებში, ჩვენთანაც დაიხურა. 11 000 წიგნადი ფონდი გადაეცა სკოლის ბიბლიოთეკას და განთავსდა სკოლის ბიბლიოთეკაში.

2017წ. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით, სოფლის ცენტრში, სკვერში, აშენდა და კეთილმოეწყო ახალი ბიბლიოთეკა, საუკეთესო ინვენტარით. სოფლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდიდან გადარჩეული იქნა და აუზიანებელი და საჭირო ლიტერატურა, რომელიც განვათავსეთ ახალ ბიბლიოთეკაში, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ უზრუნველყო ახალი ლიტერატურით მომარაგება.

პროექტმა „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში გადმოგვეცა თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკას სრული კომპლექტი, რამაც ხელი შეუწყო ახალი ეტაპის აღორმინებას, ხელმისაწვდომი გახდა ახალი სერვისები: ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში, სასურველი ინფორმაციის დაბეჭდვა დაქსეროქსება, ასევე ელექტრონული სერვისების შესწავლა და გამოყენება. ამ ყველაფერმა ხელი სეუწყო ბიბლიოტეკას საზოგადოებრივ ცენტრად ჩამოყალიბებაში.



ბიბლიოთეკაში მშვიდი და სასიამოვნო გარემოა. წიგნები და ტექნიკა განთავსებულია ერთ სივრცეში. გვაქვს ყოველკირეული ჟურნალები, გაზეთები, როგორც ზრდასრული ადამიანებისათვის ასევე პატარა ასაკის ბავშვებისთვის, რაც ზრდის მომხმარებელთა რაოდენობას. ჩვენს ბიბლიოთეკაში იმართება ფილმებისა და მულტფილმების ჩვენება პატარებისათვის. ასევე დისკუსიები, ერთერთი დისკუსია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ გაიმართა, რომლის სახელწოდება იყო „მითები ევროკავშირისა და ნატოს შესახებ“. შეხვედრა ხამურის ბიბლიოთეკის ამერიკის კუთხის „მობილური პროგრამა სოფლებისთვის“ ხელშეწყობით მოეწყო. ამავე პროგრამით ჩვენს ბიბლიოთეკაში ტარდება უცხოენის გავეთილები სოფლის მოსახლეობისათვის სრულიად უფასოდ. ვთანამშრომლობთ სკოლასთან და საბავშვო ბაღთან, ვაცნობთ სიახლეებს და ვთავაზობთ ჩვენს სერვისებს.

**რა უნდა
გააკეთოთ თქვენ:**

- იყავით ღიმილიანი
- იყავით მიზანდასახულები
- იყავით ინფორმირებულები რათა დაეხმაროთ თქმის



„შეფ-მზარეულის“ რჩევები:

ძვირფასო კოდეგებით, შექმნით მუდრო, სასიამოვნო გარემო, იყავით მომღიმარი. ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეძიოთ მუდმივად სიახლეები, რათა განვითარდეთ თავად თქვენ, საკუთარი შესაძლებლობები ინტერნეტ სიგრაფში, რაც ხელს შეუწყობს ყველა სახის მომსახურებას მომსახურებელთან. ერთურთის თანადგომით ჩვენ შევძლებთ საქართველოში ბიბლიოთეკები იქცეს საყვარელ და სასურველ სიფლის საზოგადოებრივ ცენტრად!



ტერმინულობის ძირი

ბეჭედის თავისი შემთხვევა

მათევალი თუ მომხმარებელი

„მწერლობის წარმოშობის შემდეგ ადამიანის თავისი ნაზრები გადაჯერდა წერის სხვადასხვა საშუალებებზე. ეტრატზე და პაპირუსზე შემონახული ტექსტები იკითხება ჩვეულებრივი თუ შეიარაღებული თვალით. ასეთი სახის ტექსტების გასაცნობად მიმართავენ ტერმინებს: იკითხება, ამოკითხა, გაეცნო და ა. შ. მას შემდეგ, რაც ადამიანმა წიგნში გამოხატა თავისი ნაფიქრალი, აქ პვლავ იყენებენ ტერმინს: მკითხველი, წამკითხველი, კითხვა და ა. შ. აღნიშნულ ტერმინებს მიმართავენ ძველი ქართული სასულიერო, თუ საერთო მწერლობის მკვლევარები. „მამათა სწავლანში“ ვკითხულობთ „მოიგე უკეთუ წიგნის კითხვაი, მოუწყინებლად, დადათუ მცირედ დაშურე, არამედ გული შენი განათლდეს“ (1,5), „სურვილად მიიღოვოდე კითხვად საღმრთოთა წიგნთა (იქვე); ძეჭდური წიგნის მომრავლებამ კითხვის სურვილი გაუჩინა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს. საშუალო საუკუნეებში ამოძრავებულმა საზოგადოებრივმა აზრმა დაბადა ძლიერი მიღრებილება სხვადასხვა უანრის წიგნის კითხვისადმი. ადამიანი ეცნობოდა ცხოვრებისეულ სინამდვილეს მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა უანრის ნაწარმოებებით. „დაბადების“ ქართულ თარგმანში მიღებული იყო ტერმინი „წიგნი“. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში ვხვდებით ტერმინებს „მკითხველი“, „წიგნის წამკითხველი“, „მკითხველი“ დ. ჩუბინაშვილის განმარტებით (3, 649); ძველი ქართული ენის ლექსიკონებში ასევე განმარტებულია მსგავსი ტერმინები „წიგნის მკითხველი“, „მედავიონერი“, „მივეც წიგნის მკითხველებსა კურთხევაი“, ან „ორხელის ადასრულებდა მსახურებას მას წიგნის მკითხველებისასა“ (4, 265); „მკითხველი“, „წამკითხველი“ გვხვდება ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონში (5, 218); „წიგნის მკითხველი“, „მკითხველი“ გვხვდება უფრო მოგვიანებით გამოცემულ ტერმინოლოგიურ თუ განმარტებით ლექსიკონებში

„მკითხველი“, „კითხვის მოყვარული“ „ვინც სისტემატურად კითხულობს“ (6, 535); სასულიერო შინაარსის ძეგლებში ასევეა ნახსენები წიგნის მკითხველი „შეიყვარე დმერთი წიგნის კითხვით“ (7, 544);

მე-19 საუკინის მეორე ნახევრიდან საქართველოში იზრდება სახალხო ბიბლიოთეკების ქსელი. ქ. შ. წ. კ. საზოგადოება ხსნის სახალხო სკოლებს, თბილისში იხსნება წიგნის მაღაზიები. ნაბეჭდი წიგნისადმი ორგანიზებული ხელმისაწვდომობა ზრდის ინტერესს სხვადასხვა უანრისა და შინაარსის წიგნებისადმი. მოსახლეობაში ვრცელდებოდა იაფყასიანი გამოცემები, მართალია ისინი კომერციულ მიზნებს უფრო ემსახურებოდა, მაგრამ, მეორეს მხრივ შეუნელებლად ზრდიდა წიგნისადმი ინტერესს. მდაბიო ენებზე დაბეჭდილი წიგნების მიმართ მისი გამავრცელებლები იყენებდნენ ტერმინს „მომხმარებელი“, „იაფყასიანი წიგნების მომხმარებელი“. როგორც გაზეთი „დროება“ იტყობინება ასეთი შინაარსის წიგნები უპირატესად იბეჭდებოდა პრივილეგირებული ფენებისათვის, მაგრამ ისინი „შეადგენდნენ „ერთი მუჭა ქართველ მკითხველს“ (8, №93); ამ პერიოდში გაჩნდა ტერმინი „ახალი მკითხველი“, რომლებიც ძირითად ინტერესს ისწდნენ სამეცნიერო-პოპულარული და სხვა უანრის ნაწარმოებით. ამ პერიოდში გაჩნდა ტერმინი „ახალი მკითხველი“, რომლებიც ძირითად ინტერესს ისწდნენ სამეცნიერო-პოპულარული და სხვა უანრის ნაწარმოებით. ამ პერიოდში გამოცემლიდან მასთან დაბლიუოთების ქსელი, რომელთა ძირითად ამოცანას შეადგენდა პარტიული იდეოლოგიის გატარება საბჭოთა წიგნის საშუალებით. ამ პერიოდში ფეხს იკიდებს ტერმინები: „სამკითხველო“, „ქოხ-სამკითხველო“. მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლებიდან ინფორმაციის წერილობითი საშუალებების გვერდით ჩნდება ელექტრონული წიგნები. კომპიუტერული ტექნილოგიების შემოტანამ ძირეული ცვლილებები შეიტანა პირველწყაროებიდან ხელმისაწვდომობის საშუალე-

ბებში. ინფორმაციის საუკუნეში, სადაც მძღავრობს უქაღალდო ინფორმაცია, მკვლევარებს ამ დარგებში მაინც მიაჩნიათ, რომ კომპიუტერი ვერ შეცვლის წიგნს. ამდენად, კითხვა, მკითხველი ვერ შეიცვლება ტერმინით „მომხმარებელი“. ტერმინი „მომხმარებელი“ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების სფეროსათვის არის მიზანშეწონილი. არ შეიძლება საბიბლიოთეკაზე პრაქტიკაში მივმართოთ ტერმინებს „წიგნი წაიღო მომხმარებელმა“, „მომხმარებლის ფორმულიარი“, „მომხმარებლის ინტერესი“, „მომხმარებლობა კონფერენცია“, „მომხმარებლის შესწავლა“ და ა. შ. პროფესიონალი ბიბლიოთეკარები ვერ შეეცვლებიან ასეთ ტერმინებს ბიბლიოთეკის ყოველდღიურ საქმიანობაში. ტერმინი „ინფორმაციის მომხმარებელი“ გამოყენებულია ბოლოდროინდელ ტერმინოლოგიურ დაქსიკონებში. „ელექტრონული ფოსტის მომხმარებელი“, „თამაში რამდენიმე მომხმარებელისათვის“, „მომხმარებლის იდენტიფიკაციის მოდული“, „დაურეგისტრირებელი“ და სხვა (9, 191-209); წიგნთან მიმართებაში ტერმინი „მკითხველი“ არ უნდა ?

კომპიუტერული ტექნოლოგიების მზარდმა ინტენსივობამ ელექტრონული წიგნების მომატებამ შემოიტანა ტერმინი „მომხმარებელი“. ამ სფეროს მკვლევარები ერთხმად აცხადებენ რომ კომპიუტერი ვერ შეცვლის წიგნს. ამდენად კითხვა, მკითხველი არ შიძლება წიგნთან მიმართებაში მივმართოთ ტერმინს „მომხმარებელი“. ბიბლიოთეკებში საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ტერმინი „მკითხველი“ არ შეიძლება შეიცვალოს ტერმინით „მომხმარებელი“. პროფესიონალი ბიბლიოთეკარებისათვის, წიგნის მოყვარულთათვის, მეცნიერ-მუშაკთათვის ერთგვარად უხერხულობას ქმნის წიგნთან დაკავშირებით გამოვიყენოთ ტერმინი „მომხმარებელი“. მკითხველს, რომელიც გარკვეული მოთხოვნით შემოდის ბიბლიოთეკაში, ერთგვარად უხერხულია თუ ბიბლიოთეკარი უპასუხებს „ოქვენთვის საჭირო წიგნი წადებული აქვს მომხმარებელს“. წიგნთან დაკავშირებით სიტყვა „მომხმარებელი“ ერთგვარად უხეშად მოპყრობის გრძნობას აღძრავს. წიგნს პყავს მკითხველი, და არა მომხმარებელი, მომხმარებელი პყავს ინფორმაციას, რომელსაც ისინი დებულობენ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. ტერმინი „ინფორმაციის მომხმარებელი“ გამოყ-

ენებული ბოლოდროინდელ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში. ტერმინები „ელექტრონული ფოსტის მომხმარებელი“, „თამაში რამდენიმე მომხმარებელისათვის“, „მომხმარებლის იდენტიფიკაციის მოდული“, „დაურეგისტრირებელი მომხმარებელი და სხვა (9, 191, 2013, 209).

წიგნს პყავს მკითხველი, ინფორმაციას, მიღებულს რაიმე ფორმითა და მოცულობით კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით, პყავს მომხმარებელი. წიგნთან მიმართებაში „მკითხველი“, არ უნდა იყოს სადაცო, რა თქმა უნდა ამ ტერმინთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოითქვას მოსაზრებები ორივე მხრიდან - საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებისა და საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებისაგან, სხვადასხვა შეხედულებებს აღნიშნულ ტერმინებთან დაკავშირებით, დიდი ინტერესით გამოვაძვევნებო ჩვენს პროფესიულ ჟურნალში.

ლიტერატურა:

1. მამათა სწავლანი, გამოსცა ი. აბულაძემ.-თბ., 1955.- 318 გვ.;
2. ორბელიანი, ს. ს. ლექსიკონი ქართული .- თბ., 1991.- ტ.1.- 640 გვ.;
3. ჩუბინაშვილი, დ. რუსულ-ქართული ლექსიკონი .- თბ., 1973, ვ. 2.- 420 გვ.;
4. სარჯველაძე, ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი .- თბ., 1995 .- 316 გვ.;
5. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი .- თბ., 2008 .- 452 გვ.;
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი .- თბ., 1958 .- ტ. 5 .-620 გვ.;
7. აბულაძე, ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი .- თბ., 1973 .- 580 გვ.;
8. დროება, 1875 .- №93, გვ.3;
9. რამიშვილი, ი. ი., რამიშვილი, ი. ი. ინტერნეტის ენა - ინგლისურ-ქართული ლექსიკონი .- თბ., 2016 .- 420 გვ.;
10. ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში .- თბ., 2009 .- 214 გვ.;
11. გუგუშვილი, პ. ქართული წიგნი .- თბ., 1929 .- 386 გვ.;
12. კეკელიძე, პ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია .- თბ., 1980 .- ტ. 1.- 716 გვ.;
13. ბიბლიოთეკობრივისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგია .- თბ., 1932 .- 424 გვ.;
14. გიორგაძე, გ., კარტოზია, მ. საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი .- თბ., 1962 .- 204 გვ.

კორისპონდენციალი

მზის ტობონიძე

ბათუმის აპარი წერეთლის სახელობის საჩარო ბიბლიოთეკა



მიდინარე წლის ზაფხულში ვეწვიე აჭარის მხარის სამაყო დაწესებულებას ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, რომელიც წარმოადგენს ამ მხარის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს და რომელთანაც ათეული წლების მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა გამაჩნია. ბოლოს აქ ამ ბიბლიოთეკაში 2014 წელს ვიყავით მოწვევლი როგორც საქართველოს საბიბლიოთეკო დარგის გამოჩენილი პროფესორის ალექსანდრე ლორიას დაბადების 80 წლის თავის საიუბილეო სადამოზე როგორც მისი ბიობიბლიოგრაფიის აგტორი.

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოფრაფიის ფაკულტეტის ფუნქციონირების პერიოდში ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ ბათუმის, ქობულეთის, სოხუმის საჯარო ბიბ-

ლიოთეკში მათი მუშაობის სპეციფიკის და გამოცდილების გასაზიარებლად. ეს იყო “ოქროს ხანა” ჩვენი ფაკულტეტის არსებობის განმავლობაში, რომელსაც თანამედროვე ახალგაზრდობა სამწუხაროდ მოკლებულია. დღევანდელი საჯარო ბიბლიოთეკა თავისი სტრუქტურული ქვედანაყოფებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებით, რომელიც პარმონიულად არის შერწყმული ტრადიციულ საბიბლიოთეკო ტექნოლოგიებთან წარმოადგენს აჭარის კულტურულ ცენტრს რომლის გარეშეც საბიბლიოთეკო საქმის წინსვლა წარმოუდგენელია. ამაზე მეტველებს იმ დონისძიების ჩამონათვალი, რომელიც ბიბლიოთეკის მასპინძელმა დირექტორის მოადგილემ ნატალია ჭყონიამ გამაცნო. აღნიშნული წერილის დაწერა მიბიძა ჩემი ნათესავის შვილიშვილმა ამირან ჩახვაძემ რომელიც ამ ბიბლიოთეკაში არსებული “ამერიკული კუთხის” აქტიური წევრია. ბიბლიოთეკის მუშაობაში და მის მიერ ჩამოთვლილი დონისძიებებში ჩაბმულია საჯარო ბიბლიოთეკის უკალა განყოფილება: ფონდების დაკომპლექტების და კატალოგების ორგანიზების, ძირითადი წიგნსაცავის, უცხოურინ ლიტერატურის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების განყოფილება, კულტურული პროგრამების და სამკიონებელო დარ-





ბაზების, აბონემენტის, საცნობარო-ბიბლიოთგრაფიული და სამხარეო, საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებები. მათთან ერთად ბიბლიოთეკაში არსებული “ამერიკული კუთხე” და საკლუბო საქმიანობა მოიცავს შემეცნებით და შემოქმედებით დისტუსიებს, საგანმანათლებლო და გასართობ აქტივობებს, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებებს, სლაიდშოუს, აუდიო მასალების მოსმენებს.

ბიბლიოთეკაში მიმდინარე წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ ამერკულმა კუთხემ განახორციელა” უსინათლო მოქალაქეებისათვის კომპიუტერის სწავლების კურსები” და “ოექაზე ქარგვის სწავლის კურსები”. მიმდინარე წლის ექვს თვეში ბიბლიოთეკაში მომზადდა და ჩატარდა 48 ღონისძიება, მოეწყო 51 ოემატური გამოფენა. კლუბების წევრები ხშირად იკრიბებოდნენ, მათ შორის მოეწყო ორი გასვლითი შეხვედრა რომელ შიც მონაწილეობდნენ: ბათუმის “წმინდა ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიის”, მრავალდარგოვანი გიმნაზიის ”იმპ-

რიას” მოსწავლეები, ბათუმის კერძო სკოლები “მონაცენსანი”, “ევრო 2000”, ინგლისური ენის სასწავლო ცენტრი „აი ენ თი“, ბათუმის №1 ,20,10 საჯარო სკოლები, ჩაქვის №1 საჯარო სკოლის სტუდია „ჩვენი სახლის“, კერძო ბადი „მადაგასკარი“ს ადსაზრდელები, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები და ლექტორები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ქალაქ ბათუმის საზოგადოება, რომლებიც ფართოდ არიან ჩართულები ბიბლიოთეკაში გამართული შემეცნებით ღონისძიებებში, ახალგაზრდული წიგნების წარდგენაში, ლექციებში, საკლუბო შეხვედრებში, კონფერენციებში. გარდა ამისა ღონისძიებები



საკლუბო შეხვედრები შუქდება პრესის და ტელე-რადიო მაუწყებლობის საშუალებით, აგრეთვე მასალები განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და ოფიციალურ ფეისბუქზე. ტრადიციულად დიდ ყურადღებას იპყრობს ბიბლიოთეკის მიერ ტრადიციული საბიბლიოთეკო ტექნიკური პროცესებისადმი პროფესიული დამოკიდებულება ფონდის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული თემატური, პერსონალური, საორიენტაციო-ანოტირებული ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, ახლად მიღებული წიგნების საინფორმაციო ბიულეტენების, საიუბილეო თრიდებთან დაკავშირებული მოკლე სარეკომენდაციო საძიებელი, თემატური, პერსონალური, უზრნალ-გაზებების სტატიებისა და მხარეთმცოდნეობითი კართოტეკაბი.



ტრენინგი ახალციხეში

კ აქართველოს პარლამენტის ერთ-გნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოოთეკო ასოციაციის ხელმძღვანელობითა და ორგანიზებით ჩატარდა სამდღიანი სამუშაო ტრენინგი ახალციხეში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლევებელი“ საპილოტე პროგრამის სათემო პროექტების ბიბლიოთეკარებმა.

ტრენინგის პირველ ნაწილში ბიბლიოთეკარებმა წარმოადგინეს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული და უკეთენერციელებული სათემო პროექტების ანგარიშები, წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები, გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში. ტრენინგის მონაწილე ბიბლიოთეკარებმა ერთმანეთს გაუზიარეს მიღებული გამოცდილება და შთაბეჭდილებები.

ტრენინგის მეორე ნაწილის თემა მოდერნიზაცია იყო. საბიბლიოოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა-რუსულა ასათიანმა და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ-მირიან ხოსიტაშვილმა ისაუბრეს მოდერნიზაციის პროცესზე, მის ისტორიულ კონტექსტზე. საინტერესო იყო ბატონი მირიანის ლექცია ამ თემაზე. მისი აზრით, ერთმნიშვნელოვნად მოდერნიზაციასთან მიდგომა არასწორია. ამიტომ სწორედ ბიბლიოთეკარს ძალუბს სხვადასხვა აქტივობებით, პროექტებით, უბრალოდ საუბრებითა და შეხვედრებით მიაწოდოს მოსახლეობას სიახლეები, ხელი შეუწყოს მათ ცნობიერების ამაღლებაში, სწორი მიმართულება მისცეს მათ საქმიანობას. ბიბლიოთეკარს აქვთ ყველა რესურსი, პოტენციური ცოდნა და განათლება, ის ახლოსაა თემის მოსახლეობასთან, მისი სჯერათ და მას მიყვებიან, რაც მოდერნიზაციის პროცესის უწყვეტი როლია. ის პროექტები, რომლებიც განხორციელდა თემში და კიდევ განხორციელდება ბიბლიოთეკარების მიერ მოემსახურება მოდერნიზაციის პროცესის სწორად წარმართვას. ლექციის მსვლელობისას ბიბლიოთეკარების მიერ დასახელდა ის უარყოფითი ტრადიციები, რომელთა გავლენა აისახება მოდერნიზაციაზე და ის

დადგებითი ტრადიციები, რომლებიც მოდერნიზაციის პროცესში ერს თვითმყოფადობას შეუნარჩუნებს და სამომავლო განვითარებას მოემსახურება. დაისახა სამომავლო გეგმებიც.

ტრენინგის ფარგლებში ვიმყოფებოდით სოფელ საყუნეოს ბიბლიოთეკაში, ჩვენს კოლეგასთან-სოფო ბერიძესთან. აქ ამჟამადაც მიმდინარეობს დაფინანსებული პროექტის-„ხალხური რეწვის გაკვეთილები სოფელ საყუნეოში“ განხორციელება. სოფომ პროექტის ანგარიში ადგილზე წარმოგვიდგინა. დავათვალიერეთ პროექტში მონაწილე დიასახლისების ნამუშევრები, გავეცანით მათ და პედაგოგს -ქალბატონ ფესტივას. მოვისმინეთ მათი მოსახლეები ამ პროექტთან დაკავშირებით, მათი მაღლიერება ამ პროექტის განხორციელებისათვის. ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა სწავლების პროცესში, რომელმაც ისე გაგვიტაცა, წამოსვლა არ გვინდოდა.

საინტერესო და სასიამოვნო იყო დასვენების პერიოდი. ვიყავით ბორჯომში, მწვანე მონასტერში. ექსკურსიის ფარგლებში დავათვალიერეთ ახალციხე, რაბათის ციხე, საფარა, სხვა დირშესანიშნაობები. ჩვეული ქართული სტუმარომყვარეობით გვიმასპინძლეს ახალციხის კულტურის სამსახურის უფროსმა-ბატონმა გიორგი ჭუშუნაძემ და მისმა თანაშემწემ-შალვა ხაჩიძემ. სწორედ, მათი დამსახურებაა საქართველოს ეს ძირგველი ქალაქი და მისი შემოგარენი ასე ლამაზად რომ დაგვამსახურდა.

IX საუკუნის ციხე-ქალაქის რაბათის უგელა ციხე-დარბაზი დავათვალიერეთ, მეჩეთი, მართმადიდებლური ტაძარი, სინაგოგა, დიდხანს დავყოვნდით ბექაჯაფელის სათათბირო ოთახში, მოვისმინეთ ნაცნობი ისტორია უჩვეულოდ საინტერესოდ მოყოლილი გიდის-გიორგისაგან. ასევე დავათვალიერეთ სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, ფაშას მოსახვენებელი, დილეგები, ამფიოებრი, ავედით ციტადელზე.

საოცრება ადგილია საფარა. ტყეში ჩაფლული მონასტერი, მისი თვალწარმტაცი ხედი უშუალოდ მასთან მიახლოებისას გამოჩნდება. სიმშვიდის, სიამაყის

განცდა გეუფლება ადამიანს.

ბატონმა გიორგიმ მიგვიწვია სოფელ მუსესში, სკოლა-მუზეუმში, სადაც ჩვენი მასპინძელი იყო ხალხური რეწვის ოსტატი, ამ სკოლის დამაარსებელი და პედაგოგი-85 წლის მარიამ უუჟუნაძე. მარო ბებო მოგვიყვა ამ მუზეუმის შექმნის ისტორიას, ისაუბრა თავის მოსწავლეებზე და მათ შემოქმედებაზე, დავათვალიერეთ 200-ზე მეტი მის მიერ შეგროვებული სამუზეუმო ექსპონატი, თავად მარო ბებო წლებია სოფლის ახალგაზრდებს ტრადიციული ფარდაგების, მესხური ხალიჩების ქსოვას ასწავლის. ბეგრ ახალგაზრდას შეშურდება მისი ენერგიულობა, მისი ხედვა, ფიქრი

სამომავლო იდეებსა და გეგმებზე.

მინდა ადგნიშნო, რომ ეს ტრენინგები იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ცოდნა-განათლებასთან, სხვადასხვა უნარებთან ერთად ჩვენ ახლოს მივდივარო ჩვენი ქვეყნის კუთხეებთან, მის ისტორიასთან, მის კულტურასთან.

საბიბლიოთეკო ასოციაციის ტრენინგებით ძლიერდება ბიბლიოთეკარის, როგორც თემის მობილიზატორის, თემის გამამდინერებლის როლი. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს ძლიერ თემს, მის უკათეს მომავალს, მის მოდერნიზაციას და, რა თქმა უნდა, სრულიად ქვეყნის განვითარების პროცესებს.

ნანა რქონიშვილი

ბუნების დაცვას მიეძღვნა



76-ე საჯარო სკოლის მეცუთე კლასის მოსწავლეებმა (კლასის დამრიგებელი მ. ბლიაძე) ეკოლოგიის პრობლემების შესახებ ინტერნეტის საშუალებით შექმნეს საინტერესო სლაიდები. დონიძიების პროცესში მოსწავლეებმა წარმოადგინეს გადაშენების პირას მყოფი „წითელ წიგნში“ შეტანილი ფლორისა

და ფაუნის სახეობები. ყველასათვის კარგად ცნობილია, თუ როგორი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას თანამედროვე კაცობრიობა. ღონიძიების მიზანი იყო მოსწავლეებსა და პედაგოგებს მეტი ინფორმაცია პქონოდათ ეკოლოგიური მდგრადი შესახებ. მოსწავლეებმა სააქტო დარბაზში შე-





ქმნეს ულამაზესი გარემო, რომელიც უდრანი ტყის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

დონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის დირექტორი ნ. სებისკვერიძე, დირექტო-



რის მოადგილე ხ. ყარყარაშვილი, მშობლები, პედაგოგები. ურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი ა. ლორია, საქართველოს

საწვლები: ა. შენგელია, ნ. სეფიაშვილი, ა. მანუკიანი, თ. მაქსიმენკო, ს. ბედუკაძე, ს. ბიბილევი, ა. დარბაიძე, ლ. კეპელიძე, თ. ლომიძე, ე. ოსორაული და სხვ-



პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსი გურამ თავნიაშვილი. მოწვეულმა სტუმრებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს მოსწავ-


ბი. დონისძიებამ ერთხელ კიდევ ცხად-ჰყო მოსაწვლეთა გაზრდილი ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნებისადმი.



ბუბამ თაყნიაშვილი

80 წლის წინათ

1938 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის საკლუბო-საბიბლიოთოეკო სამმართველოს ბიბლიოთეკათმცვდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის მეთოდურმა კაბინეტმა გამოსცა მცირე მოცულობის საყურადღებო ნაშრომი „ბიბლიოთეკის ადგილი ენის კულტურისათვის ბრძოლაში“. ნაშრომის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ძირითადად საბავშვო



ბიბლიოთეკის აღილი ენის კულტურისათვის ბრძოლაში
თბილისი
1938

ბიბლიოთეკის დანიშნულებაზე მოსწავლე-ახალგაზრდობის სწორი მეტყველების გამომუშავების პროცესში. საბავშვო ბიბლიოთეკა სახალხო კომისარიატის საკლუბო-საბიბლიოთოეკო სამმართველოს ბიბლიოთეკათმცვდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის მეთოდურმა კაბინეტმა გამოსცა მცირე მოცულობის საყურადღებო ნაშრომი „ბიბლიოთეკის ადგილი ენის კულტურისათვის ბრძოლაში“. ნაშრომის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ძირითადად საბავშვო

წარმართვის პროცესს. ბიბლიოთეკარი პროფესიული თვალით აკვირდება ბავშვის კითხვას: რას კითხულობს, როგორ კითხულობს, რამდენად შეუძლია საკუთარი აზრის ჩამოყალიბება წერილობით წაკითხული წიგნის შესახებ. ნაშრომში მართებულადაა მიჩნეული საბავშვო ბიბლიოთეკა როგორც პედაგოგიური ორგანიზაცია. საბავშვო ბიბლიოთეკაში უნდა აამაღლოს საბავშვო წიგნის კითხვის უნარიანობა. კითხვის პროცესი უნდა წარმართოს სწორი პედაგოგიური ტაქტით: „ადვილიდან მნელზე, ნაცნობიდან უცნობზე თანდათანობით გადასვლის პრინციპით. ბიბლიოთეკარის ენა, - წერს ავტორი, ისევე, როგორც მასწავლებლის ენა ბავშვისათვის მისაბად მაგალითს უნდა წარმოადგენდეს“. ბავშვი მკითხველი ბიბლიოთეკარისაგან უნდა დებულობდეს მკაფიო მეტყველების, სათანადო სიტყვების შერჩევისა და ნათლად დალაგებული ფრაზების ცოცხალ მაგალითს. თუ ბიბლიოთეკარი ცუდად ფლობს მშობლიურ ენას, ის არ უნდა მუშაობდეს საბავშვო ბიბლიოთეკაში. ბავშვები ადვილად „სხეულდებიან“ ცუდი მეტყველების ზეგავლენით. ბავშვის მეხსიერებაში დიდხანს რჩება არა მარტო ნაწერები, რასაც ხილულად ადიქვამს, არამედ ისიც, თუ როგორ არის ნაწერი.

ნაშრომში მოკლედაა მიმოხილული გასული საუკუნის 40-იანი წლებისათვის საბავშვო ბიბლიოთეკებში დანერგილი ღონისძიებები: ინდივიდუალური, მასობრივი; ძირითადი აქცენტები გადატანილია ისეთ ფორმებსა და მეთოდებზე, სადაც ნათლად ჩანს ბავშვის წერითი და ზეპირი მეტყველების დონე, მისი უნარი სწორი ქართულით ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი. მეტყველების განვითარებისათვის ყველაზე ხელმისაწვდომია ხალხის საუბარი. საუბარი უნდა შეეხებოდეს წაკითხული წიგნის ცალკეულ ეპიზოდებს, პერსონაჟებს. ბავშვის ინდივიდუალური მონაცემებისა და კითხვადობის შესაბამისად, ბიბლიოთეკარმა შეიძლება შესთავაზოს ბავშვს საკუთარ მოსაზრებების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება. ამ პროცესში ბიბ-

ლიონეგარმა ბავშვს არ უნდა დაუსვას მექანიკური კითხვები: მოგწონს? რა მოგწონს? რომელი ადგილია შენოვის საინტერესო და ა. შ. ბავშვი კითხვაზე უნდა დაფიქრდეს, გაიხსენოს ცალკეული ეპიზოდები და თუ წერილობით ჩამოაყალიბებს, ეს ბიბლიოთეკარს საშუალებას მისცემს შეუსწოროს მკითხველს ნაწერში დაშვებული აზრობრივი თუ ორთოგრაფიული უზუსტობანი. ბიბლიოთეკარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მექანიკური პასუხებით: „დიახ“, „არა“, პასუხი ტექსტიდან უნდა გამომდინარეოდეს. ბავშვ მკითხველს შეკითხვებით არ უნდა შევაწყინოთ, არ უნდა დაგუკარგოთ წიგნის კითხვის სურვილი. ეს პროცესი მოითხოვს ნამდვილ პედაგოურ მიღებას.

საბავშვო ლიტერატურა, სწორად შერჩეული წიგნი ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს როგორც წერითი, ასევე ზეპირი მეტყველების განვითარებისათვის. საბავშვო ფონდები სისტემატურად უნდა ივსებოდეს ქართული და უცხოური საბავშვო ლიტერატურის გამოცემებით. კარგი საბავშვო წიგნი აუცილებელი პირობაა ნათელი და სუფთა მხატვრული აზრის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. წიგნში მარტივი ენითა გადმოცემული იმ დროისათვის საბავშვო ბიბლიოთეკებში მიღებული წიგნის პოპულარიზაციის ფორმები და მეთოდები, ცხადია, ზოგი მათგანი დღეს სხვა ფორმებითა და მიღებებით გამოიყენება, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, რომ საბავშვო წიგნი დიდ როლს ასრულებს მოზარდის მეტყველების კულტური ჩამოყალიბებაში, დღესაც უურადსარებია. ნაშრომში განხილული დონისძიებები, ბავშვ მკითხველებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, ცხადია, ზოგი მათგანი დღეს სხვა ფორმებითა და მიღებებით გამოიყენება, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, რომ საბავშვო წიგნი დიდ როლს ასრულებს მოზარდის მეტყველების კულტური ჩამოყალიბებაში, დღესაც აქტუალურია. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკარების წინაშე დააყენა სულ სხვა ამოცანა: ბავშვი არ მოვწყვიტო საბავშვო წიგნის კითხვის პროცესს, კომპიუტერიდან მიღებული ინფორმაცია მიზანშეწონილად გამოიყენოს სასწავლო მიზნებისა და წიგნიერების დონის ასამაღლებლად.

როგორ ფლობს ბავშვი მშობლიური ენის სიღრმეს, მეტყველების კულტურას. ნაშრომში შემუშავებული რეკომენდაციები ძირითადად ეხება საბავშვო წიგნის სწორი შერჩევის, ბიბლიოთეკარის წიგნიერებისა და პედაგოგიური ტაქტის, აგრეთვე ბავშვი-მკითხველის მეტყველების კულტურის საკითხებს.

ნასრომის ავტორი, კორექტორი და გამომშვები გახდავთ ვლ. ჯოჯუა, ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნე და სისტემატიზატორი, რომლის დაკვირვება ბავშვთა კითხვაზე და შემუშავებული რეკომენდაციები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ის ფაქტი, რომ საბავშვო ბიბლიოთეკა, როგორც პედაგოგიური დაწესებულება დიდ როლს თამაშობს მეტყველების კულტურის განვითარებაში ცხადია, დღესაც უურადსარებია. ნაშრომში განხილული დონისძიებები, ბავშვ მკითხველებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, ცხადია, ზოგი მათგანი დღეს სხვა ფორმებითა და მიღებებით გამოიყენება, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, რომ საბავშვო წიგნი დიდ როლს ასრულებს მოზარდის მეტყველების კულტური ჩამოყალიბებაში, დღესაც აქტუალურია. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკარების წინაშე დააყენა სულ სხვა ამოცანა: ბავშვი არ მოვწყვიტო საბავშვო წიგნის კითხვის პროცესს, კომპიუტერიდან მიღებული ინფორმაცია მიზანშეწონილად გამოიყენოს სასწავლო მიზნებისა და წიგნიერების დონის ასამაღლებლად.

ლიტერატურა:

ბიბლიოთეკის ადგილი ენის კულტურისათვის ბრძოლაში.- თბ., 1938.- 16 გვ.

პროფესიალური და პროფესიონალური

ორი თაობის ბიბლიოთეკარი



ორი და წლები კალეიდოსკოპივით ცვლის ერთმანეთს, უკან მოხედვას ვერ ასწრებ, რომ ცხოვრება თვითდინებით მიჰქრის და ყოველდღიურ საფიქრალს და საზრუნავს გიჩენს.

ამ მხრივ არც ბიბლიოთეკარის ცხოვრებაა გამონაკლისი, რადგან ყოველდღიური ურთიერთობა ჩეენ საყვარელ მკითხველებთან ახალი ენერგიით გვავსებს, გვასწავლის და ცხოვრებას გვიხალისებს.

ასეთი საინტერესო და სიცოცხლით სავსე ცხოვრებით და ყოველდღიურად გამოცდებს აბარებდა ყველა ასაკის, პროფესიის, ეროვნების მკითხველთა წინაშე ქალბატონი შურა პერიშვილი-მეტრეველისა, რომელიც 1988 წლიდან 2017 წლის მარტამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის 42 ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის თამდებობაზე.

29 წელი ერთ ბიბლიოთეკაში თორემ ისე ქალბატონი შურა ჯერ კიდევ თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცვენებისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში დაბა უწერის სასოფლო კლუბის გამგედ მუშაობდა. შემდეგ თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად ერთ-ერთი საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომელი გახდა. მისი ამ სპეცილაობით მუშაობის სტაჟი თქმის ნახევარ საუკუნეს ითვლის და

დღემდე გვაკვირვებს თავისი პროფესიონალიზმით, თავმდაბლობით, სიდინჯით და ბიბლიოთეკარის პროფესიისადმი ერთგულებით. მხოლოდ ქალბატონ შურას შეეძლო უარი ეთქვა დირექტორის მიერ შეთავაზებულ №42 ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე, რადგან თვლიდა, რომ ეს თანამდებობა მკითხველებთან ცოცხალ და უშუალო ურთიერთობას ხელს შეუშლიდა.

ქალბატონ შურა მეტრეველს იცნობს ლოტკინის დასახლების ალბათ 80% ახალგაზრდებიდან დაწყებული მოხუცებამდე, რადგან მის ხელში გაუვლია ათი ათასობით მითხველს, მისი მადლიერია აქ მცხოვრებ ოჯახთა თაობები რომლებიც ათეული წლის მანძილზე არიან ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველნი. იგი საყოველთაო პატივისცემისა და სიყვარულით სარგებლობს არა მარტო მკითხველებსა და მათ ოჯახებს შორის, არამედ იმ თანამშრომელთა შორისაც რომელთაც თუნდაც მცირე ხნით შეხება ჰქონია მასთან.

საბიბლიოთეკო საქმის კარგი ცოდნა, ფონდის უნიკალური შემადგენლობის მეხსიერებაში აღბეჭვდა, მათი დამახსოვრების შესაშური უნარი, მკითხველთა ასაკობრივი თავისებულების გათვალისწინება წიგნის შერჩევის დროს და თანამედროვე ლიტერატურის მიღებისთანავე გაცნობის სურვილი- ეს ის თვისებებია რომელიც ქალბატონ შურას გამოარჩევს როგორც პიროვნეულობრივი მუშაობის მარტინი გამოიყენება.



ბას, პროფესიონალს და ბიბლიოთეკარს ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

“წიგნის ტრფიალი” თავისუფლად შეგვიძლია მას ვუწოდოთ და როდესაც თვითეულმა ჩვენგანმა ძალზე მძიმედ განვიცადეთ მისი სამსახურიდან განთავისუფლება თავადვე გვამშვიდებდა კეთილი დიმილით “-აბა როდემდე უნდა მემუშავა სულ აქ ხომ არ ვიქნებოდიო” მაგრამ ჩვენთვის, მისი თანამშრომლებისათვის მისი ყოფნა დიდი იმედი და სტიმული იყო, რადგან მიუხედავად თავისი ასაკისა იგი თანამედროვე მოაზროვნედ და დიდ პროფესიონალად რჩება.

ქალბატონი შურა მაგალითია №42-ე ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისათვის, მათ შორის ქეთევან აფაქიძისათვის რომლის დაბადების დღე ემთხვევა ქალბატონი შურას იუბილეს.

ცალკე აღნიშვნის დირსია ქეთევან აფაქიძის მუშაობა ჩვენს ბიბლიოთეკაში. იგი განათლებით ისტორიკოსაი, მაგრამ საბიბლიოოთეკო დარგის პროფესიონალია, რადგან 15 წელი მუშაობს აღნიშნულ ბიბლიოთეკაში და ისე უყვარს ეს საქმე, რომ არცერთ სხვა პროფესიაზე არ გაცვლის.

ქეთევან აფაქიძე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის თანამშრომელია, მაგრამ უმუშავია ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს თანამშრომელთა და მკითხველთა შორის.

ქეთევან აფაქიძის მუშაობა მხოლოდ მკითხველთან მუშაობით არ განისაზღვრება, აღსანიშნავია მისი მონიდომება და ბარჯა ეპა ლაპიაშვილთან ერთად “სოციოლოგიური კვლევის” ანალიზთან დაკავშირებით, რომელსაც მოედ საქალაქო სისტემაში მხოლოდ ჩვენი ბიბლიოთეკა ატარებს. კვლევა ტარდებოდა წლების მანძილზე და ამ კვლევის ანალიზის შედეგები გამოქვეყნებულია ერთადერთი პროფესიონალური შურნალის “საქართველოს ბიბლიოთეკის” ფურცლებზე ეპა ლაპიაშვილისა და

ქეთევან აფაქიძის ავტორობით.

აღსანიშნავია ქეთევანის თანამშრომელი აღნიშნულ უურნალთან საბიბლიოთეკო საქმის სხვადასხვა ასპექტებზე: სამკითხველო დარბაზში მუშაობის თავისებურებებზე სხვადსხვა ასაკის და პროფესიის მკითხველებთან, დარბაზის ფონდის შემადგენლობისა და მისი ცალკეული გამოცემების შესახებ. აქ მას კარგად ეხმარება ისტორიული ლიტერატურის კარგი ცოდნა. ქეთევანს გამოქვეყნებული აქვს წერილი წიგნის: “დავით აღმაშენებლის” შესახებ, რომელიც გამოსცა გამომცემლობა პალიტრ ლ-მა სპეციალურად ბავშვებისათვის 3D ფორმატში გაცოცხლებული დიდგორის ბრძოლის შესახებ. წიგნში გაცოცხლებულია ეპიზოდები შთამბეჭდავი დიზაინით. წიგნის მიმოხილვით, ბიბლიოთეკარი რეკომენდაციას უწევს და პატარა მკითხველებს აინტერესებს ქვეყნის ისტორიით.

ცალკე აღნიშვნის დირსია ქეთევან აფაქიძის მონიდომება ჩვენს მიკრორაიონში მდებარე 129 და 190 საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებთან და მოსწავლეებთან დაახლოვებასა და ერთობლივ დონისძიებებში მონაწილეობის შესახებ.

129 საგარო სკოლასთან ბიბლიოთეკას გააჩნია განსაკუთრებული ურთიერთობა რადგან აღნიშნულ სკოლაში სწავლობს ქეთევანის შვილი დემნა აფაქიძე და ჩვენი ბიბლიოთეკა აქტიურად მონაწილეობს ამ სკოლის მიერ ჩატარებულ ყველა დონისძიებაში. ეს ერთობლივი, საარგებლო ურთიერთობა ქეთევანისა და 129 სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა.

ამ პატარა წერილით და დიდი სიობოთი გვინდა მივულოცოთ ქალბატონ შურა მეტრების და ქეთევან აფაქიძეს განსხვავებული საიუბილეო თარიღები და გუსურვო დიდხანს სიცოცხლე, ჯანის სიმრთელე და ყველაფერი კარგი, ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ.

42 ბიბლიოთეკის თანამშრომელები

ბუჩათ თაყნიაშვილი

ნამდვილ ბიბლიოთეკარებად იბატებიან

სამი სულიერი საწყისი განაპირობებს ბიბლიოთეკარის პროფესიულ წარმატებას: პრველი - წიგნისადმი სიყვარული, კითხვა როგორც მისი სულიერი მოთხოვნების დაგმაყოფილების საშუალება, წყურვილი სისტემატური კითხვისა; წიგნის კითხვა გამიზნულად, კითხვა სხვისთვის, მკითხველისთვის; მეორე: ადამიანის, პიროვნების, მკითხველის სიყვარული, მისი სულიერი სამყაროს ცოდნა, მისი მისწრავებების ინტელექტუალური შესაძლებლობების გააზრება, მკითხველის საკითხავი, ზოგადი და პროფესიული მოთხოვნების ცოდნა; მესამე - უნარი წიგნის მიზანშეწონილი შერჩევისა, მოფიქრებული და გააზრებული გადაწყვეტილების მიღება წიგნის შერჩევის პროცესში. ამ ეპატზე წიგნის შერჩევის პროცესში ვლინდება ბიბლიოთეკარის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორე - როგორი შინაარსის წიგნი შეურჩია მკითხველს მისი საკითხავი ინტერესის დასაკმაყოფილებლად. წიგნის შინაარსის ზემოწევნით შესაბამისობა მკითხველის საკითხავ ინტერესთა და მის პროფესიულ მოთხოვნასთან მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ იცნობს ბიბლიოთეკარი მკითხველს და როგორ შესაბამა წიგნის შინაარსი მის ინტელექტუალურ მოთხოვნებს. ეს სამი საწყისი არის ბალავერი ბიბლიოთეკარის წარმატებული, შემოქმედებითი საქმიანობის განმაპირობელი მის კოველდღიურ მოღვაწეობაში.

როდესაც ამ სტრიქონებს ვწერდით, თვალწინ წარმოგვიდგა წიგნის თაროებს შორის მდგომი, პირსახედიმილიანი, დაგვირვებული გამოხედვითა და ნიადაგ ფხიზელი გონებით აღვხილი, საშუალო ტანის ქალბატონი შურამეტრევლი; დაბადებითა და მოწოდებით ბიბლიოთეკარი, წიგნისა და მკითხველის შესაშური მცოდნე, მათი პარტნიო და მეგზური. სამი ათეული წელი იდვაწა ქალბატონმა შურამ თბილისის 42-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში, იღვაწა მთელი თავისი არსებით, მონდომებითა და შეგნებით, რომ მის მიერ შერჩეული წიგნი ცოტათი თუ ბევრად მაინც

გაამდიდრებდა მკითხველის სულიერ სამყაროს. ქალბატონმა შურამ კარგად უწევის, რომ წიგნი ემსახურება ადამიანის სულიერ და ზნეობრივ გაკეთილ შობილებას; მან თავიდანვე შეისისხორცა ერთი ჰეშმარიტება - ნებისმიერ პროფესიაში წარმატების მისადწევად გულისა და გონების ერთიანობაა აუცილებელი.

წიგნის ინფორმაციის უკიდეგანო სამყაროში სწორედ გონივრული მოქმედებაა საჭირო, რათა წიგნმა არ დაკარგოს ოდიოგანვე შეძენილი ის დირსება, რომელსაც ვერ წაშლის კომპიუტერული აბლაცია. ქალბატონ შურას გულში იმთავიდანვე თითქოს რაღაცა დვოაებრივი ცეცხლი ენოთ, ეს ცეცხლი მის გონებას ანათებდა, ხოდო გონების განათება შეუძლებელია ახალი ცოდნის გარეშე, ისევე, როგორც ახალი ცოდნის გარეშე შეუძლებელია გონებრივი ზრდა. პოდა, ქალბატონი შურა, როგორც ნამდვილი ბიბლიოთეკარი, დღენიადაგ ცდილობდა ეს ცეცხლი მკითხველის გულებამდე მიეტანა, რათა განათებულიყო მათი გონება. თვითონ ბიბლიოთეკარი, აღვხილი დაუკებელი წყურვილით, მხოლოდ წიგნებში ეძებდა სულიერ ნუგეშს, ეძებდა საკუთარი ცნობისმოვარეობისა და მკითხველთა სურვილების დასაკმაყოფილებლად. ქალბატონმა შურამ თავის მისაბამი, სანიმუშო მოღვაწეობით სულიერი კეთილშობილების კვალი დააჩნია იმ დაწესებულებას, სადაც ყოველ დილით გული მიუწევდა. რამდენი მკითხველისათვის დაუკმაყოფილებია ქ-ნ შურას სულიერი შიმშილი, რამდენი ბავშის გონება გაუხალისებია მარჯვედ შერჩეული წიგნით; ამ კითხვაზე პასუხი აქვთ ლოტკინის დასახლების მცხოვრებლებს, დიდს თუ პატარას, იმათ, ვისაც ერთხელ მაინც შეუდია ამ უსაონოესი დაწესებულების კარი, ვინც ერთხელ მაინც შეხვედრია ქალაბტონ შურას; ბიბლიოთეკარს, რომელიც წიგნებს ამ-ეტყველებდა, ავტორებს აღაპარაკებდა, პერსონაჟებს აცოცხლებდა რათა მკითხველის გული და გონება აღევსო წიგნის კითხვის დაუკებელი წყურვილით.

რევიუ

ეპიზოდი ბიბლიოთეკის

ბრემენის 29-ე მუსიკის ფესტივალი

ეს ფესტივალი ტრადიციულად ამა წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართა. მშვენიერი იყო ამ დროის ბრემენი. შემოდგომის დასაწყისის ფერმერთალი მზე კიდევ უფრო წარმოაჩენდა იმ წესრიგს, სისუფთავეს, სიმყუდროვეს, არქიტექტურულ სილამაზესა და დიდებულებას, რაც, ზოგადად, ევროპის ქალაქებს ახასიათებს...

ფესტივალის გახსნა 25 აგვისტოს პომპეურად ჩატარდა - დონისძიებები ცხრა სხვადასხვა დარბაზში ერთ დღეს, მაგრამ სამ განსხვავებულ დროს ტარდებოდა (19:30; 21 და 22:30-ზე). მსმენელს ერთი ბილეთით შეეძლო 45 წუთიან კონცერტს რამდენჯერმე (სამ განსხვავებულ ადგილას) დასწრებოდა. კონცერტების უმეტესობა ერთიდაიგივე შემსრულებლების მიერ მეორდებოდა,

და ასევე საორდანო მუსიკის ფესტივალი, მიძღვნილი ორდანის დიდი გერმანიული ოსტატის - არა შინიტგერისადმი. ეს იყო ექვსი დამოუკიდებელი კონცერტი ექვს განსხვავებულ ორდანზე, მათ შორის ოთხი მათგანი შექმნილი იყო თვით შინიტგერის მიერ. საინტერესო იყო აგრეთვე ფესტივალის პროგრამაში შეტანილი ახალი რუბრიკა: კონცერტი - სურპრიზი, საღაც მუსიკოსებს შეეძლოთ შემოეთავაზებინათ მოულოდნელი და იმპროვიზაციული მანერა: ევროპული მუსიკალური ტრადიციების გადაჯაჭვა სხვა კონტინენტის ტრადიციებთან. მაგრამ, თავისთვავად ცხადია, ტრადიცია არ დაირღვა და ფესტივალზე იყო წარმოდგენილი საოპერო, ორატორიალური და სიმფონიური, კამერული და ინსტრუმენტალური მუსიკა. ვიზიტის ხანმოკლეო-



მაგრამ იყო ისეთი ანსამბლი, რომელიც სამ განსხვავებულ კონცერტს სთავაზობდა მსმენელს (კერძოდ, თეოდორ კურენზისი ორკესტრით ‘მუზიკა ეტენა’ ასრულებდა ბეოპოვენის 5, 6 და 7 სიმფონიას). დამსწრე საზოგადოებას ყველა ჟანრის მუსიკა ელოდებოდა, რაც ფესტივალის ფარგლებში სრულდება - სიმფონიურიდან დაწყებული, კამერულითა და ჯაზით დამთავრებული. კულტურული მემკვიდრეობის ფარგლებში 29 აგვისატოდან 2 სექტემბრამდე ჩატარ-

ბიდან გამომდინარე თოხ დონისძიებას დავესწარი, რომელზედაც დეტალურად მოგახსენებთ: პირველ სექტემბერს ფესტივალის აფიშით გამოცხადებული იყო თფენბახის (Jacques Offenbach, 1819-1880) ოპერა ‘ჰოფმანის ზღაპრები/Les Contes d'Hoffmann’, რომელსაც ფრანგული დასი ასრულებდა ცნობილი დირიჟორის, მარკ მინკოვსკის (Marc Minkowski) ხელმძღვანელობით. მინკოვსკი თავის ორკესტრით (ლუვრის მუსიკოსები - Les Musiciens du Louvre) ჩამოვიდა. მას ასევე

მოჰყვა ვენის ფილარმონიული გუნდი და ვოკალისტები, რომელთაგან ვარსკვლავი იყო სოპრანო - ჯესიკა პრატ (Jessica Pratt). ოპერაში, ამ მომღერალმა, სამივე წამყვანი პარტია (ოლიმპია, ანტონია და ჯულიეტა) შეასრულა. სიუჟეტები მკიონებელის ყურადღებას არ შევაჩერებ, რადგანაც ოპერა ტელევიზიიდან მოსმენილი აქვს ჩვენს მაყურებელს. იგი წარმოადგენს როგორც ე.ტ.ა.პოფმანის, ასევე ლიბრეტისტის ფანტაზიის ნაზავს, ეს ფანტაზია, უფრო მეტად, იკვებება პოფმანის რეალური სასიყვარულო ისტორიებით. ოპერა წარმოგვიდგინეს მაიკლ კეიისა და ჯან-კრისტოფ კეპის რედაქციით (რადგან კომპოზიტორმა სიცოცხლეში ვერ დაასრულა ოპერა), რაც ამჟამად ყველაზე პოპულარული რედაქციაა, მოიცავს 5 აქტს, მასში შედის ბარკაროლა, პოფმანის კუპლეტები და ჯულიეტას არია მეოთხე აქტიდან და მესუთე აქტის პოფმანის და მუზის კუპლეტები. რაც შეეხება შესრულებას, ჯესიკა პრატი აღემატებოდა ყველა სხვა შემსრულებლებს - მისი ტემპი, ხმის სიძლიერე და ტექნიკა იყო შოთამბეჭდავი. გარკვეული ხმის სილადის დეფორტი რულადებში მან ოსტატურად დაუზარა განსხვავებული თრნამენტაციით (პირველ რიგში თლიმპიას არის მეორე ნაწილში). სხვა მხრივ, იგი ძალზე კარგი იყო. გამოვყოფი, ასევე, კანადელ ბარიტონ რობერტ გლიდოუს (Robert Gleadow) - ლინდორფის, კოპელიუსისა და დაკერტუტოს შემსრულებელს. ეს მადალი მომღერალი (წვერ-ულვაშებითა და გრძელი თმებით), ცდილობდა გარეგნული გამოსახულებითა და ექსტენით სახასიათო პალიტრა შეექმნა თავისი გმირისთვის. პირველ აქტში, ლინდორფის არის შემდეგ, იგი დარბაზშიც კი ჩამოვიდა და მეოთხე რიგში, გაოცებულ მსმენელის გვერდზე დაჯდა. შესრულება იყო საკონცერტო, რადგან ბრემენის ცნობილი დარბაზი - 'ზარები' არ იძლევა ოპერის სრულყოფილად დაგმის საშუალებას, მომღერლები პარტიტურით ხელში და ჩვეულებრივი საღამო კოსტიუმებში გამოწყობილნი იყვნენ. გამონაკლისი იყო ჯესიკა პრატი, რომელიც ზოგიერთ აქტში იცვლიდა კაბას (ან სცენის ბოლოს პორტიკზე ჩანდა ვუალით) და ტენორი კრისტოფ მორგანი (Christophe Mortagne), რომელიც სპალანცანისა და ნატანაელის პარტიაში გამოდიოდა. ეს უკანასკნელი სცენაზე ჯადოსნური საკარნავა-

ლო მოსახსამითა და აჩეჩილი თმებით გამოვიდა. სახასიათო იყო ასევე სხვა მეორეხარისხოვანი პარტიის შემსრულებელი, ტენორი მათიას ვიდალი (Mathias Vidal) - პატარა სიმაღლისა, საოვალეებით, დასის წევრებთან მუდამ „მოკინკლავე“ (განსაკუთრებით, ორკესტრის ახალგაზრდა მევიოლინე ქალბატონზე იყო „გადაკიდებული“), ის იყო საკმაოდ კომიკური და არტისტული, კერძოდ, მესამე აქტის ფრანცის კუპლეტებში. კარგად შეასრულა როლი ასევე მეცოსორანი თდე ექსტრემომ (Aude Extrémo). იგი პოფმანის ერთგული მეგობრის ნიკლაუსისა და მუზის როლში გამოდიოდა. ცხადია, მკიონებელს დაებადება კიოხვა - როგორი იყო პოფმანის პარტიის შემსრულებელი - ამერიკელი ტენორი ლეონარდო კაპალბო (Leonardo Capalbo) - არც ისე ეცექტური, როგორც მოსალოდნელი იყო - მან ოპერა ფრანგული სასიმღერო მანერით შეასრულა. მაგრამ, მეოთხე აქტიდან ხმის ფორსირება მოუწია - არც ამ მანერაში იყო მოსაწონი. სამაგიეროდ, ეს ხარვეზები გადაიფარა მინკოვსკის საუკეთესო დირიჟორობით და ანსამბლებში ვოკალისტების შეთახმებული შესრულებით. მინკოვსკის ინტერპრეტაცია დრამატული და სიღრმისეული იყო, ორკესტრი და გუნდი უნაკლოდ ასრულებდნენ დირიჟორის ჩანაფიქრს. ადსანიშნავია, პირველი ვიოლინო (ტიბო ნოალი - Thibault Noally) პოფმანის არის მეორე აქტში და განსაკუთრებით, ნიკლაუსის რომანსის მესამე აქტში. მსმენელი მესურვალედ შეხვდა ამ სადამოს; მინკოვსკი სპექტაკლის დასასრულს მოლბა, მანამ კი აქტიური ხელმძღვანელი იყო და მკაცრიც კი, ერთხელაც უკმაყოფილება ვერ დამალა დასის სიზანტით, რადგან იგი წინააღმდეგობაში მოდიოდა მის სწრაფ და მოქნილ ტემპებთან.

შემდგომი საღამო, რომელიც უპვე პატარა ქალაქ ბრემერჰაფენში 3 სექტემბერს გაიმართა - კამერული მუსიკის კონცერტი იყო, რომელშიც თანამედროვეობის თრი სახელმოხვეჭილი შემსრულებელი გამოვიდა - მევიოლინე რენო კაპუსი (Renaud Capuçon) და პიანისტი დავით ფრე (David Fray). კონცერტი ჩატარდა ბრემერჰაფენის ინდუსტრიისა და კომერციის სახლის კამერულ დარბაზში. დარბაზი პატარა - სულ 12-რიგიანი იყო და იტევდა საშუალოდ



190 მსმენელს. ამის მიუხედავად, დარბაზის აკუსტიკა არ იყო იდეალური. ვიოლინოს გამოკვეთილი სმა ფორტე-პიანისტთან ბალანსს არ არღვევდა და კლავიშებიან ინსტრუმენტს არ ასშობდა. ორივე ინსტრუმენტალისტი ჩინებულ ფორმაში იყო. ბეთოვენის ცნობილი ‘საგაზაფხულო/Frühlingssonate’ სონატას (№5, ოპუსი 24) - გამოზომილი, დინამიური დასაწყისის შემდეგ მოჰყვა ელეგიური ადაჯიო, რომელიც შეიცვალა მნიარული სკერცოთი და ოპტიმისტური რონდოთი. მაღალი საშემსრულებლო თხტატობა სახეზე იყო და ჩანდა, რომ მათ ეს ნაწარმოები დამუშავებული პქონდათ. შებერტის სონატის ‘დუო/Duo’ ლა-მაჟორი, D574 პირველმა ნაწილმა ამ დუეტისათვის გარკვეული სიძნელები შექმნა - ამ ნაწილის რთულ გადასვლებში წყობა ოდნავ დაიშალა, მაგრამ უკვე სკერცოში და შემდგომ, ანდანტინო და ალეგრო ვივაჩებში შემსრულებლებმა გამოავლინეს უბადლო ექსპრესია, რაც ფინალში ფორტისიმოში გადაიზარდა. შესვენების შემდეგ შესრულდა ბეთოვენის სონატა №7 ოპუსი 30/2. ამ სონატაში ინსტრუმენტალისტებმა ისევ მაღალი პარმონიზაცია გამოავლინეს - ამ მუსიკალურ ნაწარმოებში პიციკატოც კი მევიოლინემ ექსპრესიო შეასრულა. შთამბეჭდავი იყო საფინალო სკერცო - ჩქარ და საცეკვაო რიტმში გახვეული ბეგერები თითქოსდა დახტოდნენ. ზოგადად, აღნიშნულ დუეტს, უფრო ექსპრესიული, ფორტისიმოსაკენ მიდრეკილება ახასიათებდა, რაც, სავარაუდოდ, ამ ეპოქის ნიშანია. ბისზე შესრულდა ბაზის სონატის ფრანგმენტი. აქ კი, პირველად, ორკესტრანტებმა თავიანთ შესრულებაში ლირიზმი, სევდა და ფიქრი შეიტანეს.

ოთხ სექტემბერს ისევ ბრემენის „ზარები“, რაც ფესტივალის ძირითად დარბაზს წარმოადგენს, პარიზული დასი

როსინის „სევილიელ დალაქს/Il Barbiere di Siviglia“ ასრულებდა. ოპერას უძღვებოდა ახალგაზრდა ფრანგი ვარსკვლავი - დირიჟორი ჟერემი რორე (Jérémie Rhorer) თავის ორკესტრთან ერთად ‘Le Cercle de l’Harmonie’. მომდერლები ჩემთვის უცნობი იყო, გარდა ალმავიგას შემსრულებლის - ტენორი მიკელე ანჯელინისა (Michele Angelini), რომელიც ზუსტად ამ როლში მოვისმინე ტელე-ტრანსლაციით და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ამჟამადაც ოპერის საკონცერტო შესრულებას სთავაზობდნენ მაყურებელს. დირიჟორის ხელი და ორკესტრის გამოცდილება უკვე უვერტიურიდან გახდა ნათელი, რომელიც ნიუანსებით და აუზქარებლად შესრულდა. ფიორელოსთან სცენის შემდეგ, გამოჩენისთანავე ანჯელინიმ გამოავლინა არატრადიციული ორნამენტების და მაღალი ხოტების გამოყენების ტენდენცია. მას თბილი, ნამდვილად სამხრეთული და არცთუ პატარა სმა პქონდა, გრაფის კანცინაში (Se il mio nome) აქცენტები და ტემპი შეცვალა, რითაც მელოდიურ ხაზს ესპანური საცეკვავო რიტმი შესძინა. ფიგაროს შემსრულებელი - ფრანგი გიორგი ანდრიუ (Guillaume Andrieux) იყო მოქნილი, სხარგი - მაგრამ მისი ტებრი ვერ გიზიდავდა, მაღლები რბილი და შეუმჩნეველი პქონდა. იგი იგებდა ანსამბლებში, მაგრამ სადაც ვოკალი იყო გამოსახენი - უფერული რჩებოდა. როზინას როლში გამოდიოდა რუსი მეცოსოპრანო ანა გორიაზოვა (Anna Goryachova). მის ხმას უფრო კონტრალტოს დავარქებევდი. კარგი ტექნიკა, მყარი მაღლები ახასიათებდა. პირველ აქტში მომდერალი სრული ხმით მდეროდა - იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხმით უნდოდა აეგსო დარბაზი და მოეხიბლა მსმენელი. ეს როზინას პარტიისათვის და როსინის მუსიკისათვის შეუფერებე-

ლი იყო. მეორე და მესამე აქტში მომ-დერალმა შეამცირა ‘ვერისტული’ სიმღერა და მიუახლოვდა თავის პარტიას. ბარტოლოს როლში გამოვიდა უნგრელი ბანი - პეტერ კალმანი (Peter Kálmán), რომელიც საღამოზე ვოკალურადაც და არტისტულადაც ბრწყინავდა. „სევილიელი დალაქი“ საკონცერტო შესრულებაშიც იძლევა ფართო საშუალებას გამოავლინო მოქმედება და კომიზმი - ამ საექტაკლს ეს არ აკლდა. გონივრულად გამოიყენეს სცენის ბუნებრივი გალერეა, განსაკუთრებით, პირველ აქტში. ბაზილის როლში უკვე ჩვენთვის ნაცნობი კანადელი ბას-ბარიტონი რობერტ გლიდოუ გამოდიოდა. მისგან მეტს ველოდი - მაგრამ პარტიისათვის საჭირო სიძლიერე და სიმტკიცე მის ხმას აკლდა - ამიტომაც ბაზილის სახე გაფერმკრთალდა და იგი ცენტრალური პერსონიდან მეორეხარისხოვანად იქცა. ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რამდენად ძნელი პარტიაა ბაზილის როლი ამ ოპერაში. ოპერა შესრულდა სრული ვერსიით, სადაც გახსნილი იყო კუპიურები ანსამბლებში, იყო ბერტას არია და რაც მთავარია საფინალო დიდი და როული ალმავივას სცენა და არია გუნდოან (Cessa di più resistere). ანსამბლი - ვოკალისტები და ორკესტრი შეარული და ერთმანეთთან შეთანხმებული ჩანდნენ, მხოლოდ ამოვარდნილი იყო რუსი მეცოსოპრანო. მაგრამ უდავო იყო ერთი რამ - ეს სადამო ტენორის - მიკელე ანჯელინის ბენეფისი იყო. მთელი პარტია მან ახალგაზრდული ენერგიით, დაუდლელად ჩაატარა - რა ტემპი, რა სიძლიერე, რა ლეგატო, სილადე ზედა რეგისტრში, ტექნიკურად ფიორიტურებს უნაკლოდ უმკლავდებოდა. თან პარტიაში დირიჟორის თანხმობით ბევრი ტექნიკური ცვლილება შეიტანა, რაც გხიბლავდა და გიზიდავდა. არა მგონია დღეს ვინგეს

ასე თავისუფლად და ეფექტურად შეუძლია ეს როული ბელ-კანტოს პარტია შეასრულოს. შესაძლოა ჩვენ საოპერო სცენის ახალი ვარსკვლავის დაბადების მომსწრები ვართ. მსმენელმა გულობილად მიიღო სპექტაკლი - ოვაციები არ წყდებოდა.

მეოთხე სპექტაკლი - იტალიური ბაროკო მუსიკა იტალიური დასის შესრულებით - გაიმართა 8 სექტემბერს პატარა ქალაქ ოლდენბურგის სახელმწიფო ოეატრში. ოლდენბურგის ოეატრს, როგორც თეატრებს ზოგადად ახასიათებო, გრძელი და დრამატული წარსული აქვს. პირველად 1833 წელს აშენდა ხის ოეატრი და იგი დრამატული ოეატრის ფუნქციას ასრულებდა, მოგვიანებით 1881 წელს მის წინ აშენდა რენესანსის სტილის ქვის შენობა. ათი წლის თავზე თეატრს ხანძარი გაუჩნდა. 1893 წელს განახლებული შენობა ისევ გაიხსნა, მასში შიდა დიზაინი შეცვალეს (ბაროკო სტილში) და ელექტროობა შეიყვანეს. 1921 წელს თეატრს, მასში განხორციელებულმა ცელილებამ საოპერო მუსიკის შესრულების შესაძლებლობა მისცა. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება - სეზონის განმავლობაში თეატრში იდგმება დრამატული პიესები, ოპერეტა, ბალეტი და ოპერა. ბუნებრივია, თეატრს პყავს თავისი მუდმივმოქმედი ორკესტრი და გუნდი. ეს კოხტა, საშუალო ზომის სამიარუსიანი თეატრი გამოირჩევა მოხატული და მორთული ჭერით და ჭადით. ჩანაწერებიდან ჩემთვის უკვე ნაცნობ ანსამბლს ‘Concerto de’ Cavalieri’ მისი მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი მარჩელო დი ლიზა (Marcello di Liza) უძლოდა. ამ სადამოსთვის ორკესტრი შედგებოდა 13 შემსრულებლისგან,, რომელთაგან 10 სიმებიანი ინსტრუმენტი იყო. პირველი კოოლინო იმ სადამოს სახელგანთქმული ფედერიკო გულიელმო (Federico Gugliel-



თი) გახდათ. ეს მევიოლინე, ბაროკო მუსიკის ცნობილი ინტერპრეტატორი, თავად ხელმძღვანელობს ორკესტრს L'Arte dell' ოცო, რომელიც ტრადიციულად ვივალდის კამერულ და სხვა იტალიული ბაროკო ეპოქის კომპოზიტორების მუსიკას ასრულებს. მომდერალი სამი იყო - სოპრანო ფრანჩესკა ასპრომონტე, მეცოსოპრანო ტერეზა იერვოლინო და ბანი - რენატო დოლჩინი. ნიკოლა პორპორას (Nicola Porpora, 1686-1768) ორნაწილიანი სერენადა-კანტატა 'La lole'-ს წინ ორკესტრანტებმა ანჯელო რაგაცის სოლ მაჟორული სონატა შეასრულეს, რაც ერთგვარად 'გახურების' ტოლფასი იყო. პორპორას სერენადა იმ ეპოქის ტრადიციებისამებრ ხანგრძლივი ნაწარმოებია, რომელიც მრავალი ვოკალური ნომრისაგან შედგება - უპირატესად ერთი დუეტის, საფინალო ტრიოს, რენატიატივებისა და სოლო არიებისგან, და



ლიზას შესრულების მანერა მეტად კონსერვატული იყო, დღეს - იტალიური კამერული ორკესტრების იმპროვიზაციული ინტერპრეტაციის ფონზე სხვანაირად ამ შესრულების მანერას ვერ დაარქევ. გამოვყოფი ფედერიკო გულიელმოს, რომელსაც იმ სადამოს დიდი ჯაფა დაადგა. მისი ვიოლინოს ხმა არ გამოირჩეოდა არც სიმძლავრით და არც ექსპერიმენტით მიმდინარეობის ფონზე. მომდერლებმა კი მაღალი კლასი უჩვენეს - მეცო-კონტრალტო ტერეზა იერვოლინოს (Teresa Iervolino) გამოვყოფი მისი ვოკალური ტემბრის სილამაზითა და ტექნიკით (არიები: Scuote

qui l'aura; Scuote la chioma d'oro). ბანი რენატო დოლჩინი (დენატო ცოლცინი), ასევე ლამაზი კამერული ხმის პატრონი, კარგად ფლობდა პარტიას. გამოვყოფი მის რენატატივსა და არიას მეორე ნაწილიდან (Ho già la mette...Ombre oscure). არც სოპრანო ფრანჩესკა ასპრომონტე (Francesca Asmopronte) ოყო ურიგო - თუმცა მის წკრიალა ხმას მაღლებზე ოდნავ მყვირალა ელფერი დაპყვებოდა. სხვა მხრივ, მასაც წუნს ვერ დადებდიო (aria Usa tu l'armi). ერთი სიტყვით, იტალიულმა მომდერლებმა მაღალი კლასი უჩვენეს, მერამდენედ დაამტკიცეს, რომ ვოკალური მუსიკა მათი ხვედრია. რაც ეხება პორპორას უცნობ სერენადას - იგი არ გამოირჩეოდა რაიმე ორიგინალობით, მის მუსიკალურ ტექსტურაში იყო ტრადიციული ბაროკო მუსიკის ელემენტები და მელოდიური წყობა. უბრალოდ, ამის გასხვენება იყო ფრიად სასიამოვნო. დარბაზში (ყოველ შემთხვევაში ჩემი რიგიდან) ხმები და კამერული ორკესტრი კარგად ისმოდა. მაკურებელმა თბილად მიიღო იტალიული შემსრულებელი - ვაციები არ წყდებოდა. დასმა ამის საპასუხოდ საფინალო ტრიო გაიმურა. ასე დასრულდა ეს კამერული სადამო და ჩემი მონაწილეობა ბრემენის ფესტივალში. მაგრამ ფესტივალი გაგრძელდა - წინ სხვა სპექტაკლები და დიდი სახელები იყო - ფაბიო ბიონდი, რენე იაკობი (პენდელის ულამაზესი ორატორიის რეპერტუარით), თუმცა რას გააწყობ, გეზი, თბილისისაკენ უკვე აღებული მქონდა. ბოლოს მაღლიერებით მინდა მოვიხსენიო ბრემენის ფესტივალის პრესასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი - ბატონი კერსტინ პრასლერი, რომლის ყურადღებისა და კეთილგანწყობის შედეგად მომეცა საშუალება უკვე მეორედ დავსწრებოდი გერმანიის ამ სახელგანთქმულ ფესტივალს. ყველა გაგზავნილი მოთხოვნა ბატონი პრასლერის მიერ იყო დაკმაყოფილებული, რაც ფესტივალის მომწყობი გერმანული მხარის გულისხმიერებასა და ყურადღებაზე მიუთოვებს.

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცენტრება მოვლენები, ფაქტები

» **3 ივლისს** საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში დია ცის ქვეშ გაიმართა „წიგნის სივრცის“ წარდგენა. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ისარგვ-




ბლონ მუზეუმის დია ბიბლიოთეკით, სადაც სისტემატურად მოქმედია ლიტერატურული სადამოები, საჯარო ლექციები. წიგნის სივრცის მოწყობის იდეა ეპუზნის ეროვნულ მუზეუმს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს.

» **5 ივლისს** ჯორჯ კენანის ალბომი „პავასია“ ეროვნული ბიბლიოთეკის მკიონელებისთვის. რამდენიმე ხნის წინ, საზო-

კავშირდით ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკას, რომ კოლექციის შესახებ ვრცელი ინფორმაცია მოგვეპოვებინა. ახლახანს, ამავე ბიბლიოთეკის ხელოვნების, ნაბეჭდი მასალებისა და ფოტოგრაფიის განხოფილებიდან ვრცელი პასუხი მივიღეთ თანხმობით, რომ კოლექციის ლინკი ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე, ქართველი მკიონელებისთვისაც განთავსდეს. ამავე დროს, აღმოჩნდა, რომ მოგზაურისა და „National Geographic“-ის დამარსებლის, ჯორჯ კენანის მიერ გადაღებული ფოტოები თავიდან რომანვების სასახლის ბიბლიოთეკაში ინახებოდა. გასაბჭოების შემდეგ, გამდიდრების მიზნით, უცნობმა პირებმა სურაოები სასახლიდან გაიტაცეს, ქვეყნიდან გაიტანეს და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაყიდეს. როგორც შეგვატყობინებს, ჯორჯ კენანის ფოტოსურაოები სასახლეში საჩუქრის სახით მოხვდა და განსაკუთრებული ხარისხით გამოირჩევა, მათ ვერცხლის, ხისა და სხვა ძვირფასი, დეკორატიული გაფორმება ამშვენებს. მოგვიანებით, გაბნეული სურაოები ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკამ შეიძინა და კოლექცია შეავსო. მოგზაური, მკვლევარი და მწერალი, ჯორჯ კენანი 20 წლის იუო, როდესაც „გესტერნ უნიონში“ მუშაობა დაიწყო და ციმბირში ტელეგრაფის გაფანის შესაძლებლობების შესასწავლად გამოგზავნებს. ის იმდენად დაინტერესდა უცხო რეგიონით, რომ მთლიანად შეისწავლა ციმბირის, რუსეთის იმპერიისა და საქართველოს ტერიტორია. ჯორჯ კენანის კვლევები იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ საფუძვლად დაედო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რუსეთის ურთიერთობების განსაზღვრას. მოგვიანებით, მოგზაურმა ცნობილი „National Geographic“ დაარსა და კვლევების არალი კიდევ უფრო გაზარდა.

კოლექცია „The Caucasus“ მოიცავს ხალხის ცხოვრების ამსახველ ფოტოებს, სამხედრო ოპერაციებს, პოლიტიკური და გადასახლებული ტყვეების ცხოვრებას, ეთნოგრაფიულ და სხვა მასალებს, რომ-



გადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულმა, ჯორჯ კენანის ფოტოალბომმა კავკასიის შესახებ „The Caucasus“, რომელიც საქართველოში გადაღებულ 300-მდე უცნობ და უნიკალურ ფოტოს მოიცავს. მკიონელების სურვილისამებრ, დავუ-

ლებიც რევოლუციამდე, რევოლუციის შემდეგ და საბჭოთა რეპრესიების პირველ პერიოდზეც მოგვითხრობს. მის გასაცნობად დაკლიკეთ ფოტოსა და ლურჯ ლინკზე.

ახლო მომავალში, ვრცელ ინფორმაციას ველოდებით ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკის კვლევითი განყოფილებიდან, რომელსაც ასევე გაგაცნობთ.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკულ სამკითხველო დარბაზში.

- » **6 ივლისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოოთეკამ ჩაატარა აქცია „იკითხე სიმწვანეში“ მართ მაყაშვილის ბაღში (მესამე კორპუსი) დაინტერირებით იმავალი სახელობის დარბაზში.



ერესებული პირებს, მკითხველებს შეეძლოთ ეროვნული ბიბლიოოთელისათვის გადაეცაო ყვავილები, ნერგები; ნაჩუქარი მცენარეები განთავსდება ბიბლიოოთეკის ვაჟა-ფშაველას სახელობის დარბაზში.

- » **12 ივლისს** ეროვნული ბიბლიოოთეკის მკითხველებისთვის ციფრული ბიბლიოთეკის, JSTOR-ის დია მასალებზე წვდომა შესაძლებელია ბიბლიოოთეკის ვებგვერდიდან. პეტ ცცეს მასალები საიტზე აღნიშნულია მწვანე ნიშნით.

- » **13 ივლისს** საქართველოს პარლამენტი ეროვნულ ბიბლიოოთეკაში „მ2 უძრავი ქონების“ მხარდაჭერით გაიხსნა ვაჟა-ფშაველას სამკითხველო დარბაზი. აქვთ განთავსდა ეროვნული ბიბლიოოთეკის მკითხველთა რეგისტრაციის განყოფილება. ვაჟა-ფშაველას სამკითხველო დარბაზში გამოყენილია პოეტის შემოქმედების სიცოცხლეშივე დაბეჭდილი უნიკალური გამოცემები. მისი პორტრეტი და ბიბლიოოთეკის ფონდებში დაცული ვაჟს ხელნაწერები. სმკითხველო დარბაზის გახსნაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს „მ2 უძრავი ქონების“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბურდილაძემ

და ეროვნული ბიბლიოოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

- » **18 ივლისს** ოდესის ნაციონალურ ბიბლიოოთეკაში გაიმართა გიორგი კეკელიძის



JSTOR

საჯარო დექცია-სემინარი. დექციას ესტრებოდნენ თდესის ბიბლიოოთეკარები.

- » **19 ივლისს** ოდესის ნაციონალურ ბიბლიოოთეკაში გაიხსნა ქართული წიგნის გუთხე. ეს რიგით ორმოცდამეათე ქართული წიგნის კუთხეა, რომელიც გაიხსნა საზღვარგარეთ. დაგეგმილია ოდესის ბიბლიოოთეკაში დაცული მასალების გაციფრება, რომლებიც საქართველოს შეეხება.



- » **24 ივლისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოოთეკაში კომპანია „ბოქს მედია გრუპსა“ და ეროვნულ ბიბ-

ლიონებას შორის გაფორმდა მემორანდუ-
მი, რომელსაც ხელი მოაწერეს ეროვნული
ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორ-
მა გიორგი კეკელიძემ და კომპანიის ხე-
ლმძღვანელმა ლაშა ხმალაძემ. დოკუ-
მენტის თანახმად, „ბოქს მედია გრუპმა“



ეროვნულ ბიბლიოთეკას პროექტ www.city360.ge-ის ფარგლებში გადაღებული 360-გრადუსიანი ფოტოები და ვირტუალუ-
რი ტურები გადასცა.

» **25 ივლისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ისრაელის ქანცენტოს აპარატის უფროსი იარდენა მელერ-ჰოროვიცი ესტუმრა. მას ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე შეხვდა. იარდენა მელერ-

ჯგუფში გაერთიანდა.
» **30 ივლისს** როვნულმა ბიბლიოთეკამ და მომრაობა „ეკვილიბრიუმმა“ მორიგი მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო: №წიგნ-იერი-ის ფარგლებში ახალქალაქის ყველა სოფლის სკოლაში ბიბლიოთეკა მოეწყო-



ბა. ახალქალაქის ილია ჭავჭავაძის სახე-
ლობის 3 საჯარო სკოლაში ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორ-
მა გიორგი კეკელიძემ დექცია წაიკითხა. „მეგობრიბრიუმმა“ კი სოფელ ოკამის სკო-
ლისთვის ასამდე ახალი წიგნი ჩაიტანა.

» **1 აგვისტოსს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეექსე კორ-
პუსში (ს. ცინცაძის 63) აგვისტოს ომის-
ადმი მიძღვნილი მემორიალური კედელი
გაიხსნა. „აგვისტოს 10“ კამპანია „ძალა



პოროვიცმა დაათვალიერა ბიბლიოთეკა
და ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობართა



ევროპაშია“-ს ფარგლებში განხორციელ-
და. კამპანიის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება ევროპულ
და ევრო-ატლანტიკურ გაერთიანებებში
ინტეგრაციის დაფებითი მხარეების შეს-
ახებ და საზოგადოების მეტი ჩართულო-
ბა დასავლური დირექტულებების სწორად
გააზრებასა და პოპულარიზაციის პოლ-
იკებში.

» **21 სექტემბერს** საქართველოს პარლამენ-
ტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საქართ-
ველოს პარლამენტში გამართა საკუ-

თარ ფონდებში დაცული უნიკალური ექსპონატების გამოფენა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეროვნულმა ბიბლიოთეკამ კერძო პირებისა და კოლექციონერებისგან ექსკლუზიურად შეიძინა მათი კუთვნილი ისტორიული, კულტურული და სამეცნიერო ხასიათის კოლექციები: წიგნებისა და უნიკალური გამოცემები, რუკები, ქართველ მხატვართა რამდენიმე ნახატი, ასევე ორი ცნობილი ქართველი კარიკატურისტის კოლექცია, რომელიც რამდენიმე ათას კარიკატურასა და შარქს მოიცავს; ბიბლიოთეკამ ასევე შეიძინა რამდენიმე მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკოსის პირადი არქივებიც, რომლებშიც ინახება უამრავი ისტორიული დოკუმენტი, უნიკალური ავტოგრაფი, ფოტო და სხვა საარქივო მასალა. საზოგადოებისთვის საინტერესო იყო ეროვნული ბიბლიოთეკის გამდიდრებული ფონდებიდან რამდენიმე ათეული უნიკალური, იშვიათი დოკუმენტისა და ექსპონატის ხილვა ერთ გამოფენაზე. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო: იოსებ იმედაშვილის არქივიდან ფოტოები და ხელნაწერები (მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილის ავტოგრაფი); პოლიკარპე ქაკაბაძის არქივიდან ხელნაწერები; გიგლა ფირცხალავას კარიკატურები; პაოლო იაშვილის 2 ნახატი; ემიგრანტების არქივიდან ცალკეული დოკუმენტები; ფილიპე მახარაძის არქივიდან წიგნი ივანე ჯავახიშვილის ავტოგრაფით; გრიგორ რობაქიძის პორტრეტები (ავტორის პირველი გამოცემა) და სხვ.


» **25 სეტემბერს** 24-26 სექტემბერს მაღარაში, ქალაქ სლიემაში, ჩატარდა ISBN-ისა და ISMN-ის ყოველწლიური გენერალური შეხვედრა, რომელსაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ISBN-ის, ISMN-ისა და ISSN-ის განყო-

ფილების უფროსი ნინო სიმონიშვილი და ამავე განყოფილების თანამშრომელი მაია გომართელი იმყოფებოდნენ. შეხვედრაში, რომელიც პანელ-დისკუსიის ფორმატში წარიმართა, მონაწილეობას იღებდა 50 ქვეყნის წარმომადგენელი. საქართველოს წარმომადგენლობა წელს, 20 წლის განმავლობაში პირველად, დაქსწრო ამ შეხვედრას. ნინო სიმონიშვილი და მაია გომართელი შეხვდნენ ISBN-ის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურ დირექტორს სტელა გრიფიტსა და ნიკ ვუდს, ISMN-ის საერთაშორისო სააგენტოს გენერალურ დირექტორს პარტმუტ ვალრავენსა და კაროლინ იუნგერს. შეხვედრებმა წარმატებით და ნაყოფიერად ჩაიარა.

» **3 ოქტომბერს** ეროვნული ბიბლიოთეკა შეუერთდა გაფანტული სკლეროზის საინფორმაციო კამპანიას „ერთად ერთმანეთისთვის“.



» **11 ოქტომბერს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ეწვივნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი ნიკოლოზ სამხარაძე და პარლამენტის თავმჯდომარის მრჩევლები თენგიზ შარმანაშვილი და თორნიკე ჭეიშვილი. მათ ეროვნულ ბიბლიოთეკას საქართველოს კონსტიტუცი-



- ის ახალი რედაქციის ქართული და ინგლისური გამოცემები გადმოსცეს. კონსტიტუციის ახალი რედაქცია სულ მაღლე გახდება სელმისაწვდომი ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველისთვის. აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში ახალი კონსტიტუცია ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზებში ელექტრონულადაც იქნება განთავსებული.
- » **11 ოქტომბერს** ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, რომელზეც წელს საქართველო მთავარი საპატიო სტუმარია, ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, გიორგი კეკელიძე და ლევან თაქთაძიშვილი დაესწრნენ. საქართველოს პავილიონში, გიორგი კეკელიძის „თომას ზლაპრების“ (გამოცემლობა „საქართველოს უნივერსიტეტი“, 2016) გერმანული გამოცემის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი გერმანულმა გამომცემლობამ, Lauinger Verlag-მა აღნიშნული მოვლენისთვის გამოსცა.
- » **18 ოქტომბერს** ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა საერთაშორისო საბიბლიოთეკო კომპანიის, EBSCO-ს წარმომადგენლობასთან, რომლის მიზანია ჩვენი მკითხველებისთვის ახალი ბაზების ჩართვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. EBSCO Discovery Service სრული



- ტექსტების საძიებო სისტემა შესაძლებელს ხდის სასურველი მასალის ერთცდაში მოიძიებას, რისთვისაც 50 000 ქურნალს, 6 მილიონზე მეტ წიგნს, 100 მილიონზე მეტ საგანერო სტატიას და 400 000 მოხსენებას აერთიანებს.
- » **22 ოქტომბერს** ეროვნულ ბიბლიოთეკასა და იტალიურ-ქართულ ორგანიზაცია „მინ-



- ერვას“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ეროვნულ ბიბლიოთეკას იტალიური ენის შესახებ სამეცნიერო კვლევების კრებული, ასევე თანამედროვე მწერლების ნაწარმოებების იტალიური თარგმანები გადასცეს. წიგნები იტალიურ ბიბლიოთეკაში დაიდებს ბინას. ორგანიზაცია ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებისთვის იტალიური ენის შემსწავლელ კურსს ჩაატარებს.
- » **25 ოქტომბერს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მექანიზმების კორპუსში აკაკი ბაქრაძის სახელობის კაბინეტი გაიხსნა. დონისძიება მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის 90 წლის იუბილეს მიეძღვნა. კაბინეტი გახსნეს მწერლის შვილმა ლაშა ბაქრაძემ,



ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარებ მარიამ ჯაშმა. აკაკი ბაქრაძის კაბინეტში ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების განყოფილება იმუშავებს და კაბინეტის სპეციფიკაც სამოქალაქო განათლების მიმართულება იქნება.

ნეაროლოგი

გენაფი მახარაძის გამოსათხოვაზე



გადა წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა დრმა მწუხარებას გამოთქვას დირექტორის, ბატონი გენადი მახარაძის გარდაცვალების გამო.

გენადი მახარაძე დაიბადა 1958 წლის 16 სექტემბერს. 1978-1982 წ.წ. სწავლობდა მოსკოვის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფაკულტეტზე, სადაც მიენიჭა ბიბლიოთეკათმცოდეობის და ბიბლიოგრაფიის სპეციალისტის წოდება. 1984-1988 წ.წ. მოსკოვის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტურაში წიგნთმცოდნეობის სპეციალობაზე. ამ პერიოდში მუშაობდა სადისერტაციო ოქმაზე: „წიგნის გამოცემის საქმის ჩამოყალიბება და განვითარება აჭარაში 1879-1985 წ.წ.-ში, რისთვისაც მოსკოვის სპეციალიზებული საბჭოს გადაწყვეტილებით 1988 წლის 30 დეკემბერს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება წიგნთმცოდნეობის სპეციალობით.

1988-1989 წ.წ. მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აკად. წერეთლის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის უფროს მეთოდისტად, 1989-1991 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ხელოვნების სასწავლო დაწესებულებათა მეთოდკაბინე-

ტის მეთოდისტად. 1991-1992 წ.წ. - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო მუზეუმის უფროს მეცნიერ მუშაკად. 1992-1993 წ.წ. - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წამყვან სპეციალისტად, 1994-1997 წ.წ. თბილისის, მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის ბიბლიოთეკებში და არქივებში იკვლევდა მასალებს სადოქტორო თემისთვის „ბეჭდვითი სიტყვა აჭარაში“. 1997 წლის 16 სექტემბრიდან, 21 წლის განმავლობაში, 2018 წლის 5 სექტემბრამდე (გარდაცვალების დღემდე) მუშაობდა აკად. წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად.

2003 წელს სტაჟირება გაიარა ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო დეპარტამენტის განათლების და კულტურის საკითხთა ბიუროს პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა საბიბლიოთეკო სფეროს დირექტორთა კვალიფიკაციის ამაღლებას. (აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში,

ქალაქ ვაშინგტონის და ქალაქ ატლანტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში). გამოქვეყნებული პქნიდა სამეცნიერო შრომები და სტატიები სხვადასხვა გამოცემებში. იყო საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი.

ფასდაუდებელი და უსაზღვროა ბატონი გენოს დამსახურება ბათუმში საჯარო ბიბლიოთეკის შენარჩუნება-განვითარების საქმეში. მისი ბიბლიოთეკისადმი უერთგულესი დამოკიდებულების და დიდი პროფესიონალიზმის წყალობით ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა განვითარების და სიახლეების თანმდევი და ბათუმის საზოგადოების მუდმივი თავშეყრის ადგილი გახლდათ.

თანაგრძობას ვუცხადებოთ ოჯახს, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის კოლექტივს, ბათუმელებს და სრულიად საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოებას.

აკად. წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია




ქ. ბათუმის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ონამშრომლებს, ბათუმის ინტელიგენციას უდროთდ გამოაკლდა ქალაქის ერთი უთვალსაჩინოების მკვიდრი, პროფესიონალი ბიბლიოთეკაომცოდნე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გენადი მახარაძე. მოსკოვის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის დამთვარების შემდეგ იგი აქტიურად იკვლევდა აჭარაში ბეჭდვითი სიტყვის განვითარების პრობლემებს. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში, აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, 1997 წლიდან გარ-

დაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ქ. ბათუმის ა. წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას. გენადი მახარაძეს, როგორც პროფესიონალასა და ჭეშმარიტ მამულიშვილს ფასადაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქ. ბათუმში საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და წარმატებული ფუნქციონირების საქმეში. ორი ათეული წლის განმავლობაში იგი შემოქმდებითად ხელომძღვანელობდა აჭარის მთავარ ბიბლიოთეკას, იყო გელისხმიერი, მადლით მოსილი და ჭეშმარიტი მენეჯერი; თანამშრობლებში და ქალაქში გამოიჩინდა როგორც დახვეწილი გემოვნებისა და დიდი სულიერი შემართების მქონე პიროვნება; უბრალო, ადამიანებთან ურთიერთობაში სიყვარულითა და მადლით მოსილ ინტელიგენტს კარგად ჰქონდა შეგნებული წიგნისა და ბიბლიოთეკის აღგილი ახალგაზრდობის პატრიოტულ სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. გენადი მახარაძე სისტემატიურად, შეუნელებელი ძალისხმევით ადევნებდა თვალყურს ბიბლიოთეკებში ახალი ტექნოლოგიების დახერგვისა და პოპულარიზაციის საკითხებს, კარგად ესმოდა რა წიგნის აღგილი ინფორმაციის საუკუნეიშვენადი მახარაძე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო კონფერენციების მუშაობაში. აქვეყნებდა სტატიებს საბიბლიოთეკო მუშაობის ოანამედროვე პრობლემის შესახებ.

უფალმა დაუმკვიდროს აღგილი მის წმინდასულს ზეციურ სასუფეველში.

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკა, საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაცია, უფრნად „საქართველოს
ბიბლიოთეკის“ რედაქცია**

გულდასაწყვეტი დანაკლისი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექტივს უდროოდ გამოაკლდა ერთი ღირსეული, უთვალსაჩინოები და უკეთილშობილები თანამშრომელი ავთანდილ ჩიტიძე. პროფესიონ გეოგრაფ-გეოლოგი წლების განმავლობაში

ხელმძღვანელობდა ამავე ბიბლიოთეკის კარტოგრაფიის განყოფილებას. როგორც პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობით აღვსავს პიროვნება ყოველთვის გამოირჩეოდა მისაბაძი ქცევით, თავმდაბლობითა და მოსიუგარულე გულით. შვიდათეულ წელს გადაცილებული დიდი სულიერი შემართებით ებრძოდა ავადმყოფობას; იყო უძლეველი მისწრაფებებისა და შესაშური ნებისყოფის, სამშობლო ქვეყნის მოტრფიალე და გულმხურვალე მამულიშვილი, ოჯახზე მზრუნველიდა მარად ფხიზელი გონების პატრონი.მისი სახით ოჯახმა, ახლობლებმა და თანამშრომლებმა დაკარგეს ქრისტემიერი სიყვარულით აღვსილი გულის პატრონი, მეგობარი და კოლეგა, რომელმაც სიცოცხლის განთიადიდან გარდაცვალებამდე ღირსეულად განვლო ამქუვენიური ცხოვრების გზა. უფალმა დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, უცრნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია.

ავთანდილ ჩიტიძის მოსაგონარი

ედმეტია სიტყვები ავთანდილ ჩიტიძის ღირსებათა ჩამოსათვლელად. ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისაც ის არ უყვარდა, არ სცემდა პატივს მის პიროვნებას. მან თავისი უდროოდ წასვლით გული დაწმვიტა ოჯახის წევრებს, ახლობლებს, კოლეგებს. ის იყო ადამიანი - ოჯახის წევრებზე

ზედმეტად მზრუნველი, მეგობრების ერთგული, თანამშრომლების მოსიუგარულე და სამშობლოს სიყვარულით მუდამ გულანოებული, თავისი მამაშვილური დამოკიდებულებითა და მეგობრობით გულს უთბობდა ყველას. ის წავიდა და გულში დარჩა მასთან დაკაგშირებული ყველა ტკბილი მოგონება.

ლოლა სანაია

ვაჟა-ფშაველას სახელობის სამაითხველო დარბაზი



აკაკი ბაძრაძის კაბინეტი



